

ფ. 103
83



(47.93)9
გ 2105

საჩინოს კაპაბაძე

ისტორიული საბუთები

წიგნი V



99/722

K 31.130

ტფილისი.

ელექტრო-მბეჭდავი არტემ მ. კერესელიძისა, გაბაშვილის შესახვ., № 1.

1913.

1701 წ. გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 70, დაწერილია ქაღალ-
დზე ზომით 42 1/4 X 18 1/2 სანტიმ. მიტეულია სამებელ მთავარ-
ეპისკოპოსის ნიკოლაოსის მიერ

ქ: სახელთა: სახიერთა: არება: დასაბამოსა: მამისა: ძისა: და: წმიდი-
სა: სულისათა: მეოხებითა: ყ: დ: წმიდისა: უფროსად: კურთხეულისა: დედოფ-
ლისა: ჩუენისა: ღ: თის: მშობელისა: და: მარადის: ქალწულისა: მარიამისათა:
ძლიერებითა: ცხოველს: მყოფელისა: და: პატიოსნისა: ჯვარისათა: წმიდა-
თა: უსხეულოთა: ზეცისა: ძალთა: ანგელოზთა: და: მთავარ: ანგელოზთა: წმი-
დისა: დიდებულისა: წინასწარ: მეტყუელისა: წინამორბედისა: და: ნათლის-
მცემელისათა: წმიდათა: ყ: დ: ქებულთა: და: დიდებულთა: მოციქულთათა:
სანატრელთა: წინასწარმეტყუელთა: დიდებულთა: მღვდელთ: მოძღვართა:
ღ: თ შემოსილთა: მამათა: ახოვანთა: მოწამეთა: და: ნეტართა: ქალწულოთათა:
და: ყოველთა: წმიდათა: ღ: თისათა: ზეცისა: და: ქვეყნისათა: კორციელთა:
და უკორცოთათა: ამათ წმიდათა: მეოხებითა: და: შუა: მდგომლობითა: ესე:
წიგნი: და: სიგელი: მოგართვით: შენ: დიდებულსა: და: ყ: დ: ქებულსა: ნა-
შობთა: ყოველთა: უხეშთაესა: წინასწარ: მეტყუელთა: ბეჭედსა: და: ძუელი-
სა: და: ახლისა: შჯულისა: შუამდგომელისა: მეგობარსა: სიძისა: მის: უკუდა-
ვისასა: კ: ასა: სიტყვასა: სანთელსა: ნათლისასა: და: მთიებმსა: მზისა: მის:
სიმართლისასა: შენ: სანატრელსა: და: წმიდასა: ნათლის: მცემელსა: ქრისტეს:
მეუფისასა: იოვანეს: ჩუენ: ფ: დ: უღირსმან: სამებელ: მთავარებისკობოზმან:
კახეთის: მდივან: მწიგნობართ: უხუცესის: ძემან: ნიკოლაოზ: ვინათვან: მაქე-
ნდა: სურვილი: რათა: ტაძრისა: თქვენისა: უდაბნოს: გარესჯას: მრავალ: მთი-
სა: მონასტერსა: ძუელთა: კელმწიფეთა: და: მორწმუნეთა: მეფეთავან: შეწი-
რული: არა: მოშლოდარა: ამისთვის: ვეძიებდით: კაცთა: მეცნიერთა: და:
ძუელთა: მახსოვართა: რომელთაცა: ქეშმარიტი: უწყდიან: მამულნი: და:
ავარაკნი: რომელიცა: პირველ: თქვენი: შეწირულნი: ყოფილიყენეს: მათ:
მიერ: გვესწავა: და: თქვენისა: წმიდის: მონასტრისათვის: შემოგვეწირა: და:
რაც: ჩუენს: ყმას: ქონებოდა: ისევ: დაგვედებინა: და: რავდენიცა: ვპოვეთ:
და: ანუ: გვაუწყა: ვინმე: ისევ: შემოგწირეთ: და: ისრევ: უნაკლულოდ:
მოგახსენეთ: და: თქვენს: მონასტრის: კრებულთ: წმიდათ: მამათ: დავანე-
ბეთ: და: ჩუენ: კელი: ავიღევით: და: ვისაც: ჩუენის: საყდრის: ყმას: ეჭირა:
მათაც: კელი: ავადებინეთ: ოთხთავ: ბედიანთ: ქონდა: დადვეს: და: კელი:
აიღეს: ღ: თისივას: შეიღს: ქონდა: და: კელი: აიღო: ხუტია: შეიღსა: ქონ-



და: ვენაჯის: ბოლო: როსებაულის: ნაქონი: იმაზედაც: კელი: ავალებინეთ:
ჯარია: შვილიმან: ფიცი: დაიდვა: და: თუ: ვერ: დაიფიცა: იმანც: უნდა:
კელი: აიღოს: საცილებელს: მიწაზედა: და: ამას: გარეთ: სხვა: რომელიც:
ჩუენის: ყმისაგან: ეყიდა: თქვენს: წინამძღვარსა: არცა: ის: მოუშალეთ:
გოდერძას: შვილს: რომ: ბეგს: დაბლა: მიწა: მოეყიდა: საგანაყოფო: იყო:
განაყოფებისათვის: პასუხი: მოვაცემინეთ: ის: მიწაც: თქვენის: მონასტრის:
წინამძღვარს: დავანებეთ: ამაზედ: ვყავთ: ესე: რომე: თქვენი: მონასტერი:
ჩვენი: კელთ: დებული: იყო: და: თქვენი: წმიდა: კრებული: ჩუენის: საყ-
დრისა: ჯეროვნად: მორჩილნი: იყუნენ: აწე: შეიწირე: შენ: უფროსად: დი-
დებულო: ნათლისმცემელო: იოვანე: მცირე: ესე: შესაწირავი: და: ძალისა:
ებრი: გულს: მოდგინება: ჩუენ: უღირსთა: და: მთარველ: და: მეოხ: გვეყავ:
აქაცა: და: მერმესა: მას: საუკუნოსაცა: ვინცა: ესე: ჩუენგან: შეწირულობა:
მოუშალოს: თქვენს: წმიდას: მონასტერსა: დიდმან: ანუ: მცირემან: ეპისკოპ-
პოზმან: ანუ: წინამძღვარმან: ანუ: სხვაგან: ვინმე: სამღვდლომან: კრებულ-
თაგანმან: დიდმან: ანუ: მცირემან: მთავარმან: ანუ: გლეხმან: და: ყოველმან:
ადამის: მონათესავემან: რისხავსმცა: დაუსაბამო: ღთი: მამა: ძე: და: სული:
წმიდა: ყოველნი: მისნი: წმიდანი: კორციელნი: და: უკორციონი: და: შენ:
უმეტესად: სანატრელო: ნათლის: მცემელო: ქრისტესო: იდიე: შური: უღბი-
ნებელი: და: მოფხვარ: და: მოსპოლვით: მოაოკრე: სამკვდრებელი: მისი:
რომელიცა: მკადრე: იქმნეს: შლად: ამისდა: ხოლო: დამამტკიცებელნი:
და: თანა: შემწენი: ამისნი: საკურთხენ: და: მშვიდობითა: ზეგარდამოთა: ალა-
სენ: დაიწერა: სიგელი: ესე: ქკსა: ტბთ: ამა: ჩუენგან: შეწირულსა: და:
დადებულს: მამულს: გარეთ: რაც: ან: სახლითუხუცესის: შვილს: ყმებსა:
ან: სუფრაჯის: ყმასა: და: ან: აღურიშხანის: ყმას: ბეგას: შვილს: ეჭირა:
იმათაც: მოკითხული: ქნეს: და: თქვენის: წმიდის: მონასტრის: კრებულს:
დაანებეს.

სვეულად: სამებელი ნიკოლოზ.
... ანუ: მცირემან: მთავარმან: ანუ: გლეხმან: და: ყოველმან: ადამის: მონათესავემან: რისხავსმცა: დაუსაბამო: ღთი: მამა: ძე: და: სული: წმიდა: ყოველნი: მისნი: წმიდანი: კორციელნი: და: უკორციონი: და: შენ: უმეტესად: სანატრელო: ნათლის: მცემელო: ქრისტესო: იდიე: შური: უღბინებელი: და: მოფხვარ: და: მოსპოლვით: მოაოკრე: სამკვდრებელი: მისი: რომელიცა: მკადრე: იქმნეს: შლად: ამისდა: ხოლო: დამამტკიცებელნი: და: თანა: შემწენი: ამისნი: საკურთხენ: და: მშვიდობითა: ზეგარდამოთა: ალასენ: დაიწერა: სიგელი: ესე: ქკსა: ტბთ: ამა: ჩუენგან: შეწირულსა: და: დადებულს: მამულს: გარეთ: რაც: ან: სახლითუხუცესის: შვილს: ყმებსა: ან: სუფრაჯის: ყმასა: და: ან: აღურიშხანის: ყმას: ბეგას: შვილს: ეჭირა: იმათაც: მოკითხული: ქნეს: და: თქვენის: წმიდის: მონასტრის: კრებულს: დაანებეს.

1702 წ. სიგელი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრისა, დაწერილია ქალაქსკე
ზამთ 43 X 22²/₁ სანტიმ. მიტეპულია ტფილელის ჰაელეს
მიერ.

ქ. ნებიტა: და: შეწვენიტა: ღთისათა: და: მეოხებითა: წმინდისა: სიონთა:
ღთის: მშობელისათა: მე: ტფილელ. მიტროპოლიტმან: უფალმან: პაელემ:
და: კრებულთა: ჩვენთა: ესე: წიგნი: და: სიგელი. მოგეცით. თქვენ: გარე-
ჯის: მრავალ: მთის: ნათლის: მცემლის: მონასტრის: წინამძღვარს: ბატონს:
ხარიტონს: და: მამა: სვიმონს: მამა: ბესარიონს: მამა. გაბრიელს: ნიკოლოზს:
იოვანეს: და: სულხან. ყოფილს. საბა. მონოზანს: ასრე: და: ამა: პირსა: ზედან:
რომე: მეფემ. პატრონმან. ლევან: და: შვილმან. მისმან: პატრონმან:
ვახტანგ: ისემ. სვიმონ: და: თაიმურაზ: საბატონიშვილოს: სასახ-
ლიდამ ადგილი. მოგიკრეს: და: თქვენთვის: სამყოფად: გიბოძეს: რო-
მე: რომელიც: თქვენი. მონაზონი. ან: მღრღელი: აქ: ქალაქს. ჩამო-
ვიდეს: მათთვის. სადგომად: განუჩინეს. და: წმინდას. ნათლის: მცემელს: შეს-
წირეს: იქით. ბატონიშვილებისაკენ: აღარც: გზა: გქონდათ: და: არც: მარ-
თებული. იყო: თქვენი. იქით. ვლა: ჩვენ: შემოგვეხვეწენით. და: მონასტერს:
იაჯენით. და: მართულად: ემსახურენით. ჩვენკენ: კარის. გაღება. ითხოვეთ.
ჩვენც რომ. გავსინჯეთ. სარგებლის მეტი. ზიანი. არა: იყორა: და: მოგე-
ცით. კარი. და. გზა: ფასინაშვილის. სახლში. რომ. ცხენი. და: ჯორი. შეი-
ყვანებოდეს: თქვენიდამ. ფასინაშვილის: სახლს: გამოივლიდეს: ვიწრო. ფო-
ლორცში. შემოიარდეს: აქათ: ჩვენს: მხარს: იარებოდეთ: რამანც. ტფილელ-
მან. ეს: მოგიშალოსთ. ნათლის. მცემელს: მან: სიტყვა. უგოს. მეორედ:
მოსლვასა: არის: ამისი. მოწამე. ქალაქის: მოურავი. ავთანდილ: ბეჭედი
მდივანი. ოთარ: სზაჩსუფი ბეჭედი მელიქი. გიორგი ბეჭედი მამასახლისი. ფარსა-
დან: ბეჭედი ნაცვალი. ქაიხოსრო: დეკანოზი. ისე ბეჭედი კანდელაკი,
გრიგოლ ბეჭედი საყდრის ყმა. მოსე. ბეჭედი მხატვარი. გიორგი. ბეჭედი.

მე. კელმწიფის. კარის: მდივან. მწიგნობარს. თუმანიშვილს. გივს. დამი-
წერია. და. მოწამეცა ვარ. ქკსა: ტუბ: ქრისტიშობის: გ:

ბეჭედი ტფილელ მიტროპოლიტის ჰაელესი.



1703 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 110, დაწერილი ქალაქდზე ზომით 40
1/2 X 23 3/4 სანტიმ. მიტეპულა ტფილისის დომენტისკან გიორ-
გი მხატვრისათვის.

ქ. ნებიტა: ლთისათა: და: შეწვენიტა: სიონტა: ლთისმშობელისათა:
ჩვენ: დიდის: ორბელი: შვილმა: თბილელ: მიტროპოლიტმან: პატრონმან:
დომენტი: ესე: წყალობის: წიგნი: გიბოდეთ: შენ: ჩვენის: საყდრის: ყმას:
მხატვარს: გიორგის: შვილსა: შენსა: მიქაელს: შვილთა: და: მომავალთა: სახ-
ლისა: შენისათა: ასრე: რომე: წყალობას: დაგვეჯე: ვისმინეთ: მოხსენება:
შენი: და: გიბოდეთ: ჩვენს: ქარვასლას: უკან: ქულბაქები: მირმანა: შვი-
ლის: ზურაბას: ქულბაქს: უკან: რასაც: ჩაიტანს: ჩვენის: ქარვასლის: კედე-
ლი: იქიმდი: და: წინ: წყლის: გზამდი: სრულ: კელ: შეუვალად: და: ყოვ-
ლის: კაცის: უცილებელად: შენ: თვის: და: შვილთა: შენთა: თვის: გვიბო-
ძებია: გქონდეს: და: გიბედნიეროს: ლთნ. საყდრისა: და: ჩვენს: ერთგუ-
ლად: სამსახურსა: შინა: აღარც: მოეშალოს: დღეის: უკან: ეს: წყალობა:
არც: ჩუენგან: და: არც: შემდგომად: ჩვენსა: სხვათა მეპატრონეთაგან: ხო-
ლო: დამამტკიცებელნი: ამისნი: ლთნ: აკურთხნეს: და: წმიდამან: ლთის
მშობელმან: დაიწერა: კელითა: დეკანოზის: იესესითა: ქკსა: ტუა: თიბა-
თვის: იზ:.

ხეუელად: დომენტი.

სხვა ხელით: მე გიორგი. მხატვრის. შვილის. შვილის. შვილს. გიორ-
გის: მომებარა. ამ ზემოწერილისა. ფასი. თუმანი, ოცი. ბეჭედი. არა. მქონ-
და. და ეს. ჩემი ხელია. +

ქ: ჩვენ ყდ სამღვდელომან ტფილელ მიტროპოლიტმან გერმანემ. ეს
ქულბაქის ადგილები. ჩვენვე. ვიყიდეთ. გიორგი მხატვრის შვილის შვილის
გიორგი მხატვრისაგან, და ეკლესიისაჟსვე სახასოდ დავდევით. ოცი თუმა-
ნი მივეც. იანვარს. ა: წელსა. ჩიზდ: ქკს უობ:

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: გერმანე.

ქ: ეს ასე აღსრულდა. ამ ადგილის დაკსნა ამ ფასად.

ბეჭედი ასომთავრული წარწერით: იოანე.

1705 წ. კარგუის ნათლისმცემლის მონასტრის სიკედი № 7, დაწერილი თხუთსეულობით 67 $\frac{1}{2}$ × 24 სანტიმ ღამაზი ხელით. მიცემულია ბატონიშვილის ვახტანგის მიერ.

ქ.: ნებიოთა. და: შეწვევითა: ლთისათა: და: წალობითა: დიდის: კელ-
მწიფისათა: ჩვენ: პირველითგანვე: ზეცასა: მეფედ: განკუთნილისა: და: აწ:
სასუფეველსა: ცათა: შინა: სულ: ბრწყინვალად: მანათობელისა: პირველ. ვახ-
ტანგ: კობილისა: და. შემდგომად: სპარსთა: ენითა: შაჰნავაზ. წოდებულისა:
ძისა: ძის: ქართველთა: მეფისა. და: სრულიად: ერანის: სპასალარისა: ყანდა-
არისა: და. ქირმანის: ბეგლარბეგისა: გირიშქისა: და. ჰაიალათის: მქირავისა:
პირველ: გიორგი: წოდებულისა: და: აწ: პატრონის: მეორეს: შაჰნავაზხანის:
მაგიერად: მყოფმან: ძმისწულმან. მისმან: და: ძემან: სრულიად. ერანის:
მდივანბეგისამან: საქართველოს: ჯანიშინმან. ბატონიშვილმან. პატრონმან.
ვახტანგ. და: ძმამან ჩვენმან: ბატონიშვილმან: პატრონმან: სვიმონ: პატრონ-
მან. თაიმურაზ. ესე: ამიერით. უკუნისამდინ. ჟამთა: და ხანთა: გასათავებელი:
მტკიცე: და: შეუცვალებელი: შეწირულობის: წიგნი: და: სიგელი: კადრეთ:
მოგახსენეთ. და: შემოგწირეთ: თქვენ: ჩვენსა. სასოებასა: და: მარადის:
სიქადულსა: ყოველთა: ნაშვთა. დედათა: უზეშთავესა: და: მუკლითგანვე:
დედისათა: ქრისტეს: თაყუანის: მცემელსა: წინასწარმეტყუელსა: და. წინა:
მორბედსა: გარეჯას: მრავალ. შთის: ნათლისმცემლის. მონასტერსა: მას:
ჟამსა: ოდეს: თქვენის. უდაბნოს: წინამძღვარი: ხარიტონ: და. მათი: კრებულ-
ნი: ერთობით: მოვიდნენ: და: თბილის: ქალაქში: უდაბნოდამ: მომსვლელის:
ბერების: სადგომს, გვაჯენენ. ვისმინეთ: აჯა: მათი: და: ძლიერისა: და: უძლე-
ველად: უამარავთა: სპათა. მარებელისა: უსწოროდ: სახელ. სახელ: (sic)
განფენილის: ბიძის: ჩვენის: პატრონის. მეფის. გიორგის: ყანდაარს: ბრძო-
ლის: გასამარჯვებლად: და: მშვიდობით: მოსასვლელად: და. ჩვენის: ძმის:
ბატონიშვილის: ქაიხოსროსა: და: იასესს: გამოსახსნელად: მოგართვით. და.
შემოგწირეთ: ტფილის: ქალაქს: ჩვენის: საუფლისწულოს: სასახლის: მონაქე-
რი: შიგნით: სასახლის. ადგილი: წყარო. რომ: გამოდის: სამძღვარი. მისი:
აღმოსავლისკენ: მტკუარი: და: წყარო: რომ. გამოდის: წყაროს: სათავიდამ:
ჩრდილოს: მხარეს: ჩვენს. სასახლემდინ: ხუთი. ადლი. მიწა: კიდემ: ჩვენ:
დაგანებეთ: დასავლის: მხარეს: შაქარაანთ. სახლსა: და: ტფილელის: დეკა-
ნოზის: სახლამდინ: სამხრის: მკარეს: ტფილელის: სამძღვრამდინ: და: დეკა-
ნოზის: კარის: ჩამოსწორ. მტკვრამდინ: ასრე: მოგვირთმეგია: და. შემოგვი-
წირავს: ყოველის: ადამის: მონათესავეთაგან: მოუდევარ. მოუსარჩლებლად:
არაოდეს. არ. მოგეშალოსთ: არა: ჩვენგან. და. არა. შემდგომთა: ჩვენთა:
მეფეთა. და: მეპატრონეთაგან: აწე. გიბძანებთ. კარისა: ჩვენის: ვექილ: ვეზი-
რნო: ქალაქის: მოურაო: მელიქო: და: მამასახლისო: ბძანება: ჩვენი. ასრე.



დაუმტკიცეთ: დაიწერა: ფარმანი. ესე. ქკსა. ტუგ: ღვინობისთვის. ბ: კელი-
თა: კარისა: ჩვენის. მღივან: მწიგნობრის, თუმანიშვილის: გივისითა:

ბეჭდები წარწერთ: რტოდ ვარ დავითის მგელლომად ვით ის ვახტანგ
ვამტკიცებ მეფის ძეობით; მოსავი ღთისა ბატონიშვილი სვიმონ; მონა ღთისა
ბატონიშვილი თეიმურაზ.

1706 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 167, დაზიანებული, დაწერილია ქადაგ-
დზე ზომით 25×10 სანტიმ. მიტეხულია, რაგორც იმავე საუდ-
რის № 155 სახუთიდან სჩანს, აღისტევიდან 1700 წელს მასულ
სამხის მიერ.

-- თისათა -- რამაზამ: თქვენ წმიდასა და უბიწოსა [სიონისა] ღთის
მშობელსა და ტფილელ მიტრაპოლიტს ბატონს პავლეს: ასე რომე მოველ
და შემოგებევწე კმალი დამეკარგა ვარდიაშვილი ანდერმანისა: და სამ თუმ-
ნათ ფასობდა იმ კმალსა: მე ღონე და ილაჯი არსადა მქონდა მოველ და
შემოგებევწე თქვენ საყდარსა და თქვენ და ის კაცი თქვენ შეიჯვრეთ: და
დამიხსენით ცოლშვილითა და ავლაბარში დამასახლეთ: ჩემთან სხვას კაცს
კელი არა ჰქონდეს თქვენს საყდარსა და თქვენს მეტს: თუ ვინმე წამოგე-
დაოს პასუხის მიძემი მე ვიყო. უწინაც ერეკლეს მეფის დროს აღისტევი-
დამ მოველ და თქვენს საყდარს ვეყმე: და ახლაც თქვენგან დახსნილი ვარ
და ფას გაღებული: არას კაცს ჩემთან კელი არა აქვს. ღთის მეტსა არის
ამისი მოწამე მათიაშვილ ოტია + ვართანაშვილი არაქელა: + და მამისაშვი-
ლი ოპანა: ალაჯაშვილი ხუდინა: + ავეტისაშვილი ოსეთა: + მე არაქელას
დამიწერია და მოწამეცა ვარ: დაიწერა წიგნი ესე ქრისტიანობისთვის ოცდა-
ორს ქკს ტუგ: თქვენ რომ თეთრი გაიღვეით ოცდაერთს მარჩილს შეგჯერ-
დათ ჩემში:

ტუგის ხელით მე: სომეხი: ვიყავ: და: თქვენს: საყდარს: მოვინა-
თლე: +: +:



1707 წ. ვარკჯის ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 19, დაწერილია ქაღალდზე ზომით 44×16 1/2 სანტიმ. მიცემულია იმამყულიხანის მიერ სამებელ ნიკოლოზისათვის.

ქ.: სადუნის: შვილი: აბრამ: ღდელი: ქრთლიდამ: გამოსულიყო და: წმინდას: სმებას: შესწირვია: და: გოსტაშაბიშვილი სმებელს წმოზღვებოდა: აბრამ: ხუცესი: ალავერდს: ჩვენს: პა: ბებიათა: და: ჩვენის: სხლის: კელმწიფეთ: საფლავს: შეხვეწოდა: მიცემა: აღარ: იქნეის: კელმწიფეთ საფლავს: პტივსათვის: და: ეს: წიგნი: ამისად: ნიშნად: უბოძეთ ჩვენ: ღთივ: გვრგვინოსნისა: მეფეთ: მეფისა: კელმწიფისა: ძემან და: თვით: მეფემან: კელმწიფემან: პატრონმა: იმამ: ყულიხან: სმებელ: მთავრ: ეფის: კოპოზს: პტრონს: ნიკოლოზს: რადგან: ის: მღვდელი: წმინდას: სმებას: შესწირვოდა: ჩვენც: ისევე: მის: ტზრს: შესწირეთ: და: სმებელს: მივეცი: ყოვლის: კაცის: მოუღვერად: თუ: კახეთში: მყრელობა: მოკდეს: ამს: ნურავინ: აყრის: ჩვენის: სხლის: კელმწიფეთ: სასფლოს: ხორისათვის: მყრელებისათვის: კელი: აგვიღებინებია: ამ: ჩვენს: წიგნს და: ბძნებს: ნურავინ: მოშლის: თუ სმრთლი: ქონდეს: გოსტაშაბიშვილსა და: რაც: სმებელს: ფასი: შეუძლევია: ისივე: მისცეს: სხვს: კელი: არავის: აქვს: საყდრს: შესწირვოდა: და: ჩვენც: ისევე: სყდრისათვის: მოგვრთმევია: ისიმც: რისხვს: ვინც: ეს: ჩვენი: ბძნება: მოშლოს: დაიწერა: თვესა: თებერლის: ე: ქკსა: ტყე:

ბეჭადი წარწერათ: მეფე იმამყულიხან

1707 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 30, დაწერილია ღამაზის ხელით ქაღალდზე ზომით 178 1/2 × 32 1/2 სანტიმ. ბოძებულია ვასტანგ პატრიარქის მიერ.

ქ რომელი. იყო: არს: და: ეგების: უკუნისამდე: და: სუფევისა: მისისა: არა: არს: დასასრული: [რომლისა მ]იერ: იქმნეს: ყოველნი: აღნაგნი: ნაქუსნი: და: არა: ნაქუსნი: არსნი: და: არა: არსნი: ხილულ[ნი და უხ]ილაგნი. ნივთიერნი: და: უნივთონი: ძლიერნი. და: უუძლიერესნი: თვით: უსაზღვროსა: გარეშემო უწერელისა: უნივთოსა: ურულოსა: ურაბამოსა: ყოველგან: მყოფისა: ყოველთა მარსებელისა: თვით: არვისგან: დაარსებულისა: რომელსა: ზეცისა: დასნი: უკორცონი: უძრწიან: და: შიშით: ქებად: თვალ: შედგმად: ვერ. მკადრებელ. არიან: ანგელოზნი: ძრწოლით: აქებენ: და: მთავარ. ანგელოზნი შიშით. მსახურებენ: უფლებანი: და: ძალნი: დების: მეტყუელებენ: მრავალ: თვალნი. სკრაბინნი. და. ექუსექვს: ფთენი: ქერაბინნი. ვერ: მკადრე: არიან: ხილვად: სხივთა: ნათლისაგან: გამოკრთომილისასა: არამედ.

პირთა: ფთითა: თვისითა: იფარვენ: რომელმან: შექმნა: ადამ. კელითა: საუფ-
ლოთა: და: შთაბერა: სული: ცხოველი: და. აღმოულო: გვერდისაგან: ევა.
პირველი. დედა: და: მისცა: ადამს: ცოლად: რომელმან: დაუდვა: ზღვასა:
წესი: რათა: არა: გარდაკდენ: საზღვართაგან: მისთა: და: მიწასა: უბძანა:
აღმოცენება: ყოველთა. ხე: ხილთა: და: მწვანე: მდელოთა: რომელი. გამო-
ავლენს: საუნჯეთაგან: მისთა ქართა: ადენს: მდინართა: ამა: მალისა: ლთისა:
ერთ: არსებისა: ერთ. უფლებისა: სამფითებისა: ერთ: მოქმედებისა: მამისა:
არა. არსისა: არცა. დასასრულისა: ძისა. ლთისაგან: განუშორებლად: შობი-
ლისა: და. წმინდისა. სულისა: რომელი: მამისა. თანა: და. ძისა: თანა: სწო-
რებით. თაყუანის: საცემელისა: რომელთა: იგი. მეუფება. კელმწიფება: და.
უფლება: ერთ არს. განუყოფელ: და. არა. არს. მათ. შორის. განყოფა: ამი-
სითა. შეწევნითა: თავდებობითა. და: მინდობითა: ბრწყინვალისა. და. ყოვ-
ლად: უბიწოსა: ადამის: დაცემულების აღმმართველისა: და: ეკას: მწუხა-
რებისა: და. წყევისა: სიხარულად. და: კურთხევად: შემცვალებელისა: აბელ:
მართლისაებრ: პატიოსნად. ძღენად: მღთისა: მიმართ. შეწირულისა: ენუქისა-
ებრ. არათუ. სამოთხეს: არამედ: ზეცას: სასუფეველს: ცათასა. საყდართა: მღთა-
ებისათა. ყოვლისა. სოფლისათვინ. მეოხად. მკვიდრისა: კიდობნად. სიწმინდ-
ისად: ლთივ: აღშენებულისა: და. ნოესებრ. წყლით: რღენისაგან: ცოდვთაგან:
განმარინებელისა: აბრამის. კარვისაებრ: უცხო სახედ: ლთისა. დამკვეთელი-
სა: მოსესებრ: საცთურისგან: მეგვიპტურისა: გამომხსნელისა. არონის. კვერთხი-
საებრ: უკვდავ: მყოფელის: ნაყოფის: გამომღებელისა. დავით. პირველის:
მამისა: მისისა: მიერ: კიდობნად: სიწმინდისად: მოწავებულისა: სოლომო-
ნის: ქებასა: შინა: ქებათასა: მრავალ. სახედ: სახელ: დებულისა: იონას.
სახედ: ცოდვისა: ვეშაპისა. მუცლით. ბუნებისა. კაცთასა: სიღრმითგან: ჯო-
ჯობითსათ. გამომყუანებელისა. ქალწულ: დედობით: განკეთილისა. ყოვ-
ლად: უბიწოსა: და: ბიწ. შეუხებელისა: დედოფლისა: ჩვენისა ლთის: მშობე-
ლის: მარიამისათა: თავდებობითა: მინდობითა: და. შუა. მდგომლობითა:
ცხოველს. მყოფელისა: პატიოსნისა: ჯვარისათა. რომელსა: ზედან: განიპყრ-
ნა: მეფემან: დიდებისამან: და: მთავარმან. ძლიერებისამან: ქრისტემან. ლთნ:
ჩვენმან. უხრწნელნი. მკლავნი. ხსნისა: ჩვენისათვინ. და. ყოველთა: ბრალე-
ულთა: წმინდა. მყოფელი: სისხლი: დანსთხია. განმწმედელი: ცოდვათა: სოფ-
ლისათა: თანა: წყალი: მდგომარებითა: ამისითა თავდებობითა: და. შუა:
მდგომლობითა: წმინდათა: და. უკორცოთა: ზეცისა: ძალთა: გაწესებულთა:
ცხრა: არვეთა: და ცხრათავე: დასთა: ურულოთა: მცველ: მმართველ: ცხოვრე-
ბისა: ჩვენისათა: წმინდათა: ანგელოზთა და: მთავარ: ანგელოზთა: მიქაელ
ერის: მთავარისა: და: გაბრიელ: ქალწულ: მახარებელისათა: ძედ: ქუხილისად:
და. უფროსად. ძმად. წოდებულისა: უფლისა: ჰძანებითა: მკერდსა: სამეუ-
ფოსა: მიყრდნობილისა: საყუარელის: მოწაფისა: მაცხოვრისა: და: ქალწულ:
მახარებელის: იოვანესითა: ყოვლად: ქებულთა: ათორმეტთა: ყოვლი: სოფ-
ლისა: მომნადირებელთა: დიდთა. ქადაგთა. ლთისა: სიტყუისათა: რომელთა:


ბადრთა: მოძღვრებათა. მათითა: მოინადირეს: ყოველნი. ნათესავნი.
კაცთანი. პეტრე: სასუფეველისა: ცათასა: კლიტეთა. მპრობელისა:
კლდისა. სიმტიციისა: და. მოწაფეთა: შორის უმხურვალესისა: პავლე.
სამ. ცამდე: აღწევნილისა. და: უსვენელთა. სიტყუათა: მსმენელისა:
და: სხვათა: მოყუას: მორაბამეთა: მათთა: წმინდათა: მოწაფეთათა:
და. წინასწარმეტყუელთა. ლთისა. მხილველთა: და. შორითგანვე.
ქრისტეს. ლთის მოსვლის: მომასწავებელ მოსე: პარონ: ელია: ანგია: ზაქა-
რია: ამბაკომ: ესია: ნათან: დავით. ლთისა: მამისათა: სოლომონ: ეზეკიელ.
გედეონ. იერემია: დანიელისათა: რომელთა: თვითვეულად: ქადაგეს. და: მო-
ასწავეს: განკორციელება: უთესლოდ: სიტყუსა: ლთისა: და. შობა: ქალწუ-
ლისაგან: უბიწოსა: ამისითა: თავდებობითა: წმინდათა. მღრღელთ. მთავართა.
ბაისილი: დიდისა: მესაიდუმლოსა: ზეციერის: მზრახველისათა. გრიგოლი.
მლთის: მეყველისა: და: მეტყველებით: შემამკობელისათა: ნიკოლოზ. უბრა-
ლოთა. სიკვდილისგან: დამხსნელისა: იოვანე: ოქროვანისა: და: ოქრო: სი-
ტყუათა: მეტყუელისა. და ყოველთა: შემდგომთა: მათთა: თანა. ღირსებით:
მოსაგრეთა მწყემს: მთავართათა: პირველ: მოწამისა: დიაკონისა: ქრისტეს:
ლთის. მიმბაძველის: სტეფანესითა: წმინდის: მთავარ: მოწამისა: მენისა: ხი-
ლულთა: და: უხილავთა: მტერთა: ძლიერებით. შემმუსვრელისა: შვიდ: წილ:
უძლეველისა: და: თხოვათა: შინა: უხვად: წყალობის: მიმნიჭებელისა: გიორ-
გისითა. მოწიადეთა. ამათ: თანა: დიმიტრი: პროკოპი: თევდორე: ევსტათი:
პანტელეიმონ: ხალარამპისითა: ყოველთა: თან: მოღვაწეთა: ამათთა. მოწა-
მეთა: თანა: შემოაწმებთა: წმინდათა: ქალწულთა: ირინე: მარინე: თეკლა:
ეკატერინესითა: მამათა: მამათ: მთავართ: მეუღაბნოელთა: ქრისტეს. ლთისა-
თვინ: სულელ: ქმნილთა: სულის: მიერ: აღტყინებულთა: ყოველთა: კორცი-
ელთა: და: უკორცოთა: ლთისა: სათნო: მყოფელთა. და: ყოფადთა: ამ: ზე-
მო: წერილთა: წმინდათა: თავდებობითა: მინდობითა. და: შუა: მდგომლო-
ბითა: ესე. მცირე: კნინი. და. უნდა: არარად: შესარაცხი: აგარაკისა: წიგნი:
და: გუჯარი: კადრეთ: და. მოგახსენეთ. თქვენ. ყოველთა: ძეთა. ადამისთა-
გან: უზეშთავეს: უწარჩინებულესსა: ბერწთა: ნაშობსა: დიდსა: ქადაგსა: სინა-
ნულისასა: უდაბნოს: ყუაველსა: სულისა: ებანსა: ქნარსა: სულიერსა: წყა-
როსა. სამოთხის: ჯურღმულთაგან: აღმოცენებულსა: და: წყლისა. ცხოვრე-
ბისა: მაცენებელსა: მუცლითგანვე. დედისათა. ქრისტეს: ლთად. მცნო-
ბელსა: და: მუნით. თაყუანის: მცემელსა: ყოველთა: ნაშეთა: დედათასა:
უადრესსა. რომელი. გამოაგირჩია: უეროს. სხვათასა: და. ინება: მიღება. შენ.
მიერ: ნათლისა: და: განკმულპყო. ცანი: და. გარდამოკდომა. სულისა: და:
კმა. იგი: ზეციით: შენ: წინასწარ: განმზადებელსა: გზისა. უფლისასა: და.
წინა: მორბედსა: და: მრფელ: მყოფელსა: ადგილთა: მისთასა: უდაბნოს.
ნათლის: მცემელს. იოვანეს: ჩვენ: მლთისა. მიერ. აღმატებით. დამყარებუ-
ლისა: და. მის: მიერ: ზეციით. გვირგვინოსანისა: იასიან: დავითიან: სოლო-

მონიან: ბაგრატიანისა: პირველ: ზეციით: საქართველოს: მეფედ: განკეთი
 ლისა. და: აწ: სასუფეველ. ცათაშინა: სულ. ბრწყინვლად: მანათობელისა:
 პირველ. ვახტანგ: მეფედ: კობილისა: და. შემდგომად: სპარსთა. ენითა: შაჰ-
 ნავაზხან. კობილისა. ძისა: მისისა: და: მისგან: რტოდ: და: ნაყოფად: აღმო-
 ნორჩებულისა: ძლიერისა: და: უბძოლველისა: და: უსწოროდ: სახელ: გაწე-
 ულისა: ქართველთა. მეფისა: და: სრულიად ერანის: სპასალარისა. სპასპეტად:
 და: და: ამილაბარად. დადგინებულისა: ყანდაარისა: და. ქირმანის: ბეგლარ-
 ბეგისა: გირიშკისა: და: აილათის. მჭირავისა: პირველ. გიორგი: მეფედ: სახელ:
 დებულისა: და. აწ. მეორე. შაჰნავაზ: ხანობით: ყმა: გასულისა. მაგიერად.
 მყოფმან: ძმისწულმან: მისმან: და: ძემან: სრულიად. ერანის: მდივანბეგის:
 ლევან: ყოფილის. შაჰყულიხანისამან: ტვირთ. მძიმემან: და: ცოდვათაგან:
 ქვემხედმან: არამედ: საფარველსა: ფრთეთა: შენთა: ქვეშე: მოსწრაფედ: მოლ
 ტოლვილმან: მოქენემან. და: მოაჯემან: დღისა: მის: ზარის: საკდელთამან:
 საქართველოს: ჯანიშინმან: ბატონიშვილმან: პატრონმან. ვახტანგ. თანა. მე-
 ცხედრემან. ჩვენმან: ჩერქეზის: ბატონის. ასულმან: პატრონმან: რუსუდან: და.
 ძემან. ჩვენმან. პატრონმან: ბაქარ: მას: ჟამსა: ოდეს: ვიგულეთ. და. ვიგულის.
 მოდგინეთ: კადრეთ. და. შემოგწირეთ: თრიალეთზედ: ჩვენი. სახასო: სოფელი:
 უზნარიანი: და: ძველ: უზნარიანი. რომელსა: კარუკულმართობით: აწ. სახელ-
 სდებენ: ამ. წესით. რომე: უზნარიანის. სამძღვარი. ასრე. გაფარიგეთ: უკან.
 მოთიბის. ღელე. რომ. ჩამოვარდების. მოიარს: და: უზნარიანის. სოფლის: ბოლოს:
 ქვემოთ: უზნარიანის. წყალს. შემოეყრების. იმ. ღელეს. გაღმა. უზნარია-
 ნელთ: ურცვენისაკენ. კელი. არა. აქვსთ: და. უკან: მოთიბს: რაც: სათიბი:
 თივა: არის: ღელეს. გაღმა: თუ. გამოღმა. იქიღამაც. კელი. ავალეზინეთ. და.
 უზნარიანისაკენ: უკან. მოთიბს. რომე: სათივის. პირს: გვერდობი. მისდევს.
 სამძღვრად. ის. გაურვიგეთ. უკან. მოთიბის. სათივის. თავს: გაღმა. მთის.
 გვერდში: რომ. წყარო: არის. ის. წყარო: გაუსამძღვრეთ: იმ. წყაროდამ:
 ისრე: სერსერი. შეჰკდების: და. დიდის. მთის. გარდასავლამდე. წყაროს.
 აქათი: და: სერს. აქათი. უზნარიანელთ. დავანებეთ: სრულ. მთამდისინ: მოტა-
 ნება: და: მას. იქითი. მთა: და: ჩრდილოეთის. მკარეს: მეფის: წყაროს: ზეით:
 ჩვენი. ჯოგი. რასაცხანს. დადგებოდეს: და: სძოდეს: მეჯოგენი: ნურც.
 ყანასა: და. ნურც. სათივეს: ნუ: წაუკდენენ. და თუ. წაუკდინონ: სამართლი-
 ანათ. გასინჯვით. აზღვივინონ: აღმოსავლეთისაკენ. კარუკულმართის. მიწა:
 მოვსკერით: და. კარწახელთ. უბოძეთ: და. კარუკულმართიც. შენ. წმინდას.
 ნათლის: მკემელს: შემოგწირეთ: ამ. სამძღვრით: სოფლის. ბოლოს: რომ. მცირე.
 ტბა. არის: ის. ტბა. გავსკერით: ტბის: ბოლოს გაღმა: რომ. პატარა. გოხი.
 ჩამოსდევს: ხრამისაკენ: და: ხრამში. ის. დუბე. ვაკე: ადგილი. და. იმ. დუბეს.
 იქით რომ: კლდოვანი: სერსერი. ჩასდევს. წყლამდინ. კარუკულმართელთ:
 დავანებეთ: ამას. ქვეით. კარწახელთ მივეციით: ტბის. თავიღამ: ტბასაც.
 მოვსკერით. და. კარუკულმართის. ნასოფლარს რომ. პატარა: გორაკის: ბოლო:

წამოსდგმია: იმ. გორაკის: თავს. ტბიღამ: აღმა: ავსჭერთ: და: იმ. გორაკის:
თავიღამ: ურიბად. გაუსამძღვრეთ. უზნარიანიღამ: სათრაღლეთო: ეძნისაკენ.
რომ. დიდი. შარა: წამოვა: და: დიდს. ღელეს: გამოიარს: ის. ღელე. და:
გზა: რომ: შეიყრების: გორაკის. თავიღამ: იმ. ღელის: გზამღე: ურიბად.
გაუსამძღვრეთ. და: ამ. ურიბს. სამძღვარსა: და: ღელის: მიღგმას: გარე-
თაც. დარჩათ: იმ. ღელის: შეყოლებით: ანტრაფის. მთამდისინ. სუღ. კარწა-
ხელთ. უბოძეთ. და. ღელესა. და. ურიბად: გაჭრილს. შიგნით: კარუკულ-
მართელთ. დავანებეთ: ამ გვარად. გაურიგეთ: და. რაც. წმინდის. ნათლის:
მცემლის: საზღვარი არის: ნურა. მწყემსი. მათ. უნებურად: ნუ. დადგების:
და: ნურც. ყანასა: და: სათივეს: წაუკდენენ: და: თუ: წაუკდინონ: და: თუ.
წაუკდინონ: სამართლიანად. უზღონ: ესე: ასრე: თვისის: შენებულებითა:
შეიწირე: შენ. ყოვლითურ: სათნოთა: ღთისათა. აღსავეს: წინასწარმეტყვე-
ლო. და: წინა: მორბელო: უდაბნოს: ნათლის: მცემლო: იოვანე: შეიწირე:
ვითარცა. უფალმან: და. ღთნ: მსხვერპლი: იგი. აბელისა. და: აბრაჰმისი:
გინა: ორნი. იგი: წვლილნი. ქვრივისანი. ანუ თუ. მართვენი. იგი: ტრედისანი:
გიაჯები. და: მოქენე. ვარ: პირველ. ამისთვინ: რათა: გამომხსნელ: და:
მცველ: და: მფარველ. ექმნა. მეფეთ. მეფესა: და. სპასალარს: სრულიად: ვრა-
ნისასა: გიორგი. წოდებულს: აწ. შაჰნავაზხანს. ქვეყანასა: მის: უცხოღამ: და:
ღირს მყო. ხილვასა: მისსა: ქვეყანათა. თვისთა: შინა და: შემდგომად. ამი-
სთვის: ესრედ: ნაცვალ. მაგე: წინაშე: უფლისა: და. მეუფისა. რაჟამს: მო-
ვიდეს: განსჯად: ცხოველთა: და: მკუდართა. დღესა: მას. დიდსა განკითხვი-
სასა: და: თანა: შეერთებულ: მყოს: არვესა: მას: მარჯვენით: კრებულთასა.
რომელისათვისცა: განმზადებულ არს. სასუფეველი: არა: ამისთვინ: შემოგ-
წირეთ. და: მოგახსენეთ: რათამცა: ღირსი: რამე. იყო: ძღვნობად: შენდა:
ანუ: შესაძინელ: მონასტრისა: წმინდისა: შენისა: ანუ: კეთილ. ლაბაობისა-
თვინ: ად: ამისთვის: რ: ვინათგან: მოსე: დასწერს: პირველ. ნაყოფისა: შეწირვასა:
უფლისა: მიმართ: ესე: იყო: პირველი: ჩემმიერ: ჟამთა: ვითარებისაგან: აოკ-
რებულ. იყო: მტერთაგან: და: არავის: აკსომდა: შენებულება: მისი: პირვე-
ლად. სხვათა: შენობისა: უწინარეს: ამის. ვიწყე. შენებად: და: პირველ: ნა-
ყოფი: ჩემი: ყოველთა. კაცთაგან: ნოუღვეარი: მოუსარჩლებელი: მკვიდრი:
მამული. და: ჩემგანვე. ნაღვაწი: მოგახსენე. შენ. პირველ: ქადაგსა: სინანუ-
ლისასა: და: ვათავისუფლეთ: და: ვაზატეთ: ყოვლისა: სამეფო: სათავადო:
საერისთაო: საზნაუროს: და. სხვათა: სამოკელოთა: სათხოვრისა. არა: ეთხო-
ვბოდესრა: არცარა: დებულობითა: არცარა: შეწერთ: ყოვლისაგან ნივთი-
სა: რასაც: თქვენ არ. გემსახურნენ არავისი: შევიდეს: მუნ: კაცნი: მოსაქ-
მენი. არცა. სპასალარისა: არცა: მანდატურთ. უზუცისა: არცა: ეჯიბისა.
არცა: მწერალი. და: მთვლელი: კვამლთა: არა. სათათრო: საური. არა: კო-
დის პური. არა: საბალახე: არა: პირისთავი: არა: ნახირის თავი: არა: სამე-



ჯინიბო: კრავი: და: ყუელი: არა: სამეჯოგო: არა აჯილღისა: და. კვიციანი
 მიბარება. და: მათი: საზღო: ქერი: არცა: ბზე: და: ულაყი: არა: ბაჟი: და:
 სეფის: მუშაობა: არა კენა. და: მკა. არცა: სეფის: მუშაობა: არა: ლე-
 წვა: არცა: ნახშირი: არა: გამოსაღები: ხარჯისაგანი: არა: ოქრო და: ვერც-
 ხლი. არა: რკინა: და: სპილენძი. არა. კალა: და: ტყვივა: არა: პირუტყვი:
 არცა: ფრინველთაგანი: არცა: მხალთაგანი: არცა: ბალახთა. ხეთა. და: ქვა-
 თაგანი. არა: სამასპინძლო: და: თოვლის: ზიდვა: სულიერით. უსულომდი.
 არ გეთხოვბოდეს: არა: კევისთავი. შევიდეს: თქვენში. გინა: სხვა: ვინმე. გა-
 მრიგე: ბჭენი: არამედი. თუ: ვისმე: საჩივარი. და: სარჩელი: ჰქონდეს: დიდე-
 ბუღთა: კართა: ჩვენთა: მოვიდნენ. და: მუნ: მართლის: სასჯელით. განისამა-
 რთონენ: ლაშქართა: და: ნადირობას: გვიახლებოდენ: ამისთვინ: დავდევით:
 ლაშქრობა. ქუეყნის: სიმაგრე: არის: და: ნადირობა: ლაშქრობის: მასწავლე-
 ბელი: სხვა: ამისთვის: ყოვლით. ვათარხნეთ: რომე: მათი. გამოსაღები წმინ-
 დას. თქვენს: მონასტერში: მივიდოდეს. მონათა: თქვენთა: და: მამათა. ჩვე-
 ნთა: მუნ: მყოფთ. კრებულთ: ნუგეშინიცემდეს: -უკეთუ: ერისთავმან: ანუ-
 თუ: თავადმან: ანუ: კარის: მოკელემან: ძალი. რამე: მოინდომოს. ანუ: ჟა-
 მთა: ვითარებით: უღები. დასდვას: და. სათხოვარი. სთხოვონ: ანუ: რბე-
 ვად: კელჰყონ: ანუ. გლეხის: აყრა: მოინდომონ: და: უსამართლოდ. წაგვა-
 რონ: ანუ: ხარკს. ქვეშ: ჩაგდონ: მივიდეს. ერთი. მამათაგანი. ამხილოს. სი-
 გლისა. ამის. ბძანება: აუწყოს: უკეთუ: შეინანოს: დასცბრეს. კეთილ:
 უკეთუ. არა. ისმინოს: მეფისა. და: კათალიკოზისა: მიერ: შერისხულ. იქმ-
 ნას: და. მეორედ. მოსკლას: შენ: მიერ: ქრისტეს. წინ: განიდევნოს: აწე:
 ვინცა: და: რამანც: ადამის: მონათესავემ. კაცმან: დიდმან ქვეყნის. მპყრო-
 ბელმან. კელმწიფემან: მეფემან: ანუ: დედოფალმან უფლისწულმან: სამღვდლო-
 თა: მწყობრთა: განმან: პატრიარქმან: ეპისკოპოზმან: წინამძღვარმან. მღრღე-
 ლმან. დიაკონმან: კანდელაკმან: ანუ თუ: დიდებულმან: თავადმან: აზნაურ-
 მან: გინა. გლეხმან. ანუ. დედათა. განმან: ვინმემ: დიდმან: ანუ: მცირემან:
 გინათუ. სჯულის გარდამავალმან: ამა: ჩვენგან: მკაცრედ: შეუცვალე-
 ლად: შეწირულის: ამის. სოფლის: და: წიგნის: კელჰყოს: შლად: და: ქცე-
 ვად: და: შეცვალეზად: ღთო. ჩვენო. ჰყუნენ: იგინი. ვითარცა: ურმისთვალი:
 და: ლერწამი. წინაშე: პირსა: ქარისასა. და. აღედვას: ცეცხლი. თავსა: ზე-
 დან: მათსა: ვითარცა: თივათა: და: მწვანეთა: ველისათა. და. მტერთა: მათ-
 გთა. კელითა: დაითურგნენ: ვითარცა. თივა. უბნისა. იყუნენ: გზანი. მათნი.
 ბნელ. და. საცთომელ: და: ბძანებითა: საუფლოთა: ცოცხლივ. შთაკდენ: ჯოჯო-
 ხეთად: იყუნენ სავანე: და. სამყოფი: მათი. ცეცხლი. დაუშრეტელი. და:
 მატლი. დაუძინებელი. ანგელოზმან. მალღისამან. ძლიერად. აჭირვენ. მას: და.
 ანუგარძვე: ცხოვრება. მათი. მქენ ჯნელთა: ტარტაროზთანა: ყუნენ: იგინი. ვითა-
 რცა: მადიამ: და. ვითარცა. იობი: კევთა: კიშონისასა. ყოველი. გაგებული.
 მათი. შეიცვალნენ: ბოროტად: შერისხდი: შენ: ღთო: ჩვენო: ყოვლად.




ძლიერო. სამებაო. ერთარსებაო. კუალად. რომლისა. არს: ქარტა: და: სიგე-
ლი. შენ. შერისხდი. აღმოფხვრას: ღთნ: თესლითი. თესლამდინ: ძირი. და:
ნაყოფი: მისი: კრულ: იყოს: ცათა: შინა. და: ქვეყანასა. ზედან: სული. და:
კორცი: მისი. მკედარი. და: ცოცხალი. მისი. სმა. და: ჭამა: სიტყუა: და:
სათქმელი. მისი სიცილი. და. სიხარული. მისი. ნუმცა. გამოიღებს: ორნატი.
ვენახი. და. ხილი. ნაყოფსა: მის. კაცისათენ: და: არა: გაზარდოს: ქვეყანა-
მან. და: მწვანემან: ველისამან: ზვასტავი. და: ოთხფერკი: მისი: არა: მოსცეს:
ცამან: ცვარი. და: ჰაერმან: დამშვიდება: და. ყოველი. გაგებული. მისიმც:
მოიშლები: დღესა: მას: დიდსა. განსჯისასა: მარცხენათა: მათ: თანამცა.
მდგომარე არს: და. კბილთ: ღრჭენითამცა: წარტაცებიან: საშინელთა: და:
სხაროდ: მქენჯნელთაგან: ნურათამცა: სინანულით ნუ. იქნების. ხსნა. სუ-
ლისა: მისისა. ცეცხლისაგან: დაუშრტელისა. და: მატლისაგან. დაუძინებე-
ლისა. ესრეუ. განისვენოს: აწდა: უკუნისამდინ: ხოლო დამამტკიცებელმან.
ამა: წიგნისა. და. სიგელისამან: ესე. ვითარის. წყევისაგან განარინნეს. სულ-
ნი. მისნი. ძის. ძენი. და. თესლტომი. მისი: და: არა: შეეზოს. მას. ბოროტი:
და: არცა. განიპყრნეს: კელნი. თვისნი. უსჯულოებად: არა. შესცვალოს:
შეწირული. წიგნი: ესე. დამატკიცოს: ღთნ. ყოველთა: დამამტკიცებელმან.
სულითა: აბრაჰამისათა: სულითა: მოსიანითა: სულითა: დავითიანითა: სულითა:
ყოვლად. წმინდითა. და. ნუგეშინის: მცემელისათა: დაიწერა: მტკიცედ: უცვა-
ლებელი. გუჯარი. ეს: დასაბამითგან: წელთა: ქრისტესამდე: ხუთი. ათასს:
ხუთასსა: და: ქრისტეს: აქათ: დღესამდე: *) ინდიკტიონსა: გამგეობისა. ჩვე-
ნისა: მეოთხესა: მოქცევასა. მზისასა: *) მთავარესა: ერთსა: დღესა. კვირი-
აკესა. თვესა. მარტსა: კვ: ქკსა: სამას: ოთხმოცდა: თხუთმეტსა: კელითა: კა-
რისა: ჩვენის: მდივან: მწიგნობრის: თუმანიშვილის: გივისითა.

ბეჭედი წარწერათ: რტოდ ვარ დავითის მეგლ ლომად ვით ის, ვახტანგ
ვამტკიცებ მეფის ძეობით კიდევ ბეჭდები რუსუდანის, თეიმურაზ
და ბაქარ ბატონიშვილებისა. კიდევ ერთი ბეჭედი, რამდის წარწერა
ვარ სწავს.

1708 წ. სიგელი ნაოჯისმცემლას მოხსატრისა № 232, დაწერილია ღამაზად
ქადაჯ. ზომით 48 1/4 x 33 სანტიმ. მიცემულაა მოსამართლეთა შიგ.

ქ. ნებითა: ღთისათა: და: ბრძანებითა: საქართველოს: გამგებელის: ბა-
ტონის: შვილის: ვახტანგისათა: დავსხედით: ჩუენ: ორბელის: შვილი: სარ-
დალი: ბატონი: ლუარსაბ: ორბელის: შვილი: მდივანბეგი: ბატონი: ერასტი:

*) აქ კარიელი ადგილია დატოვებული.



შალიკაშვილი: ნაზირი: ბატონი: ედიშერ: მდივანი: ოთარი: უზნარიანისა: და: კარუკულმართის: ბეგრისა: გამოდების: გასარიგებლად: ასე: რომე: ეს: ადგილები: ძველთაჲს: ჟამთა: ვითარებით: აოკრებული: იყო: ბატონიშვილმა: ვახტანგ: ააშენა: და: მათდა: საკსენებლად: გარესჯის: მრავალ: მთის: უღაბნოს: ნათლის: მცემლის: მონასტერს: შესწირა: რადგან: ახალი: ნაშენი: იყო: და: ზოგი: შენდებოდა: გაბეგრული: არ: იყო: აწ: ჩვენ: გვბრძანა: და: ნათლის: მცემლის: წინამძღუარი: ბატონი: ხარიტონ: და: სხვა: მონაზნები: მოვიწვიეთ: და: ასე: გაგბეგრეთ, მეფეთაგან: ასე: გათარხნდა: რომე: ვერ: შევა: ამ: სოფლებში: სათათრო: საურის: მკრეფელი: არა: მებალახე: არა: მეპირისთავე: არა: ნახირის: მთვლელი: და: მოკოდის: პურე: ვერცა: სხვა: შემწერელი: არა: მე: მეოჩხრე: და: ან: რისაც: ნივთის: მთხოვლი: ესე: საბატონო: გამოსადები: სულ: ნათლის: მცემლის: მონასტერში: უნდა: მივიდეს, ამას: გარდა: ვერ: შეუა: კევის: თავი: ვერცა: იასაული: არცა: სახლთხუცის: და: სხვათ: მოსაქმე: არცა: ერისთავთა: და: თავადთა: კაცნი: და: მოსაქმენი: არცა: ჯელგათა: და: მეულაყეთა: და: მეშათა: გამომყუანებელი: ამდენი: საქმისაგან: გათავისუფლებულნი: არიან: ამას: გარდაის: დავდევით: ბეგრად: მონასტერში: მივიდეს: ეს: მცირედი: დავდევით: რომე: გლახი: არ: შეწუნდეს: და: სიხარულით: ეს: ყოველი: მონასტრად: მიიღონ: და: მიიტანონ, დავდევით: რომე: თრიალეთზე: გუთანზე: სამოცი: კოდი: პური: და: ქერი: ედვა: ბატონისა: ექუცი: სანოურაო: ამისგან: ათი: კოდი: გვპატივები: და: ორმოც: და: თექვსმეტს: კოდს: პურს: და: ქერს: გუთანზე: გამოიღებდენ: ამ: გზითა: რომე: აზავერს: გარდა: სხვა: კარი: არ: შეინახონ: საბალახე: ოცზე: იყო: და: ჩვენ: ახლა: შადავათი: უყავით: ოცდა: ათზე: ერთი: დავდევით: ახლა: ას: ორმოცდა: ათზე: სამს: ბატონიანს: მისცემდენ: და: ორს: მშრალს: მის შიშლიგი: და: საკლავი: სხვა: ასორმოცდა: ათზე: პირის: თავი: ოცს: კუამლზე: ნახირის: თავი: ერთი: ძროხა: საშობო: ოცს: კომლზე: ძროხა: ერთი: ცხვარი: ორი: ერბო: ლიტრა: სამი: ასრევე: სააღდგომო: გამოიღონ: კოდის: პური: საკომლოზე: სამი: კოდი: ამ: გამოსადებს: ტფილის: ქალაქს: ჩამოუტანდენ: ბატონის: კოჭრის: ულაყი: რომ: ედვა: თითოს: აბაზს: კომლზე: ართვემდენ: ოროლი: შაური: გვპატივები: და: ოროლს: შაურს: მისცემდენ: საქერიო: როგორც: თრიალეთზე: წესია: ისე: მისცენ: გასამყრლო: ამ: რიგად: თავის: გასატეხი: კარი: და: მორჩილი: მკლავის: მოტეხა: კბილის: ჩავარდნა: დედაკაცის: გალაკვისა: და: ბოზობის: და: სისხლის: საქმე: რაც: იმ: სოფელში: და: ერთმანეთში: მოკდეს: ბერები: გაურიგებდნენ: ჯურუმს: თავისთვის: წაიღებდნენ: თუ: გარეშე: კაცით: მოკდეს: ბატონის: კარის: გამრიგე: გაურიგებდეს: და: ჯურუმს: კიდევ: ბერებს: მისცემდენ, ამას: გარდა: თუ: ბერებს: დასკირდეს: პატრონ: ყმობის: გზით: როგორადაც: მართებული: იყოს: და: ან: სხვას: სოფლებს: სთხოვბოდეს: ისე: ამ: თავის: სოფლებს: სთხოვონ: სამართლიანის: საქმით: სათხოვარსა: და: ოჩხარს: მოუ-

რაფის: სარგოსაც: რაც: სდებოდესთ: ამავე: ბერებს: მიართმევდენ: სხვა:
მათი: განთავისუფლება: და: სამძღვარი: დიდს: გუჯარში: სწერია: ერთი:
სხვა: ამის: ტოლი: უზნარიანელთ: აქვს: ქკსა: ტყვ

დასმულია ბეჭდები წარწერთ: მონა ღთისა სარდალი ლუარსაბ; მონა-
ღთისა ყმა გიორგისა დივანბეგი ერასტი: კიდევ არი ბეჭედი.


არშიაზე: სალთხუცესი: მუხრან; ბატონის: შვილი: პაპუა: ვამტკიცებ:

ბეჭედი წარწერთ: ბატონიშვილის სახლთხუცესი პაპუა

1708 წ. ნათლის მცემლის მონასტრის სიგელი № 11, მიცემული ბატონიშვი-
ლის კოსტანტინეს მიერ, დაწერილია ქაღალდზე ზომით 16×14
სანტიმეტრი.

ქ: ჩვენ: ბატონის: შვილმან: ბატონმა: კოსტანტინემ: და: ძმამან: ჩემმან: ოტიამ:
შემოგწირეთ: თქუენ: ნათლის მცემელსა: დავით: გარესჯისასა: ჩვენად: სა-
დღეგრძელოდ: და: ცოდვათა: ჩვენთა: შესანდობელად: ასე: და: ამა: პირსა:
ზედან: რომე: მაზნაშვილი: ივანე: და: თამაზა: ბატონის: მამის: ჩვენის: მოა-
ლაპენი: იყვნენ: და: ჟამთა ვითარებითა: აიყარნენ: და: კახეთს: წავიდნენ: ხა-
ნი: გამოვიდა: კემწიფისაგან: წყალობა: იშონა: ქართველის: ჯანის: შინმა:
ბატონმა: იწ: (sic) შვილმა: ბატონმა: ვახტანგ: ყვენის: ყულით: ქართველი:
კაცი: აყარა: კახეთსა: ჩვენცა: ეს: ჩვენი: კაცი: აყარეთ: მობძანდენ: ნა-
თლისმცემელის: წინამძღვარნი: ხარიტონ: თავისის კრებულითა: ეს: კაცი:
თავისის: ძმებითა: ცოლშვილით: მივართვით: ნათლის: მცემელისათვის: ჩვენს:
მეტს: ამ კაცთან: სხვას: სახლის: კაცს: კელი: არა: აქვს: იანვარს: ათჩვიდმე-
ტსა. ქორონიკონსა: ტყვ

ბეჭედი წარწერთ: მონა ღთისა ბატონიშვილი კოსტანტინე.



Handwritten notes in blue ink on the left margin, including the number '904/106' and some illegible characters.

1708 წ. სიგელი ნათლისმცემლის მონასტრის № 6, დაწერილი ქალაქდზე
ზომით 35¹/₂ × 31 სანტიმ., მიცემულია ვახტანგ ბატონიშვილის
მიერ.

ქ: ნებითა: და: შეწვენითა: ღთისათა: და: წყალობითა: დიდის: კემწი-
ფისათა: ჩვენ: პირველიდგანვე: ზეცით: საქართველოს: მეფედ: განკუთნილი-
სა: და: აწ: სასუფეველ: ცათა: შინა: სულ: ბრწყინვალედ: მანათობელისა:
კურთხეულმცარს: მეფედ: მეფის: პირველ: ვახტანგ: კობილისა: და: შემ-
დგომად: შაჰნავაზ: სახელ: დებულისა: ძისა: მისისა: ქართველთა: მეფისა:
სრულიად: ერანის: სპასალარისა: ყანდარისა: და: ქირმანის: ბეგლარ ბეგისა-
გირიშქისა: და: აილათის: მჭირავისა: პირველ: გიორგი: მეფედ: წოდებუ-
ლისა: და: აწ: სპარსთა: ენითა: მეორედ: შაჰნავაზობით: სახელ: გამფენილისა:
მაგიერად: მყოფმან: ძმისწულმან: მისმან: და: ძემან: ერანის: მდივანბეგის:
ლევან: ყოფილის: პატრონის: შაჰყულიხანისამან: საქართველოს: ჯანიშინმან:
ბატონიშვილმან: პატრონმან: ვახტანგ: ესე: ამიერთ: უკუნისამდე: ყამთა:
და: ხანთა: გასათავებელი: და: სამკუიდროდ: და: საბოლოოდ: გამოსადეგი:
გლახების: და: წყალობის: წიგნი: და: ნიშანი: შევიწყალეთ: და: გიბოძეთ:
თქუნ: ჩვენსა: ერდგულსა: და: წესისაებრ: ნამსახურს: უდაბნოს: მყოფს:
ორბელიშვილს: მონაზონს: საბას: მას: ყამსა: ოდეს: ქალაქს: გლახების: ბო-
ძებას: დაგვაჯენით: ვისმინეთ: აჯა: და: მოხსენება: თქუენი: და: გიბოძეთ:
ქალაქს: ჯომარდანთ: მკერვალი: დემეტრე: და: მისი: ძმა: ზურაბა: და: პაპა:
ალაყულაშვილის: ნასყიდი: ყოფილიყო: და: თავი: დაეხსნა: თავის: ბატონის:
ახატულობის: წიგნი: აეღო: და: იოვანე: ნათლის: მცემლის: მონასტრის:
ყობა მენდომებინა: იმას: ჩვენის: ყმის ჩივიანაშვილის: სახლკარი: ჰქონდა:
მეორე: კომლი: აფეზაშვილი: ოჰანა: და: შევსწირეთ: მრავალმთის: მონას-
ტერს: ნათლის: მცემლისას: ბიძის: ჩემის: გიორგი: მეფის: სულისა: და: ცოცხ-
ლივ: გამოხსნისათვის: და: ჩემის: ძმის: ქაიხოსროს: და: იასეს: გამოყუანი-
სათვის: და: ჩემის: სულის: სახსრად: გქონდეს: და: გიბედნიეროს: ჩვენსა:
ხსენებას. მონასტერში: ნუ: დაგვაკლებთ: აწ: გიბძანებთ: კარისა: ჩვენისა:
ვაქილ: ვაზირნო: და: გამრიგენო: ბძანება: ესე: თქუენცა: ასე: დაუმტკიცეთ:
დაიწერა: ბძანება: და: ნიშანი: მკათათვის: გასულს: ქკს: ტყვ: კელითა:
თუმანიშვილის: დავითისითა:

ბეჭედი წაწერილია: რტოდ ვარ დავითის, მეელ ლომად ვით ის, ვახტანგ
ვამტკიცებ მეფის ძეობით.

1708 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 65, დაწერილია ჯამაზად
ქადაგდზე ზომით $22\frac{1}{3} \times 17$ სანტიმ., მიცემულია ზაფხუზაშვილის
მიერ.

ქ.: ესე: შეწირულობის: წიგნი: მოგართვი: მე: ზაფხუზაშვილმა: ოპანამ: შეი-
ლმა: ჩემმა: და: სახლისა: ჩემისა: მომავალმან: თქუნ: გარესჯის: ნათლის-
მცემლის: წინამძღვარს: ბატონს: ხარიტონს: და: ბატონს: ბესარიონს: და:
ბატონს: საბას: და: თქუნს: კრებულს: ასე: რომე: თათრის: შვილი: ვიყავ:
და: გავქრისტიანდი: უპატრონოდ: ვიყავ: მოველ: თქუნს: მონასტერს: თავი:
შემოვსწირე: და: ვეყმევი: თავიან: შვილიანად: და: სახლ: კარიანად: ჩემი:
მცილე: არავინ: იყოს: ღთის: მეტი: და: რაგვარადაც სხვათ: თქვენმა: ყმებ-
მან: გამსახუროსთ: და: გამოსაღები: თქუნს: მონასტერს: მიაართონ: მეც:
იმ გვარად: გამსახუროსთ: და: გამოსაღები: თქუნს: მონასტერს: მოგართვა: მოწმე-
ბად: მომირთმევია: ქალაქის: მეღიქი: გიორგი: მამასახლისი: ფარსადანა:
ნაცვალი: ქაიხოსრო: დაიწერა: ქრისტიანობის დამდევს: ქკსა ტყვ: მოწამე: მამასა-
ხლისი: პაპუნა: ყუზანაშვილი: ბეჟუა: მოქლაშვილი: ბეჟუა .

ბეჭდები ფარსადან მამასახლისისა, მეღიქის გიორგისა, ნაცვლის ქაიხოსროსი,
ზაზუა მამასახლისისა, მოქლაშვილისა და ბეჟუასი.

1709 წ. სიგელი ნათლისმცემლის მონასტრისა № 264, დაწერილი ქადაგდზე
ზომით $63 \times 23\frac{3}{4}$ სანტიმ.

ქ. სახელითა. ერთა არსება. ზღთისითა. მამისა [ძისა და სულისა წმინდის.
დედოფლის: ჩვენის: მღთის: მშობლის: მარადის: ქალწულ: მარიამი
სითა: [შემწე]ობითა: შუა: მდგომლობითა: ზეცის: ძალთა: ანგელოზთა:
მთავარ: მიქელ: გაბრიელ პატიოსნის: მცხოველს: მყოფლისა: და [ქე]შმა
რიტისა: რომელსა: ზედან.. განიპყრა: ურხწნელი: მკლავი: თჳსნი: ჩვე-
ნის: ხსნისათვის: ათ: თორმეტი: მოციქულთა: პეტრე: პავლე-რიესითა: მათი-
თა: შუა: მდგომლობითა: წამინდის: წინასწარმეტყულისა: იოვანე: მახ-
არებლისა: იოვანე: ნათლის: მცემლისა: იოვანე: ოქრო: პირისითა: დიდისა:
დიდებულისა: წმინდის: გიორგის: სადგრისა: წამინდის: გიორგის: გორის
ჯუარის: წამინდის: გიორგის: მოღნინითა: წამინდის: გიორგის: თელეთითა:
მათითა: მინდობითა შუა: მდგომლობითა: მამათა: მთავარ: მეუღაბნოეთა
მესუეტეთა: შიშუელ: მართალთა: კორციელთა: და: უხორცოთა: რომე-
ლნი: საუკუნოთაგან სათანად: ეყუნეს: უფალსა: ჩვენსა: იასო: ქრის-
ტესა: კულავდაც: სათანოდ: ყოფადვე: არიან: და: რაიცა: პატიოსანს:
წამინდას: სუინაქარშიგან: სწერიან: ანუ: მოიხსენებიან: მათითა: მინდო-

ბითა: შუა: მდგომლობითა: ეს: უთუო: და: უთუყო დრო: დაუდებელი: მიზეზ: შემოუღებულო: ყოველის: ჩახუბისა: და: ილეთისაგან: გამოსული: წიგნი: და: სიგელი: დაგიწერე: და: მოგეცი: მე: ოპნეზანთ: მე ჩახჩურე: ვასოამა: შვილმან: ჩემან: გიორგიმან: და: ათუნამან: სახლის: ჩემის: მამავალმან: ყოველმავე: შენ: უდაბნოთ: ნათლის: მცემლის: წინამძღვარს: ხარიტონს: ბესარიონს: სუიმონს: საბას: იოვანეს: ერთობილ: კრებულს: მამავალსა: თქუენსა ყოველთავე: მას ეამს: როდეს: დაგუეკირდა: მოგიდგვი: კარს: თქუენსა: მოგყიდე: ჩვენი: ალალი: მამული: სახლკარი: ერთი: აშენებული: ოთახი: ამ: ოთახის: ერთი: გვერდი: კედელი: შარის: კედელს: მიკარული: უკან: ზენალანთ: მელიქიანთ: დუქნის: კედელი: წინა: თავისი: ეზოთი: თავის: ჭიშკართა: თავის: შესავალ: გამოსავლითა: ამ ეზოს: მიკარული: იეზნთ: მერაბას: დუქნის: კედელი კიდევ: ამ ეზოს: გვერდით: ერთი: სათორნის: ალაგი: ყეზანათ: ბეასოას: დუქანსასა: და: დინიბეგნთ: ოსანას: დუქნას: კედლებს: მიკარული: ერთი: გვერდი: კედელი: პარნუმეკანთ: სახლისკენ: არის: ერთი: გვერდი: კედელი: პარნუმეკანთ: სახლის: კედელთა: კიდევ: ჩვენს: ეაზრი: ჭიშკართან: პარნუმეკანთ აქეთი: გვერდის: სახლის: კედელთა: ამ კედლის: ცხურიდამ: აგურ: ნახევარი: ჩვენს: ეზოსაკენ: უნდა იყოს: ეს: კედელი: მგურგლივა: ჩვენს: ჭიშკარს: ცხვრს: აქეთ: კედელს: მიეკურის: ავიღე: თქვენგან: ფასი: ნათლის: მცემლის: თეთრი: რითაც: ჩვენი: გული: შესჯერდებოდა: არა: დარჩა: ჩემი: თქუენს: კელთ: არცარა: ერთი: იოტის: ფასი: მოგცესა: და: გიბედნიაროს: ღთს: რარიგადაც: მრავალს: ნასყიდს: მართებდეს: არვინ: შემოგეცილოს: თვნიერ: ერთის: მღთის მტეი: თუ: ვინმე: შემოგეცილოს: პირისა: და: პასუხის: გამცემი: მე: ვიყო: რამც: გუარმან: კაცმან: ეს: ჩემგან: მოცემული: წიგნი: და: სიგელი: მოგიშალოს: ისიმც: მოიშლების: საქრისტიანოსაგან: მისმც: შედეგის: გაზეთი: ზეცის: შიშთული: იულისა: ძრწოლა: კენისა: ნუმც: იხსენების: სული: მისი: ჯოჯოხეთისაგან: მისმცა: რისხავს: ზეით: ღთი: ყოვლნი: მისნი: წმიდანნი: ზეცისნი: და: ქუეყანისანი: კორციელნი: და: უზორცონი: ამინ: დამტკიცებელი: ამისი: აკურთხოს: ღთს: არის: ამისი: მოწამე: თავად: ღთი: კაცთაგან: მელიქი: გიორგი მამასახლისი: ფარსადანა დეკანოზი: იასე მამასახლისი: პაპუა: შერგილანთ: ზაქარა იავანგულანთ: მელქია ოქსანა ბისოა (?) ყუზანათ: ბეახოა: ფირყელანთ: გიორგა ვათასინის: ტერ: სარქისა გომშატალნთ: საფარას: დამიწერია: მოწამეცა ვარ: დაიწერა: ეს: წიგნი: და: მტკიცე: სიგელი [ნოემბრის] გასულს: ქკს ტვზ.



დასმულია ბეჭდები: მელიქის გიორგისა, შამსახლისი ფარსადანისი, იესე დეკანოზისა, პაპუა შამსახლისისა, ზაქარასი, იაენგულის მეღჭუასი, ოქსანოსი, ფირყოლანთ გიორგისი და ტერ-სარქისისა (სომხურად).

1710 წ. საგლედი ნათლის მცემლის მონასტრისა № 2, ბოქებუდი იმამუელ ხანის მიერ, დაწერილია ქადაგდზე ზომით 185¹/₂ × 22 სანტიმ.

შვა სულთან უსეინ

ქ: შეწევნითა: და ბძნებითა: ღთისათა: ჩვენ: იასიან: დავითიან: სოლო მონიან: პაკრატონიამა: კელმწიფეთ: და მეფეთ: ძემან: და მალლისა: და ცის კიდის: კიდემდი: სახელ: განფენილის: ბედნიერის: სრანის: კელმწიფის:-
:- შვილურებ: აღძრდილმან: და მათ: მიერვე: გაბატონებულმა: მეფეთ: მეფემ: დავით: პატრონმან: იმამყულიზან: დედამან: ჩვენმან: დედოფალთ: დედოფალ-მა: ბატონმა: ანამ: ძმამან: ჩვენმა: კოსტანტილემ: და თეიმურაზ: ძემან: ჩვენ-მან: ლევან: შირზამ: ეს: წიგნი: და სიგელი: მოგართვით: უდაბნოს: მრავალ: მთის: ნათლის: მცემლის: მონასტერს: ამა: პირსა: ზედა: რამეთუ: თქუენი: უდაბნო: მოკრებულიყო: ჟამთა: ვითარებისაგან: და სხვითი: სხვად: ცვაღე-ბადის: დროსაგან: აღარაფერი: შენობა: აღარა: ყოფილიყო რა: საყდრის მეტი: და ისიც: მოშლილი და: დაქცეული: წმინდანნი: მღვდელ: მოლოზონნი: დამ-დგარიყუნენ: დიდი: შრომა: და: გულს: მოდგინება: დაედვათ: რაც: ძალედ-ვათ: გაეხლათ: მონასტერი: და შენობა: ჩაეგდოთ: ბატონს: მამა: ჩვენს: მეფეს: ერეკლეს: ქართლი და: კახეთი: რომ: ეპყრა: თანა: შემწვე: სქმნოდათ: და საცნაურ: იყო: პირველიდგანვე: ჩვენის: სახლის: კელმწიფეთაგან: სოფ-ლები: და აგარაკები: შეწირული: ყოფილიყო და: პირველ: მონასტრის: მოშ-ლით: გუჯარი: დაკარგულიყო: და აღარა: ჩნდა რა: თუ: ზეპირ: ვისგანმე: მოგვეხსენა: რომელიც: მამულეები: იყო: შეგვიკრიბეთ: მაგრამ: უგუჯროთ: ვერვის რა: შეტყო: ბერების: გამოსაზრდელი: აღარა: იყო რა: მოვიდა: წინამ-ძღვარი: მამა: ხარიტონ: მღვდელ: მონაზონი: სეიმონ და: ბესარიონ: და ყო-ველი: კრებული: მათი: საზრდოსა: და მამულის: წყალობას: გვაჯნეს: მოკი-თხული: ვქენით: ასეთი: ნაშენი: სოფელი: არა: იყო რა: გაცემულიყო: და ნაოკარი: უშენი: ჩვენი: საღალო: იორს: ვაღმა: ბალბიანი: შემოგწირეთ: ყოველთა: ნაშობთა: უმეტესო: წინასწარმეტყუელი: წინამორბედო: და უდა-ბნოს: მოქალაქეო: წმინდაო: იოვანე: ნათლის: მცემლო: მოგახსენეთ: თქუენ: და მიუბოძეთ: თქუენს: მონასტერში: მღვდთ: კრებულთა: ყოვლის: კაცის: უცილებლათ და: მოუსარჩლელათ: ვერცა ვინ: კელი: დაიდვას: ვერცა ვინ: წინამღვდომ: გექმნასთ: თვინიერ: შემწეობისა: და თანა: მღვდომის: გარეშე: ესრეთ: სახეთ: შემოგვიწირავს: მწარე: წყლის: დღე: რომ: ჩამოვარდების:



და იორს: შერთვის: მის: პირდაპირ: წითელი: კლდე: რომ: არის: მის: გარდმოსწვრივ: დაბლა: ორს: ღელეს: შუა: რომ: გორა: არის: ავლით: რომ: გორებია: და მის: ძირს: რუი: გარდმოივლის: რუს: ატანებით: გორა: რომ: დასწყდება: და საქალაქუე: შარა: ჩამოივლის: მის: გასწვრივ: ივრამდე: ბოლო-საც: ივრამდი: თავის: სარწყავის: რუის: წყლის: მოუშლელათ: წმინდის: იოვანე: ნათლის: მცემლისათვის: შეგვიწირავს: ჩვენათ: საღვთგოდელათ: და გასამარჯვებლად: და მეფობისა: ჩვენისა: წარსამართებლად: რამანცა: ძემან: კაცისამან: ჩვენ მიერ: შეწირული: ნათლის: მცემლის: მონასტერს: გამო-აკუას: მეფემ: გინა: დეჯოჯალმა: კათალიკოზმან: ანუ: ეპისკოპოზმან: გინა: ერის კაცმან: რისხავსცა: პირველ: ღთ: და თვით: წმინდა: იოანე: ნათლის: მცემემელი: და: ყოველნი: წმინდანი: ღთისანი: ეს: ასე: გაგვრიგებია: თუ: ვინმე: მაცილებელი: აღვიდგებოდეს: და თქუენ: მონასტრის: სამსახური: გქონ-დეს: და არ: ძალ: გედვას: ნათლის: მცემლის: მონასტრის: კრებულნი: თქუენს: მაკურთხეველოს: სამებელ: ეპისკოპოზს: აცნობდეთ: და ჩვენ: მოგვახსენებდეს: და ისე: ვარიგდებოდეს: მონასტრის: სამსახური: ჩვენს: დროსა. და: შენდგო-მად: ჩვენსაც: ესრეთ: იქმნებოდეს: და საკნავი: მიწა: ვერვისგან: დაგეჭიროს: იორს: გაღმა: და არცა ვინ: ღალა: გამოგართოს: რაც: კაცი: დაგისაზღდეს: ან: რაც: შენ: გინდოდეს: საკნავი: სცა: კნათ: არცა: ჩვენგან: და არც: სხვისგან: ღალა: არ: გეთხოვებოდეს: დაიწერა: კელითა: მდივან: მწიგნობარ: უხუცესის: ძისა: სამებელ: მთავარ: ეპისკოპოზისა: ნიკოლოზისათა: ქკსა: ტქს: ქუემო: რომ სამდღვარ: სწერია: ცოტა: იმას: ზეთ: შარა: გაივლის: ის: შარა: არ: მოიშალოს: როგორც: საქვეყნო: ყოფილა: მინდვარს: შარად იყოს: ვისაც ველოს: ისრც: იაროს:

ხვეუჯად: იმამყულიხან ვამტკიცებ.

ბეჭედი წაწერიით: მეფედ ვზი დავით, ძირად მიდგს დავით, ვარ კე-მწიფისა გახდილ ბანდა ვით. კიდევ სპარსული ბეჭედი

განზე ქ ჩვენ საქართველოს მეფედ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე. ირაკლი მეორე მეფე ქართლისა კახეთისა ყაზახისა და ბოსჩაღლისა მპყრობელი და თანა მეცხედრე ჩვენი დადიანის ასული დედუფალი დარეჯან: ძენნი ჩვენნი ბატონის შვილი გიორგი. ლეონ. იულონ. ვახტანგ. თემურაზ. და მირიან. და ძის ძენი ჩვენნი. დავით და

იოანე ვამტკიცებთ ძალითა ქრისტესითა გუჯარსა ამას ბიძის ჩვენისაგან აღწერილსა: წელსა ქრისტეს აქეთ: ჩლათ: ქ.ეს. შობის: ა.

ბეჭდები ერეკლე II-სი, დედოფალ დარეჯანისა, მეფის ძეთა გიორგი, ლეონის და ვახტანგისი.

აშმაზუკ: ქ: ესე მეფეთაგან ბოძებული გუჯარი, და მისის სიმაღლის ჩემის ძმის მეფის ირაკლისაგან დამტკიცებული, ჩვენ ყოვლისა ზემოასა საქართველოსა პატრიარქს მეფის ძეს ანტონის, და გვიმტკიცებია და მისის უმაღლესობის მეფის ირაკლის ნებითა, ჩვენი წილიც ნათლისმცემლის მონასტრისათვის მიგვირთმევია: დეკემბერს. გ. წელსა ჩლათ:

ხეუელად: კათალიკოზი.

საკათალიკოსო ბეჭედი

ქ: ამაში რომ სამებელი არის გამოცხადებული ახლა მეფეთა კათალიკოზითა და კრებითა ნათლისმცემლის მონასტერი ნინოწმინდელს დარჩა. იმის ეკლესიას. ამაღ რომე ძველადაც ნინოწმინდლის ეკლესიისა ყოფილიყო.


ბეჭედი განუჩეველი წანწერთ

1711 წ. ალავერდის სიგელი № 19, დაწერილი ქადაგდზე ზომით 32 × 23 1/2 სანტიმ., მიტეპულია ავთანდილ ამილახვრის მიერ ოქსონბით.

ქ: ნებითა: და შეწვევითა: ღთისათა: მეოხებითა: ყოვლად: უხრწნელი: დიდებულისა: დედოფლისა: ჩვენისა: ღთის: მშობელისა: და მარადის: ქალწულისა: მარიაამისათა: ძლიერებითა: პატიოსნისა: და ცხოველს: მყოფელისა: ჯვარისათა: წმიდათა: უსხეულოთა: ზეცისა: ძალთა: ანგელოზთა: ღმთაყვარ: ანგელოზთა: წმიდისა. წინასწარმეტყუელისა: წინამორბედისა: ღნათლისმცემელისა: იოვანესითა: და იოვანე: ქალწულ: მახარებელისა: და: მღთის: მეტყველისათა: ყოველ-

თა: წმიდათა: ლთისათა: თავდებობითა. შინდობითა: და შუამდგომელობითა: ესე: უკუნისამდე: ჟამთა: და ხანთა: გასათავებელი: შემოწირულობის: წიგნი: და სიგელი: გკადრეთ: და: მოგართვით: თქვენ: საშინელსა: უძლეველსა: მოწამესა: და: სარწმუნოებით: მთხოველთა: თქვენთა: მსწრაფლ: აღმასრულებელსა: დიდსა: მთაფარ: მოწამესა: გიორგის: ალავერდისასა: ჩვენ: ცვა: ფარვათა: თქვენთა: შინდობილმან: და: თქუენ: მიერ: შეწვენისა: ჩვენისა: მსასოებელმან: ამილახორმან: პატრონმან: ავთანდილ: ძმისწულმან: ჩვენმან: ბატონმან: დავით: ძეთა: ჩვენთა: ბატონმან: ვახტანგ: გივმა ამირინდომ: და ათანასემ: და: დავითის: ძემან: იოთამ: ასე: და: ამა: პირსა: ზედა: რომე: ჩვენი: ყმანი: მემკვიდრენი: აგვეყარნენ:: და: კახეთს: წავიდნენ: მერმე: მყრელობა: რომ: შეიქნა: ეს: ორი: გლეხი: ვერ: აეყარათ: და მანდ: ისრევე: დარჩომილიყო: მერმე: ჩვენს: სასოებასა: და სიქადულსა: ამა: ალავერდელსა: უფალს: ნიკოლაოზს: წიგნი: ებოძა: და ამ კაცების: წმიდის: გიორგისათვის: შეწირვა: ებძანა: რადღან: მაგათი: ბძანება: მოგვივიდა: და: ეგ: კაცებიც: აუყრელი: მანდავ: დარჩომილიყო: ჩვენც: ეს: მოვახსენეთ: წმიდას: მონასტერსა: და: მას: ზედა: საჭეთ: მპყრობელს: ალავერდელს: პატრონს: ნიკოლაოზს: რომე: ეს: ორი: კომლი: კაცი: ერთი: კასპელი: ფარეშის: შვილი: მამუკა: მისის: ცოლშვილითა: და მეორე: ბალიაშვილი: ქრისტესია: და ზაზუტა: თავისის: ცოლშვილითა: შემოგვიწირავს: წმიდის: გიორგის: ალავერდისათვის: და მიგვირთმევია: დღეთა: ჩვენთა: წარსამართებლად: და ცოდვათა: ჩვენთა: შესანდობლად: შეიწირე: წმიდაო: გიორგი: მცირე: შესაწირავი ესე: სულისა: ჩვენისა: საოხად: და: ძმისწულთა: და: ძეთა ჩვენთა: აღსაზრდელად: და მეოხ: გვექმენ: ჩვენ: დღესა: მას: სასჯელისასა: და: ჩვენთვისცა: ამის: წილ: თქვენ მიერ: მოხსენება: იქნებოდეს: რათა: ლოცვითა: თქვენითა: მოწყალე: გვექმნას: უფალი: ღთი: ჩვენი: ხოფელსა: ამას: შინა: მშვიდობით: და: საუკუნოსა: მას: კეთილითა: ცხოვრებითა: დაიწერა: წიგნი: ესე: თვესა: იანვარსა: ოცდარსა: ქქსა: ტუთ: კელითა: სამთავნელ: ეპისკოპოზისა: კვიპრიანესითა:

ბეჭდვა წარწერთ: ამირახორი ავთანდილ; ვარ მონა ღთისა ყმა კემწიფისა ვახტანგ ძე ამილახორისა.



1712 წ. ნათლის მცემლის მონასტრის სიგელი № 244 წარმოადგენს ჰინს სსსამართლოს განაჩენისას.

ქ კახეთის გამგებელის ბატონის შვილის თეიმურაზის ბძანებით და ბატონის დედოფლის ანას ბძანებით მოვედით ჩვენ სალთხუცის შვილი ფილიპე ხარჭაშნელი ბატონის სამებლის სასამართლოთ უტოს საყდრის საკომლოს მიწების სასამართლოდ. გილდაშვილს საკომლოსა და მიწებს შეეცილა წმინდის სამებისა არისო. იმათ ასე თქვეს საყდარში წილი გვეცსო. სასაფლაოთ საკომლო და მიწები გვეფიცება ჩვენი არისო ფიცი დაიდვეს საჩინოს შვილმან და პაპუას შვილმან წადგნენ საფიცრად აწვე მახსოვრები მოვნახეთ ვკითხეთ უფიცრათ შერიგებას ვეცადენით დაგვიჯერეს ერთმანეთის რაზით ფიცი აღარ მოვხდინეთ საყდარი სასაფლაოდ სწორეთ დარჩა. სასაფლაოს გასყიდვაზე არც ერთს კელი არა აქვს ქინქლაძის მოსყიდულს საკომლოზე სამებელმა კელი აიღო ძველს ნაყორვეს აქეთ სამებელს დარჩა. სამძღვრები ჩავესხამს აქეთ გილდა შვილებს არა ხელი აქვს ზემოთი მიწა სამებელს დარჩა ომარაშვილის ღობემდინ გაღმა შარას ზეთ მიწა მამუკას შვილს ეყიდა მიწა სამებელს დარჩა და სამებელი უნდა საიქოძესთან მიჰყვეს რაც ფასი გილდაშვილს გაუღია იმ მიწაზედ კელი არა აქვთ ორნივ ასე შევაჯერეთ ერთმანეთთან აღარა საქმე აქეთ არიან მისი მოწმები რომაქის შვილი პაატა ანდერმონის შვილი გომზარ ჯარის შვილი ზურაბ გილდა შვილი პაპუა ესიტაშვილი დათუნა ქოქილაშვილი ოტია ტუშური ივანე ხანაგის შვილი მახარებელი ქინქლაძე ბერუკა ქს უ

განზე: ქ. ეს წიგნი ნათლის მცემლის წინამძღვარმა აბრამ გადავსწერე სამებელის იოანეს მაყაშვილის ბძანებით ეს წიგნი წამხდარი იყო და დაძველებული სარწმუნო იყავით როგორც ამ ძველს წიგნში ეწერა ასე გადამიწერია. რომ მეტ ნაკლები არ დამიწერია აგვისტოს გასულს ქქს ულზ აბრამ

1713 წ. ნათლის მცემლის მონასტრის სიგელი № 59, დაწერილია ქადაღზე ზომით 26' $\frac{1}{2}$ X 18 სანტიმ.

ქ: ნებითა: და: შეწვევითა: ღთისათა: ესე: მტკიცე: და: უცვალებელი: შემოწირულობის: წიგნი: დაგიწერე: და: მოგართვით: მე: ნონიაშვილმან: გოგიამ: თქვენ: გარეშჯის: ნათლის: მცემლის: მამას: ხარიტონს: სვიმონს: ბესარიონს: საბას: და: ერთობილთ: მონასტრის: კრებულთ: ასე: რომე: თელავი: დამ: ავიყარე: და: მოველ: ქალაქს: და ჩემის: ნება: წადილით: ნათლის: მცემლის: უდაბნოს: თავი: შემოვსწირე: და: თქუნ: გეყმევ: ჩემთან: არას: კაცს:

კელი: არა: აქუს: საბატონყმოდ: ნათლის მცემლის: უდაბნოს: ბერების: მეტს: უნდა: მოვართვა: მონასტერს: ჩემი: გამოსაღები: წელიწადში: ზეთი: ლიტრა: სამი: სანთელი: ლიტრა: ერთი: საკმელი: ჩარევი: ერთი: ამ: გამოსაღებს: ნიდაგ: წელს: უნდა: მოვართმევდე: ხვალმე: მონასტერსა: დაიწერა: ივნის: დამდებს: ქკსა უა:

+

1713 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიკელი № 253, დაწერილი ქადაგდზე ზომით $35\frac{3}{4} \times 15\frac{1}{2}$ სანტიმ.

ქ: ნებითა და შეწევნითა ღთისათა. ჩვენ დიდებულის ნათლისმცემლის წინამძღუარმა ბატონმა ხარიტონ: და კრებულმან ჩემმან: მამა სიმონ: მამა ბესარიონ: მონაზონმა საბამ. ესე უკუნისამდე საბოლოო და სამკვიდრო: წყალობის წიგნი გიბოძეთ: თქუენ ჩვენს ყმას: ხუტალაშვილის მახარობლის: შვილებს: ნიკოლოზს და ძმასა შენსა გიორგის: რადგან მოხვედით და: ჩვენს მონასტერს თავი შემოსწირეთ: ჩვენც გიბოძეთ: ქალაქს. ჩვენი ნასყიდი: შაქარაშვილის სახლი: დარბაზი მისის დერეფნითა: და დერეფანზედ ოთახითა: შიგნით სარდაფითა ქვევრითა და მარნითა: და ოთახითა: გქონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან: ჩვენის მონასტრის ერთგულობასა და სამსახურშია: არ მოგეშალოს. ჩვენგან: და არცა შემდგომთა ჩვენის მონასტრის წინამძღუართა და კრებულთაგან: და თქუენც რა გვარადაც სხვანი მოქალაქე: ჩვენი ყმანი ჩვენს მონასტერს ემსახურებოდენ ისე ემსახურებით: ქკს: უა:

ბეჭედი წარწერთ: ხარიტონ

შეორე გვერდზედ ხეუელად: ბესარიონ. კრებული.

1715 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიკელი № 58, დაწერილია ქადაგდზე ზომით $21\frac{1}{2} \times 15\frac{2}{3}$ სანტიმ.

ქ: ნებითა: და: შეწევნითა: ღთისათა: ესე: მტკიცე. და: უცვალვებელი: შემოწირულობის: წიგნი: მოგართვით: ჩვენ: პაპუნამ: და: სიძემან: ჩემმან. [კოტ]ამა: თქუენ: გარესჯის: ნათლის: მცემლისა: მამას: ხარიტონს: სვიმონს: ბესარიონს: საბას: და: ერთობილთ: მონასტრის: კრებულთ: ასე: რომე: მოველ: და: ჩვენის: ნება: წადილით: თავი: შემოვსწირეთ: ნათლის: მცემლის: უდაბნოს: და თქუენ: გვემევე: ჩეთან: არას: კაცს: კელი: არა: აქუს: საბატონყმოდ: ნათლის: მცემლის: უდაბნოს: ბერების: მეტს: უნდა: მოვართვა: მონასტერს: ჩემი: გამოსაღები: წელიწადში: ზეთი: ლიტრა: ერთი: სანთელი:

ლიტრა: ერთი: საკმელი: ჩარეკი: ერთი: ამ: გამოსაღებს: ნიადაგ: უნდა: მო-
ვართმევდე: მონასტერს: დაიწერა: ფებერვალს: კ. ქკსა უგ:

+ +

1717 წ. ნათლის მცემლის მონასტრის სიკელი № 88, დაწერილი ქაღალდზე
ზომით 54×20 სანტიმ., მიტეული ჩაფარული მისი.

ქ: ნება: უფლისა: იყავნ: და: ყოველივე: ნებისაებრ: მისისა: წარემარ-
თოს: რომელსა: ყოველთა: კაცთა: ნებაეს: ცოვრება: (sic) და: მეცნიერებასა:
ქეშმარიტებისასა: მოსვლა: რომელი: მხოლო არს: მპყრობელი: ყოველთა:
ხილულთა: და: უხილავთა: ცათა: და: ქუეყანათა: ზეცისა: სამყაროთა: და:
განმწაფესებელი: (sic) ქუეშე: ქუეყანათა: რ: მარადის: მიიღებს: თაყუანის ცე-
მასა: ქებასა: გალობასა: და: დიდების: მეტყუელებასა: ყოველთავე: ზეცისა: ძალთა:
უსხეულოთასა: და: იყოფების: სამარადისოდ: ნათელსა: შინა: თვალთ: შეუ-
დგამსა: რომელი: არს: შექმნილი: მმართველი: მფლობელი: მპყრობელი:
და: განმწაფესებელი: განმკებელი: განმამტეველებელი: განმანათლებელი: და: სი-
ტყუითა: თვისითა: ცისა: ცათასა: და: მნათობთ: დამამტეციცებელი: და: სინა-
თლე: ბრწყინვალეებისა: მიმნიჭებელი: ხოლო: კაცობრივისა: თბისა აღნაგ:
ანაქუსვისა: და: ბუნება: არსებისა: შემამტეციცებელი: და: სამშენველად: სუ-
ლად: გონებად: და: სიტყუად: აღმამტეველებელი: და ყოველთავე: მოძრავ: ცხო-
ველთა: იძვრისთა: და: ქვეწარმძრომელთა: ცხოველობისა: დამწერველი:
ნერგთა: მდებლობთა: მცენარეთა: ხეთა: სერტყთა: კლდეთა: მთათა: და ბორცვთა:
სიმტეციცით: განმამტეციცებელი: ხოლო: წყალთა: ზედან: ქუეყანისა: დამამყარე-
ბელი: და: წყლითავე: ზესკნელს: ცათა: საკურველებით: დამრთველი: რო-
მელნი: მოქმედ: არიან: თავით: თვისით: კელმწიფებისა: ძლიერებისა: მპყრო-
ბელობისა: და: მფლობელობისა: ყოფილნი, პირველად: ყოველთა: ქმნულთე-
ბათასა: და: ყოფადნი: საუკუნეთა: უკუნისამდე: უმეტესად: ჟამთასა: მოწ-
ყალე: სახიერი: ძვირ უხსენებელი: და: ბუნებისავე: თვისისა: თანა: მოწყალე-
ბისა: მქონებელი: ძლიერი: უსახლკარო: დაუსაბამო: და: გარე: შემოუწერელი:
დაუსრულებელი: ურებამო: ხ: რაბამობისა: არა: შემწყნარებელი: ად: თავისა:
მიმართ: თვისისა: არსებისა: მქონებელი: გარნა: რა: იგი: არს: თვით: მეცნი-
ერი: და: არა: რომლისაგანცა: სულისა: საცნაურ: ქმნილი: ერთი: ღთი:
ერთი: უფალი: ერთი: დაუსაბამო: სამითა: გვამოვნებითა: სამითა: ხატითა:
და: ერთითა: ბრწყინვალეებითა: რომელი: მამა: არს: მამა: და ძე: ძეობით:
პირველ: საუკუნითგან: მამისაგან: შობილი: ხოლო: სული: სახიერი: მამისა:
მიერ: გამოსრული: არა: სამნი: ღთნი: არცა: სამნი: უფალნი: ანუ: სამნი:
დამბადებელნი: ად: ერთი: ღთი: ერთი: უფალი: დამბადებელი: განმგებელი:

განმაწესებელი: და: შემოქმედი: ცისა: და: ქუეყანისა: გარნა: ოდესაც: იყო: მამა: მასვე: წამსა ძეცა: და: სულიცა: თანავე: ყოფილნი: არა: ჟამითა: არცა: წამითა: გინათუ: წუთითა: ანუ: დღითა: და: დაყოვნებითა: უწინარესნი: ურთიერთას: არამედ: ერთ: ჟამად: მოქმედნი: მფლობელნი: და: განმაწესებელნი: ცათა: და: ქვეყანათანი: ანგელოზთა: და: კაცთანი: ყოველივე: ნებისაებრ: მათისა: შეიშადებოდეს: გარნა: ოდესცა: იგი: ითქუნეს: მათდა: მიმართ: ვითარმედ: ვქმნეთ: კაცი: ხატად: და: მსგავსად: ჩვენად: სულად: სიტყვად: და: გონებად: ესრეთ: განმგენი: ერთი: ღთის: სამგვამოვანი: და: სამხატოვანი: უშობელი: მამა: შობილი: ძე: და: გამოსრული: სული: წმინდა: ერთარსება: ერთი: ღთის: ვდიდოთ: თაყუანისვცეთ: შევურდეთ: აღვიაროთ: და: მოცემულისა: ებრ: წმინდისა: მცნებისა: სამხატოვნებით: და ერთ: ღთაებით: აღიარებოდენ: ჩვენ: მიერ: რომელნი: მიმნიჭებელნი: არიან: თვისთა: დაბადებულთა: წყალობისა: მოწყალებისა: და: შეიწირავს: შემწირველობასა: მონათა: თვისთასა: რომელ ანათდა: პირთათვის: ღთისა: მოწყალებისა: მიმზიდველმან: არც: ჩვენ: დავიცონეთ: მსახურება: და: არცა: უგულვებლს: ვყავ: შემწირველობა: სამებისა: წმინდისა: და: მსგავსად: გულს: მოდგინებისა: ჩვენისაებრ: ვიგულს: მოდგინეთ: და: არა: ვიურჩეთ: მოხსენება: და: შემომწირველობა: თქვენი: სამებაო: წმინდაო: ღთო: ჩვენო: დაუსაბამოვო: დაუსრულებელო: ყდ: ქებულო: სამებაო: უჯარმოსა: ადგილსა: სახლი სალოცველისა: შენისა: აღმაშენებელო: რომელსა: შინა: იდიდების: ყდ: ქებულო: სახელი: შენი: ამათ: სალოცველსა: საყდარსა: და სახელსა: შენსა: შემოგწირეთ: გლენი: მსახლობელნი: ხაშმხედ: ძველადგანაც: თქვენნი: შენაწირნი: ყოფილიყუნენ: და: გუჯართაცა: შინა: თქუნთა: გეწერენ: გლენი: სენი: (sic) ჟამურაშვილები: თავისის: მამულით: შესავლით: გასავლით: მითთა: ბართა: და თავისის: ყოვლის: მქონებლობითა: ან: რისაც: მქონებელნი: ყოფილიყუნენ: ანუ: დღის წაღმართ: იქმნებოდენ: შვილით: თავით: ყოვლითავე: შენებულებით: შემოგწირეთ: ჩვენ: ჩოლასაშვილმა: საგარეჯოს: მოურავმან: ბაადურ: ბიძინამ: ჯამასპიმ: ომან: შვილთა: და: მომავალთა: სახლისა: ჩვენისათა: ამა: წესითა: და სიმტკიცითა: და: რიგითა: შემოგწირეთ: რომე: ძველადგანაც: თქვენი: ყოფილიყო: გუჯარშიაც: გეწერათ: და: კახ: ბატონს: მეფეს: იმამყულისხანსაც: ებოძა: და: სამებისათვის: შემოგწირა: არც: ჩვენ: გაგტყებთ: კემწიფის: ბძანება: და: ჩვენისავე: ნებით: ამ: რიგათ: შემოგწირეთ: არა: მოგეშალოს: არა: კემწიფეთაგან: არა: ჩვენგან: და არცა: სახლისა: ჩვენისა: მომავალთაგან: გქონდესთ: და შიწირეთ: მცირე: ესე: შესაწირავი: ჩვენი: სამებაო: წმინდაო: ღთო: ჩვენო: შეიწირე: ესე: გულს: მოდგინებისა: ჩვენისაებრ: და: ნაცვალად: გვაგე: მადლი: შენი: და: გვიხსნენ: ხილულთა: და: უხილოვთა: მტერთაგან: და: გუფარვედ: საფარველითა: შენითა: მტკიცითა: და მადლიმცა: შეწევნისა: შენისა: შემწე: ექმნების: სულს: ჩვენსა სახლთა: ძეთა: და: ასულთა: აწე: ვინცა: და რამანცა: სახლისა: ჩვენისა: მომავალთა: კაცმან: ან: დედაკაცმან:

ძემან: ანუ: ასულმან: მამამან: ანუ: დედამან: ბერმან: ანუ: ერმან: ჭაბუკმან:
ანუ: ყრმამან: კელყოს: და ინებოს: გამოწირვად: ანუ: მეფეთა: თანა: ცდა:
და გამოწირვისა: მონღომება: შენ: შერისხდი: სამებაო: წმინდაო: და რისხვითა:
შენითა: საშინელითა: შთაკადე: სულით: და კორციით: უფსკრულად: ჯოჯო-
ხეთისად: და: სოფელსა: ამასმცა: ნუ: იხსნების: რისხვისაგან: შენისა: და
ყოვლითავე: განსაცდელითამცა: ნუ: განერების: სოფელსა: ამას: შინა:
თავით: თვისით: ძით და: ასულით: და: ყოვლითავე: საცნობელ: საყნოსელ: სა-
გრძნობელით და ჟამნიცა: ცხოვრებისა: მისისანი: იქმნების: წყეულ: კრულ:
და: შეჩვენებულ: დაიწერა: წიგნი ესე: რუსთველ: მიტროპოლიტის: ჩერქეზის:
ძის: ნიკსისათა: ქკს: უე: დამდეგს: მარტს განსრულდა: სიგელი: ესე:
ჟამთა: ამალღებულის: მეფეთ: მეფის: დავით: იმამყულიხანისათა: მრავალმცა:
არაიან: წელნი: ცხოვრებისა: მათისანი: ან:.

ბეჭდები ბაადურის, ჯამასხის და თმანის.

თავში: ჩვენ: ღთივ: ამალღებულ: აღმატებულმან: იესიან: დავითიან: სოლო-
მონიან: პანკრატოვანმან: თვით: კელმწიფემან: დავით: მეფემ: იმამყულიხან:
ამრიგათ: დავამტკიცეთ: როგორადაც ამ: ჩოლაყაშვილებს: ბადურს: და:
იმის ძმასა: და შვილთა: შემოეწირა: არაოდეს: მოეშალოს: არა: ჩვენგან და
არა: შემდგომად: ჩვენსა: მეპატრონეთაგან:

ბეჭდო წარწერათ: მონა ღთისა მეფე დავით იმამყულიხან.

1719 წ. სიგელი ნათლისმცემლის მონასტრისა № 269, დაწერილი კარგს ქ.-
დადღზედ ზომით 209 X 24 სანტიმ., მიცემულია ბაქარ შკევის შიკრ.

ქ. რომელი. არს. და: რომლისა. *) ძლიერებითა: იქმნეს: ყოველნი:
აღნაგნი: მყოფი: არსისა: არსთა: უცვალეზელისა: უზილავისა: უსაზღვროსა:
ძალი: განუზომელისა: ხოლო: მიუწდომელობით: ცნობილისა: რომლითა:
სახელითა: გვწამს: და: იდიდების: დამბადებელი: ღთი: ყოვლისა: მპყრობელი:
დაუსაბამო: დაუტევნელი: უშობელი: უკუდავი: უზილავი: არსი: საბაოთ:
საუკუნითგან: უკუნისამდე: დიდებული: და: ქებული: თვით: სრული: სრუ-
ლისა: მშობელი: მამა: ძისა: მხოლოდ: შობილისა: ყოველთა: აგებულთა:
გარეშე: მცველი: შემოქმედი: ცათა: და: ქვეყანისა: ხილულთა: და: ყოველთა:
არა: ხილულთა: ხოლო: ძე: ქეშმარიტი: ქეშმარიტისა: მამისა: უზილავი:
უზილავისა: უზრწელი: უზრწელისა: უკვდავი: უკვდავისა: დაუსრულებელი:
დაუსრულებელისა: მზე: სიმართლისა: ნათელი: ქეშმარიტი: ცხოვრება: და:
ქეშმარიტება: სვეტი: ნათლისა: კლდე: ცხოვრებისა: დიდისა: ზრახვისა: მა-
მისა: ანგელოზი: მწყემსი: კეთილი: მესია: იესო: ქრისტე: ღთი: მეუფე:
სიბრძნე: ძალი: ევანგელ: მღდელთ: მოძღვარი: ნათელი: ღრუბელი: ნათ-
ლისა: სახიერი: კაცთ: მოყვარე: და: საცნაურად: მიზეზი: საუკუნეთა: მათ:
კეთილთა: და: სული: წმიდა: რომლისა: მამისაგან: აქვს: არსება: და: მამისა:
და: ძისა: თანა: თაყვანისცემული: სული: წმიდა: უფალი: ცხოველ: მყოფელი:
სული: ქეშმარიტებისა: უბიწო: უცვალეზელი: უნივთო: ნუგეშინის: მცემელი:
სახიერი: წრფელი: მალე: დაუყენებელი: ქველის: მოქმედი: კაცთ: მოყვარე:
შეურყეველი: ყოვლად: ძლიერი: ყოვლად: მხილველი: საცნაური: ყოვლად:
წმიდა: რომელი: იტყუადა: წინასწარ: მეტყველთა: მიერ: თვინიერ: რომელი:
მამისა: ეწოდების: მამა: უშობელი: და: ძესა: მამისაგან: შობილი: და: სულ-
სა: წმიდასა: სული: წმიდა: მამისაგან: გამომავალი: და: მამისა: ძისა: თანა:
თაყუანისცემული: ესე: არიან: თეთებანი: მათნი: შეურყვნელი: გვაშოვნება:
სამგვამოვანი: მღთაება: სამება: სრული: დიდებითა: და: სამარადისოებითა:
და: მეუფებითა: არა: განყოფილი: არცა: უცხო: ქმნილი: არცაოდეს:
მოაკლდა: ძე: მამისა: არცა: ძესა: სული: არცა: აღორძნდა: ერთობა:
ორობად: არამედ: უქცევლად: უცვალეზელად: ჰგვის: მარადის: ესე:
სამება: ერთ არსება: ერთ მღთაება: ერთი: ძალი: ერთი: მეუფება: შეუ-
რყვნელი: წმიდა: სამება: ღთი: ჩვენი: უკვდავი: დაუსაბამო: დამბადებელი:
ყოველთა: არსთა: რომელსა: დაწყება: უცნაურ არს: და: ჰგვის: უკუნითი:
უკუნისამდე: მერმეცა: ამინ: კვლად: ყოვლად: საგალობელისა: და: სავე-
დრებელისა: და: უმეტესად: ქეთა: აღმატებულისა: ყოვლად: წმიდისა: ყოვ-
ლად: კურთხეულისა: ყოვლად: ბიწ: შ: უხებელისა: ყოვლად:
სანატრელისა: ყოვლად: ქებულისა: ყოვლად: დიდებულისა: რომელი:
არს: მავალი: ცეცხლ: შეუხებელი: კიდობანი: სიწმიდის: კვერთხი: არა

*) აქამდის ხვეულად ასომთავრულად.

ნისა: ნაყოფისა: მის: უკვდავისა: გამომღებელი: კარავი: მღთისა: დამტევნე-
ლი: ადგილი: უფლისა: სახლი: მღთისა: საყდარი: ქეროვიმი: ქალწული: მა-
რიამ: დედა: უმამაკაცოდ: მშობელი: ღმრთისა: ევმანოელისი: მღთისა: ღირსი-
სა: მღთისა: სძლისა მღთისა: მტვირთველისა: მღთისა: დამტევნელისა: მღთისა:
დედისა: რომელმან: დაიტია: მუცელსა: დაუტევნელი: იგი: ცათა: და: ქვე-
ყანისა: ძლიერებითა: და: შეწვევითა: სამ: ნაწილისა: ჯვარისა: ძელისა: ცხო-
ვრებისათა: რომელსა: ზედან: განკვართულ: იქმნა: უფალი: ჩვენი: იესო: ქრი-
სტე: და: განიპყრნა: უბრწუნელი: მკლავნი: თვისნი: მასზედან: ხსნისა: და:
ცხოვრებისათვის: ჩვენისა: ძლიერნო: და: შემწვნო: ბანაკთა: უსხეულოთა: და:
უნებოთა: მწყობრთანო: ცხრა: არვეთა: ცხრათავე: დასთა: ანგელოზთა: და:
მთავარ: ანგელოზთანო: რომელნი: მსთავრობთ: ბევრის: ბეურეულთა: ძალ-
თა: ზედან: და: დიდთა: მათ: ერისთავთა: მიქაელ: და: გაბრიელისითა: შე-
წვევითა: და: ძლიერებითა: სიტყვსა. მღთისა: მქადაგებელისა: ებან: კმა შევ-
ნიერის: ძედ: ქუხილისა: წოდებულისა: მკერდსა: ზედან: მიყრდნობილისა:
მღთისა: მზრახველისა: თვით: ქალწულისა: და: მღთის: მეტყველისა: და:
ყოველთა: ქალწულთა: უზეშთაესისა: დიდისა: იოვანესითა: და: სხვათა: რაო-
დენი: სათნო: ეყვნეს: უფალსა: ჩვენსა: იესოს: ქრისტესა: მათისა: შეწვევითა:
ესე: უნდო: და: კნინი: აგარაკის: შეწირულობის: წიგნი: და: სიგელი: გკა-
დრეთ: და: მოგახსენეთ: შენ: მარადის: მეოხსა: ყოველთა: ქრისტიანეთასა:
სანთელსა: მზისა: მის: სიმართლისასა: ნაშობთა: ყოველთა: უზეშთაესსა:
ახალსა: ელიასა: რომელმან: აღიმღერნა: საშობო: დედისათა: და: გვიჩვენე:
ტარივი: მღთისა: დიდისა: დიდებულო: წინამორბედო: და: ნათლის: მცემე-
ლო: მკსნელისა: ჩვენისაო: რომელი: იწამე: პირისა: მისგან: უტყველისა:
უფროსად: ყოველთა: ნაშობთა: დედათასა: ვინ: შეუძლოს: გამოთქმად:
დიდებულებათა: შენთა: ანუ: რომელთა: ანგელოზთაგანი: მიიწია: დიდებასა:
ამას: გარნა: მისმიერ: რაემს: იგი: მუცელსავე: დედისასა: იყავ: მიერიდგან-
ვე: იწყე: ქადაგება: უფლისა: ქვეყანად: გარდამოსვლა: პირითა: დედისათა:
და: გამორახვედ: მიერ: სიჩოთაგანვე: იწყე: აღსრულებად: ათთა: მცნებათა:
პირველისა: სჯულისათა: და: ცხრათა: ნეტარებათა: ახლისა: აღთქმისათა: და:
აღასრულე: ძველი: იგი: სჯული: და: ახალი: და: ორთავე: ამათგან: არა
დაშთი: რომელი: არა ქმენ: კეთილთაგან: რტ: ექმენ: დასაბამ: განშორებულთა:
და: სახე: კეთილისა: მონაზონთა: ექმენ: მომწოდებელ: სინანულად: ესე რა:
ყოველი: სიმართლით: აღასრულე: გვირგვინსა: მოწამეთასა: არავე: დააკლდი:
არა: თავს: იდევე: საქმე: უჯერო: არამედ: კადნიერად: ამხილე: ეროდეს: უს-
ჯულოება: იგი: მისი: და: არა: რიდე: შარავანდედობასა: მეფეთასა: ად: ურ-
ცხვენელად: იტყოდე: წამებათა: უფლისათა: ამისთვის: მოგეკვეთა: წმიდა:
თავი შენი: და: მიილე: გვირგვინი: ბრწყინვალე: ცათა შინა: ვერ შემძლებელ
არს: ყოველი: სიბრძნე: გამოთქმად: სათნოებათა: შენთა: უდაბნოს: ნათლისმცე-
მელო: ჩვენ: მღთის: მიერ: აღმატებულმან: და: მღთივ: ზეცით: გვირგვი-
ნოსანმან: საქართველოს: ტახტისა: და: საპატრონოს: ფლობით: მპყრობელ:



მქონებელმან: იესიან: დავითიან: სოლომონიან: პანკრატიონმან: ძემან: მეფეთ: მეფის: პატრონის: ვახტანგისამან: და: აწ: თვითცა: მეფეთ: მეფემან: პატრონმან: ბაქარ: საფარველსა: შენსა: ქვეშე: მოსწრაფედ: მოლტოლოვილმან: გკადრეთ: და: შემოგწირეთ: თრიალეთზედ: ჩენი: სახასო: სოფელი: კარწახი: მაქამს: ოდეს: მამას: ჩვენს: მეფეს: პატრონს: ვახტანგს: თავის: გამეფებაში: პირველად: უზნარიანი: და: კარუკულმართი: აემენებინა: რადგან: პირველი: ნაყოფი: სჯულიერად: ღთისა: შესაწირი: არის: ამისთვის: შენ გარესჯის: უდაბნოს: მრავალმთის: მონასტრის: ჩვენის: სასოგებისათვის: შემოგწირა: და: კარწახი: ჩენი: სახასო: ძველად: აშენებულო: იყო: და: მათში: მრავალი: შფოთი: და: ცილება: იყო: სამძღვრებზედა: ჩვენც: მრავალი: თავის წყენა: გვქონდა: და: მოსაქმენიც: მრავალჯერ: გავგზავნეთ: მაგრამე: გლახის: კაცის: თავკედობა: ვერ: მოვშალეთ: და: აწ: ის: სოფელი: კარწახიც: ჩვენ: შემოგწირეთ: ყოვლის: მისის: სამართლიანის: სამძღვრითა: და: ის: სამი: სოფელი: გავაერთეთ: და: ეს: შფოთებიც: დავაწყნარეთ: სულისა: ჩვენისა: საოხად: და: მეფობისა: ჩვენისა: კეთილად: წარსამართებელად: ამ: წესითა: რომე: წელიწადში: ოთხს: დღეს: თქვენი: წინამძღვარი: მათის: კრებულით: ჩვენად: სადღეგრძელოდ: და: სასულიეროდ: ჟამს: გვიწირევდენ: და: მოგვიხსენებდენ: ერთს: ნათლისმცემლის: შობას: ერთს: შეიღს: აპრილს: ერთს: ქრისტეს: შობას: და: ერთს ყოვლად: წმიდის: მიცვალებას: ამ: ოთხს: დღეს: ჩვენთვის: წირვას: ნუ: მოშლიან: და: ეს: ჩვენკან: შემოწირული: სოფელი: ტაბლისა: მათისათვის: მოგვიძღვანებია: და: ასეც: გვითავისუფლებია: რომე: არაფერი: სამეფო და: სათავადო: საერისთო: და: საზნაურო: და: სხვათა: სამოკელოთა: სათხოვრისა: არა: ეთხოვბოდეს რა: არცა რა: დებულობითა: არცა რა: შეწერით: ყოვლის: ნივთისაგან: რასაც: თქვენ არ: გემსახურონ: არავისი: შევდეს: მუნ კაცნი: და: მოსაქმენი: არც: სპასარლისა: არც: მანდატურთ: უხუცისა: არც: ეჯიბისა: და: არც: მწერალი: და: მთვლელი: კვამლთა: არცა: სათათრო: საური: არა: კოდის პური: და: ნახირის თავი: არა: საბალახე: და: პირისთავი: არა: სამეჯინიბო: არა: სამეჯოგო: არა: აჯილღისა და: კვიცის: მიბარება: და: მათი საზღო: ბზე და: ქერი: არა: ულაყი: ბაჟი და: სეფის: მუშაობა: არა: კვნა: მკა და: ლეწვა: არა: სამასპინძლო: რა რიგადაც: ძველს: მამის: ჩვენის: სიგელში: უზნარიანის: სითარხნე: გიწერიათ: ესეც: ისე: გვითარხნე: ბია: შეიწირე: მკირე: ესე: შესაწირი: და: ნაცვალ: მაგე: დღესა: მას დიდსა: განსჯისასა: და: მეოხ: მეყავ: წინაშე: უფლისა: და: მეუფისა: ჩვენისა: აწ: ვინცა: და: რამანც: ადამის: მონათესავემან: კაცმან: მეფემან: ანუ: დედოფალმან: უფლისწულმან: გინა: სამღთოთაგანმან: პატრიაქმან: ანუ: მიტრაპოლიტ: ებისკოპოზმან: ანუ: სხვათა: სჯულის: გარდამავალმან: სარკინოზმან: ანუ სპარსმან: ამა: ჩვენგან: მტკიცედ: შეწირულისა: მამულისა: გამოკვება: ინებოს: და: კელყოს: მასმცა: რისხავს: თავად: ღთი: და: ყოველნი: მისნი: წმიდანნი: ზეცისა: და: ქვეყანისანი: ხილულნი: და: უხილავნი:

მასმცა: ედების: კეთრი: გეზისა: შიშთვილი: იუდასი: დათქმა: დათან და: აბი-
რონისი: მეხის: ტეხა: დიოსკოროსი: ცეცხლით: შექმა: იოფონ: და: ფინე-
ზისა: მატლთა: მიერ: შექმა: ეროდესი: ნურათამცა: სინანულითა: ნუ იხსნე-
ბის: სული მისი: ჯოჯოხეთისაგან: იროდიასთანამცა: არს: ნაწილი: და: სამ-
კვიდრებელი: მისი: ნუმცა: აქეს: განსვენება: სულთა და: კორცთა: მისთა:
ნურცა: აქა და: ნურცა: მერმესა: მას: საუკუნესა: იყავნ: მკვდარი: მისი: უწე-
სური: და: ცოცხალი: მისი: უყვარული: ცოლნი: მისნი: ქვირე: და: შვილნი:
მისნი: ობოლ: სამკვიდრებელი: მისიმც: იქნების: ტარტაროზი: ცეცხლი: გე-
ენისა: ღრქენა: კბილთა: ბნელი: გარესკნელი: მატლი: უძილი: შემცა: იჩვე-
ნების: ოთხთა: პატრიაქთაგან: და: მათთა: მიტრაპოლიტ: ებისკოპოზ: ქორ-
ებისკოპოზთაგან: ნუმცა: იქნების: სინანული: მისი: ხოლო: დამამტკიცებე-
ლი: წიგნისა: ამის: აკურთხნეს: ღთნ: სულითა: აბრამიანითა: და: სულითა:
მოსიანი: სულითა: დავითიანი: სულითა: სიბოროტის: მდევნელისათა:
სულითა: ყოვლად: წმიდითა: და: ნუგეშინის: მცემელისათა: და არა: შეეხოს:
მას ბოროტი: აწდა: უკუნისამდინ: ამინ: —დაიწერა მტკიცე და: მოუშლელი:
გუჯარი: ესე: ქკსა: უზ თვესა: მარტსა: კვ ქრისტეს აქათ: [ათას შვიდას
ათცხრამეტსა ჩვენის მდივან მწიგნობრის - - ლხ - - ძის.] - - -

1721 წ. დავით გარეჯის სიგელი № 130, ქადაგდზე 50¹/₃ × 21¹/₃ სანტიმ.

ქ.: სახელითა: სახიერისა: არსება: დაუსაბამოსა: ღმრთისა: მამისა:-
ძისა: და. სულისა: წმიდისათა: ძლიერებითა: პატრიონისა: და: ცხოველის:
მყოფელისა: ჯვარისათა: მეოხებითა: ყოვლად: წმიდისა: და: უმეტესად: კუ-
რთხეულისა: ადლოფლისა: ჩვენისა: ღმრთის: მშობელისა: და: მარადის: ქალ-
წულისა: მარიამისითა: წმიდათა: ზეცასა: ქალთა: ანგელოზთა: მიქაელ:
და: გაბრიელისათა: წმიდისა: დიდებულისა: წინასწარმეტყუელისა: წინა:
მორბედისა: და: ნათლისმცემლისა: იოანესითა: და: იოვანე: ქალწულ: მახა-
რებელისათა: წმიდათა: მღვდელთ: მოძღვართა: ბასილი: გრიგოლი: იოანე:
ოქროპირი: ნიკოლოზ: და: ყოველთა: მღვდელთ: მოძღვართა: წმიდათა:
წინასწარმეტყუელთა: დავით: სოლომონ: ესაია: იერემია: მოსე: ელია:
ამბაკომ: და: ყოველთა: წინასწარმეტყუელთა: წმიდათა: მამათა: საბა: ან-
ტონი: ფთვიმი: და: ყოველთა: მამათა: წმიდათა: და: უძლეველთა: მკე-
დართა: და: ღვაწლისა: დამდებელთა: მოწამეთა: გიორგი: თევდორე: პრო-
კოპი: დიმიტრი: და: ყოველთა: მოწამეთა: და: რანიც: სინაქესარში: წმი-
დან: სწერიან: ამათითა: შუამდგომელობითა: და: თავდებობითა: ესე: უკუ-



ნისამდე: ჟამთა: და: ხანთა: გასათავებელი: და: არას: კაცისაგან: მოუღვეარ:
 უცილობელი: და: მიზეზ: შემოუღებელი: ნასყიდობის: წიგნი: და: სიგელი:
 დაგიწერეთ: და: მოგეც: მე: ჯავახის: შვილმა: ოთარ: და: შვილმა: ჩემა:
 შიოშ: თქვენ: წმიდის: დავითის: წინამძღვარს: მაჭუტაძეს: ბატონს: ონოფ-
 რეს: ასე: რომე: მოქალაქე: სომეხს: მანმან: გიქინას: შვილს: ამირას: ჩემი:
 ყმა: მემკუიდრე: გოგინა: შვილი: ბერუკა: მივეციდე: თავისის: შვილებით: და:
 ცოლით: შერმაზან: გიორგი: და ივანე: და: დავითა: მასუკან: ამ: ჩემა:
 ყმამ: შეიტყო: სომხის: მისყიდვა: ყაბული: არა ქნა: და: მოვიდა: თქვენ:
 წმიდის: დავითის: წინამძღვარს: მაჭუტაძეს: ბატონს: ონოფრეს: შემოგვხვე
 წათ: და: მასუკან: თქუნენ: იყიდეთ: და: მამეცით: ფასი: სრული: და: უნაკ-
 ლულლო: რითაც: ჩემი: გული: შესჯერდა: გყუანდეს: და: გიბედნიაროს:
 ღმერთმან: რარიგადაც: სხვას: ალაღს: მონასყიდეს: მოუკმარია: არას: კაცს:
 კელი: არ: ჰქონდეს: არც: ჩემს: ბატონს: და: არც: ჩემს: ნათესავსა: და: გა-
 ნაყოფსა: და: არას: ადამის: მონათესავე: კაცსა: და: თუ: ვინმე: წამოგედა-
 ოს: პირისა: და: ჰასუხის: გამცემი: მე: ვიყო: არის: ამისი: მოწამე: თავად:
 ღმერთი: მერმე: კაცთაგან: ჯავახის: შვილი: ფარემუზ: (ბეჭედი წაწერიით:
 მანა ღთისა ფაჩუშუ) იმისი: შვილი: როინ: (ბეჭედი წაწერიით: მანა ღთისა
 როინ) სვეტის: ცხოვლის: სახლთუხუცესი: ამილბარ: (ბეჭედი) იმისი: ძმა: სო-
 ლომონ: (ბეჭედი) გედევონის: შვილი: სარდალი: ზახა: (ბეჭედი: გუდუგანისშვი-
 ლი ზახა) მალაღამე: სარიდან: მიწობლიძე: გაბრიელ: (ბეჭედი) თუხარელი:
 ნიკოლაოზ: მე: ამისი: გარდამწყვეტელი: და: შემრიგებელი: სააკაძე: ზუ-
 რაბ: დაიწერა: ესე: ნასყიდობის: წიგნი: და: სიგელი: კელითა: სიონის:
 მღრთის: მშობლის: მხატვრის: გიორგის: შვილის: იოანესითა: თვესა: აპ-
 რილსა: დამდეგსა: ქრისტეს: აქეთ: წელი: ათას: შვიდას: ოცსა: და: ერთსა:
 ქართულსა: ქორონიკონსა: ოთხას: ცხრასა:

სხვა ხელით: ქ: ბეჭედი: აქ: არა მქონდა: და: ეს: წიგნი: მე: ჯვხიშვილს:
 ოთრს: დამიწერინებია: და: ჩემს: შვილს: შიოშს: და: დამტკიცებელიც ვართ:
 ამ: წიგნისა:

თბი ჯვარი.

1722 წ. დავით გაჩეხის სიგელი № 119, დაწერილი ქადაგდზე 44¹/₂ X
 22¹/₄ სანტომ.

ქ: ნებითა: და: შეწვენითა: ღთისათა: მამისა: ძისათა: და: სულისა:
 წმინდათა: უმეტესად: კურთხეულისა: დედოფლისა: ჩვენისა: ყაველად: წმინ-

დის: მლთის: მშობლისა: მარადის: ქალ: წულისა: მარიამისათა: ამათის: ძა-
ლითა. და. ძლიერებითა: ოხითა: და: მეოხებითა: მინდობითა: და: შუა:
მდგომლობითა: ზეცის: ძალითა: და: ანგელოზითა: მთავარ: ანგელოზითა: მი-
ქელ: და: გაბრიელითა: სერობითა: და: ქერობითა: ცხრას. დასთა. მოცი-
ქულთა: პეტრესა. და: პავლესითა: იოვანე: მახარობლითა: იოვანე: ნათლის:
მცემლითა: იოვანე: ოქროს: პირისათა: კავლად: იოვანე: მლთის: მეტყაველი-
სა და: ამათის: მინდობითა: და: შუა: მდგომლობითა: ოხითა. და: მეოხებითა:
ძალითა: და: ძლიერებითა: სამას: სამოცდა: სამის: წმინდის: გიორგის: ძა-
ლითა: და: თავდებობითა: მინდობითა: და: შუა: მდგომლობითა: რანიცა:
წმინდანი: სუინაქსარზიგან: სწერიან: ანუ: მოიხსენებიან: ამათის: მინდობი-
თა: და: შუა: მდგომლობითა: და: თავდებობითა: ესე: დრო: დაუდებელი:
მიზეზ: შემოუდებელი: ყოველის: ჩხუბისაგან: და: ილეთისაგან: გამოსული: და:
გამოწმენდლი: საბოლოდ: ჟამთა: და: ხანთა. გამოსადეგი. ესე: ნასყიდობის: წიგ-
ნი: და: სიგელი. დაგიწერეთ. და: მოგეცით: ჩვენ: ავლაბრელი: მახარას:
შვილმან: დემეტრემან: და: ძმამან: ჩემან: თევდორამა: და: შვილმან: და: სა-
ხლის: ჩვენის: მამავლმან: ყოველთავე: თქვენ. წინამძღვარს. ონოფრესა: ასე:
და. ამ: პირსა: ზედან: რომე: დიად: დიდი: დაჭირება: მქონდა: ვალი: გვე-
მართა: დაჭერილნი. ვიყავით. და: მოვედით: ჩვენის: ნება: წადილითა: შე-
მოგვხვეწენით: და: ჩვენი: თავი: მოგყიდეთ: გამოგართვით: ჩვენი: ფასი:
რითაც: ჩვენი: გული: შეგჯერდებოდათ. ჩვენი: თავი: დახსნის: წიგნიც:
თქვენ: მოგეცით: აღარა: დარჩა რა: ჩვენი თქვენზედა. არც: ერთი: იოტის:
ფასი: ბატონ: ყმობის. მეტი: ჩვენი: მცილეთ. და: მოდავე: არვინ: იყოს: თვი-
ნიერის: ერთი: მლთის მეტი: გყვანდეთ: და: გიბედნიეროსთ: ღმერთმან: რო-
გორც: მრავალს: მონასყიდესა: მართებდეს: ვინცა: და: რამაც: სურიელმან.
კაცმან: ჩვენი: მოდავე: გამოჩნდეს: პირისა: და: პასუხის. გამცემნი. ჩვენ:
ვიყვნეთ: ვინცა: და: რამაც: კაცმან: ეს: ჩვენგან: მოცემული: წიგნი: და:
სიგელი: მოგიშალოს: ისიმც: მოიშლების: საქრისტიანოს: სახისაგან: მა-
სამც: ედების: კეთრი: გზის: შიშთული: გენია: იუდის. ძრწოლა: კაენი-
სა: ნურცა: იხსნების: სული: მისი. ჯოჯოხეთისაგან: ამინ: ამინ: აკურთ-
ხოს: ღმერთმან: არიან: ამისი. დამხდომნი: და: მოწამენი: პირველად:
ღმერთი: მისი: ყველა: წმინდანი: ზეცისანი: და: ქვეყანისანი: კორცი-
ელნი. და. უკორცონი: კაცთაგან: მეფურის: შვილი: ფარსადანა: და: ჯავა-
ხის. შვილი: სქელი: ქიტა: და: ზადიკას: შვილი: შირაჩი: თემურა: და:
ოსიტანთ: პაპუას: შვილი: ლორსაბა: და: მიდელის: შვილი: შერმაზანა: და:
კურდელას: შვილი: კაკა: და: მე: ხარება: შვილს: მერაბას: დამიწერია: და:
და: მოწამეც: ვარ: ამისი: დაიწერა: ესე: წიგნი: და: სიგელი: გიორგობის:
თვის: დამდგესა: ქკს უი.

მარი ჯვარი.

არშიაზე: ქ: მე: აეთანდილს: სუფრაჩიშვილს: მათ: ბატონს: ყაბულიცა:
მაქეს: და მიმირთმეგია: თვისის: ნასყიდობის: სიგლითა:
ბეჭედი გაურჩეველი წარწერით სპასუხადა.

1722 წ. დავით გარეჯის სიგელი № 128, დაწერილი ქაღალდზე 321/4 ×
161/2 სანტიმ.

ქ: ნებითა: და შეწევნითა: ღთისათა: ესე: ნასყიდობის: წგნი: მოგეც: მე:
მეგრელი: მხატვრის: გიორგის: ყმამ: თამაზამ: ცოლშვილითა: თქვენ: წინამ-
ძღვარს: ონოფრეს: მოგყიდეთ ჩემი თავი: შვილითა: და თავითა: ჩემი: ბატო-
ნისაგანაც: აზატ: ნაქნარი: ვიყავ: და მერმე: ვალი: დამატყდა: და მოვალე-
ბი: თათარზე: მყიდდენ: მოველ: მუხლს: მოგეხვიე: და შემობრალეთ: და და-
მიხსენით: სინამდინ: ცოცხალი: ვიყო: თქვენს მეტი: ბატონი: არ: მინდოდეს:
და: ჩემი: მოცილე: ღთის მეტი: არავინ: გყვანდეს: არიან: ამისნი: მოწამენი:
ხოხონა: და დედაშვილის: ოქრომჭედელი: გიორგი: თუხარელი: ნკოლაოზ:
და ლაზარე: და მე: პეტრე: დეკანოზის: შვილს: პეტრეს: დამიწერია: და მო-
წამეცა ვარ: დაიწერა: ესე წიგნი: ქრისტიანობისთვის: დამდეგს: ქქს უი:

+

1724 წ. დავით გარეჯის სიგელი № 149, დაწერილი ქაღალდზე 59 × 121³/₄,
სანტიმ. სიტყვებში ხშირად ბ ჩამატებულია, რამეღსაც ჩვენ ვტოვებთ.

ქ: ნებითა: და: შეწევნითა: მღთისითა: მამათა: ძისათა: სულისა: წმინ-
დითა. ამათს. მინდობითა: და: შუა: მდგომლობითა: და. თავდებობითა: და
უმეტესითა: კურთხეულ: დედოფლისა: ჩვენისა მღთს: მშობლისა: მარან-
დისა: ქალ: წულის: მარიაშისითა: ძალითა: და: ძლიერითა: ოხითა: და: მე-
ოხებითა: ამათს. მონდობითა. და. შუა. მდგომადგომლობითა: და: თავდე-
ბობითა: ზეცის. ძალითა: თავარ: ანგელოზითა. მიქელ: გაბრიელითა: სერო-
ბითა. ქერობითა. ცხრა: დასთა: ანგელოზითა: ათორმეტი: მოწეფითა: პეტ-
რე: პავლითა: იოვანე: მახარობლითა: იოვანე. ოქროს. პირითა: ამათს: მნდო-
ბითა: და: შუა. მდგომლობითა. და. თავდებობითა: და. მსვეტის. ცხოველი-
სა. და. ხატისმხატვების. პირმა. მღთსა: წმინდ: გიორგი. გორის: ჯვარისა.
წმინდა: გიორგი. ატოცისა: წმინდა. გიორგი. თელეთისა. წმინდა: გიორგი:
მოღინისა. წმინდა. ესტატე: ოქროს. გვირგვინოსანითა. ამ. ყველა. მღთსა:
ამათს. მინდობითა. და: შუა: მდგომლობითა. და: თავდებობითა: ესე. უთო:

და. უმათემო. დრო. დუღებელი. მიზეზ. შემოუღებელი. ყველას. იღეთისა.
და. ჩხუბისაგნ. გამოსული. ჟამთა. და. ხანთა. გასათავებელი. ადამიანის: ნა-
თესავი. კაცთაგან. უცილებელი. სამკვიდრო. და. სბოლო. გასათავებელი. ნასყიდობის.
წიგნი. და. სიგელი. დაგიწერეთ: და. მოგეცით. ჩვენ. თავლე-
ლამ: გრიგოლიძე. კაციას. შვილმა. გიორგიმ. და: და. სოლამან: და: შვილ-
მა: და მამავლმა: სახლისა: ჩვენმა: შენ: ქართველ: შერმაზნას: შვილის.
ქეთევანის: შვილს: ქთნათინასა: და. შვილსა: შენსა. ელენასა: და. მომა-
ვალსა. სახლისა: თქვენსა: ასე. და. ამ. პირზედნ. ლეკის: ხელში. ტყვეთ. ვი-
ყავით: სხვა: ილაჯი. და. ღონე: არა. მქონდა: და: ბატონის. ჩემის. ონოფ-
რის: დასტურით: მოველ: და. თქვენ. შემოგვხვეწეთ: მოგყიდეთ: ჩვენი-
თავი. ჩვენის. ცოლ. შვილითა: გამოგართვით. ფსი. სრული: რითაც: ჩვენი.
გული. შეჯერდებოდა: აღარ: დარჩა: ჩვენი. თქვენს: ხელთა. არც. ერთი.
იოტის. ფასი. ქონდეს: დ. გიბედნიეროს: ღმერთმან: რარიგადაც: მრ-
ვალს: ალალს. მონასყიდს. მართებდეს: მოცილე: არა: ყვანდე: და. ვერცა-
ვინ: შემოგეცილოს. თუნიერათ. ერთი. ღმთს: მეტი. ვინაც: ამაზედ. წამო-
დგეს. და. გედავოს. პირისა: და. პასუხის: გამცემი: ჩვენ. ვიყოთ: ვინაც.
ამს. შლა: და. ქცევა: ხელი. ყოს. რისხავს: თავდ. ღმერთი. ყველა. მისი.
წმინდნი. ამნ. არს. ამისი. მოწამე: თავდ: ღმერთი. ყველა: მისი: წმინდნი.
კაცთაგნ: ეშაკალას. ბაში: ციცი. შვილი. მანუჩარ: ბეგ. (ბეჭედი წარწერთ:
მონა ღთსა უშიკადაბაში მანუჩარ) ნახუტრის: შვილი. სალთხუცესი: დავით:
ბარძის. შვილი. ეფიფანე. + მოქალაქე. ღონათ. ასტურა. (ბეჭედი) გელოა-
შვილი: ბეროა. + ქართველ: შერმაზნას: შვილი. ესტატე. + მეწვრილ-
მანე. დნელა. გავალილ: პაპოას: შვილი: გაფრიელ: + მე: ვარაძელას:
შვილს: პაპას. დამიწერია. და. მოწმეცა ვარ. დაიწერა. ესე. წიგნი. და. სი-
გელი. მარიაშობის. კე: ქკს უიბ.

+++

აწმეაზე: ქ: ამ: სიგელში: რომ: გიორგის: ფერინოზის: შვილის: შვი-
ლი: დავით: დიაკონი: რომ: ეწერა: ის: დიაკონი: წინამძღვრის: იყო: და:
ისევე: წინამძღვრისათვის: მიგვიცია: და: დაგვიხსენებია: იმ დიაკონთან: კე-
ლი: აღარა: გვაქვს: არის: ამისი: მოწამე: იესე: მეფის: სალთხუცესი: ნახუტ-
რის: შვილი: დავით: არაგვის: ერისთვის: შვილი: აბელ. (ბეჭედი) ბაინდურას:
შვილი: მუშრიბი: ავთანდილ: (ბეჭედი წარწერთ: მონა ღთსა ავთანდილ ქკს
უბ) შერგილას: შვილი: მუშრიბი: ოსება:

ქ: კიდევ. ამისი. მოწმე. ონოფრის. ყმა. ღთისა: კრცხილოვნელი.
ნდოა. შვილი. პაპუნა:

1724 წ. ნათლისმცემლის მონასტრის საბუთი (ზირი), დაწერილი ლურჯ ქი-
ლაღღზე.

ქ ნებიტა: და შეწვევითა: ღისათა: და შუა: მდგომელობითა ყდ: წისა
ლისმშობელისათა: და ყოველთა წმინდათა: ზეცისათა: და ქვეყანისათა: მოგარ-
თვით: ეს: ნასყიდობის: წიგნი: და სიგელი ჩვენ: ზაალის შვილმა გარსევან.
და ჩვენმან ძმამან სენხიამა: გიორგიმ: და ამირან: თქვენ: უდაბნოს გარესჯის:
მრავალ მთის: ნათლის მცემლის კრებულს მოძღვარს ბესარიონსა და სულ
ერთობით კრებულსა: რაითგან ჭვიროსი თქვენი ბატონის შვილის: სვიმონი-
სგან: გეყიდათ: და სვიმონ ჯავახის შვილისაგან: აწე: ეს: ჩვენი: ნასყიდი: ბა-
გა: რუს: პირზედ: ჭვიროსის ვენახებსა: და ბადრიას: შვილისა: ბაგას შუა:
ჩემის განაყოფის სამზღვრამდინ: მისის სამატით და სანაპიროთა ქვევით: ხარ-
ხოტას: თქვენს მიწამდინ მოგყიდეთ: და რაც ჩვენი გული შესჯერდებოდა ფა-
სი გვიბოძეთ: აწე ვინცა ვინ და რამანც ჩვენმან მონათესავემან მოგიშალოსთ
(წყვეთა)..... არის ამის მოწამე აზნაურ შვილი გიორგი: ბეჟანის შვილი მისის შვი-
ლებითა: და მისი ძმისძული (sic) არდაშედ: ბადრიას შვილი: მღვდელი დავით: და
მისი ბიძა შვილი გიორგი: ახალ: ქალაქის: მამასახლისი ელისბარ. მოწამე და
შემრიგებელი: ლიტას შვილი მამაჯანა: მოლას შვილი: დას შვილი ბერუა ფე-
ფიტას შვილი პაატა სულ ერთობით ხანდაკელნი: და ჭვიროელნი ჩვენ იო-
ვანე ხუცეს მონაზონს დამიწერია და მოწამეცა ვარ: ქორწინიკანი იყო უბ *)
+++

1724 წ. სიგელი ნათლისმცემლისა № 33 ქაღალღზე ზომით 206¹/₃ × 30
სანტომ. ღამაზი ხელით. აკადემიურით აწეობილი წითურადას. თავში ღამაზი ხუცურა
ხვეულით: მიუფესა მხოლოსა დიდება უკუნისამდე.

**მიუფესა: მას: საუკუნეთასა: ურწუნელსა: უხილავსა: მხოლოსა: ბრძენსა:
ღთსა: პატივი: და: დიდება: უკუნითი: უკუნისამდე ამინ:**

ქ: ადგძრა: ბაგენი: ჩემნი: და: აღეხვინ: იგი: მადლითა: რათა: არა: ქლე:
დამზიდველ: მექმნეს: ტვირთი: ბრალისა: და: მოეცინ: ძალი: უძლურსა: ენა-
სა: ჩემსა: რომელ: ჯეროვნად: შევმართო: შეკადრებად: შეუკადრებელისა:
და: შეახლებად: შეუახლებელისა: და: სიტყვითა: შესხმისათა: ვაქებდე: ღთსა:
სამებით: ერთსა: რამეთუ: იგი: არს: დასაბამი: და: დასაწყისი: კეთილთა: და:
მომცემელი: ყოველთა: ნიჭთა: რომელ არს: შემოქმედი: ყოველისა: და: გან-

*) ეს სხვა ხელით და მელნით.

მგებელი: ყოველთა: ღთი: მამა: მპყრობელი: ყოველისა: ერთი: ღთი: სამ
გვამოვანი: დაუსაბამო: და: დაუსრულებელი: საუკუნო: უქამო: და: დაუბა-
დებელი: უშობელი: უნივთო: უცვალეზელი: მიუდრეკელი: მარტივი: შეუზა-
ვებელი: უკორცო: უვნებელი: უხილავი: შეუხებელი: გარე: შეუწერელი:
უსაზღრო: უსაზომო: მოუგონებელი: სახიერი: მართალი: ყდ: ძლიერი: ყო-
ველთა: დაბადებულთა: შემოქმედი: და: ყოველისა: მპყრობელი: და: ყოველ-
თა: მხედველი: და: ყოველისა: მპყრობელი: და: ყოველთა: მხედველი: და:
ყოველთა: განმგებელი: და: კელმწიფე: ყოველთავე: ზედა: და: მსაჯული:
ყოველთა: და: ერთი: უფაჯი: იესო: ქრისტე: ძე: ღთისა: მხოლოდ: მამისა-
გან: შობილი: უქამოდ: და: დაუსაბამოდ: უწინარესი: ყოველთა: საუკუნე-
თა: ღთი: მხოლო: მხოლოსაგან: მამისა: მხოლოდ: შობილი: რომელი: აღ-
სასრულთა: ჟამისა: განკორციელდა: სულისაგან: წმიდისა: და: მარიამისაგან:
ქალწულისა: მიიხვნა: კორცნი: დასაბამნი: ჩვენისა: ამის: არსებისა: არა: თე-
სლებრ: არამედ: შემოქმედებრ: არა: მცირედ: განსრულებითა: სახისათა: არა-
მედ: ერთბამად: სრულქმნითა: და: იგი: თავადი: სიტყვა: ღთისა: დაემკვიდ-
რა: საშოსა: ქალწულისასა: გარე: შეუწერელად: თვისითა: არსებითა: და:
უბიწოთა: მათგან: სისხლთაგან: კორცნი: შემზადა: სულიერნი: და: სული:
სიტყვიერი: ღირსი: და: გონიერი: და: დასაბამი: მიიღო: კაცობრივისა: არ-
სებისა: ვინაცა: კორცთა: მათ: არსებათა: ეწოდა: კორც: სულიერ: და: სიტ-
ყვიერ: და: გონიერ: ამისთვისცა: არა: კაცად: განდრთობილად: ვიტყვით:
არამედ: ღთად: განკაცებულად: აღვიარებთ: რამეთუ: რომელი: იგი: იყო:
ბუნებით: სრული: ღთი: იგი: თავადი: იქმნა: ბუნებით: სრული: კაცი: არა:
შესცვალა: ბუნება: არცა: შესცვალა: განგებულება: არამედ: წმიდისაგან: ქალ-
წულისა: მოიპოვა: კაცება: გონიერი: და: სიტყვიერი: და: ეგო: შეურევნე-
ლად: უცვალეზელად: და: განუყოფელად: ამისთვისცა: ღთად: სრულად: აღ-
ვიარებთ: და: ვიტყვით: და: გვრწამს: ხოჯა: სუჯი: წმიდა: უფალი: და:
ცხოველს: მყოფელი: მისვე: არსებისაგან: ნათელი: ნათლისაგან: გამოსული:
და: ცხოვრება: ცხოვრებისაგან: გამოვლენილი: რომელი: მამისაგან: გამო-
ვალს: და: ძისა: მიერ: მოგვეცემის: მამისა: და: ძისა: თანა: სწორი: დაუსა-
ბამოდ: და: ერთარსებით: და: ერთღთაებით: დიდებული: და: თანა: მოსა-
ყდრეობით: თაყვანისცემული: რომელსა: აღვიარებთ: ესრეთ: სამგვამოვნება-
სა: სამებისასა: ხოლო ბუნებით: განუყოფელსა: და: გვამოვნებით: განყო-
ფილსა: და: შეერთებულსა: განზრახვითა: და: დიდებითა: ღთაებისათა:
და: ერთ: ბუნებითა: და: სწორ: პირებითა: პატივცემთ: რამეთუ: ცხოვ-
რება: ცხოვრებისაგან: და: ცხოვრება: უვნებელად: გამოვიდა: და: ვნება:
არა: შემოვიდა: არამედ: ერთ: ღთაებად: გიეს: რომელ: არა: შეიცვალე-
ბის: მამა: ძედ: არცა: ძე: მამად: არცა: სული: წმიდა: მამად: გინა: ძედ: არამედ:
ერთ: ღთაებით: და: ერთ: ბუნებით: იქების: მორწმუნეთაგან: ხოჯა: წმიდასა: და
უხრწნელსა: ქალწულსა: და: დედასა: ყდ: კურთხეულსა: და: სანატრელსა: მა-



რიამს: ჭეშმარიტად: ლთის: მშობლად: აღვიარებთ: რამეთუ: ვითარცა: ატა: საწმისსა: ედემრიად: მოვიდა: ზეგარდამო: ცვარი: სულისა: წმინდისა: მისზედა: რომელმან: გვიშვა: ერთი: სამებისაგანი: ძე და: სიტყვა: ლთისა: და: იქმნა: შუა: მდგომელ: ლთაებისა: და: კაცებისა: რომელსა: წინასწარმეტყველნი: შორითვე: განიცდიდეს: და: მოასწავებდეს: და: აწ: ყოველნი: ტომნი: ნატრიან: მას: და: მის მიერ: წარემართების: ყოველივე: საქმე: კეთილი: და: წმიდისა: და: ცხოველს: მყოფელისა: ჯვარისათვის: რასალამე: ვიტყუადი: რომელი: განიბოხა: სისხლითა: მეუფისათა: და: ნათობს: კიდით: კიდემდე: ქვეყანისა: ამის მიერ: დაიკვნა: მტერობა: ანგელოზთა: და: კაცთა: და: შეიერთეს: ქვეყანისანი: ზეცისათანა: და: ესე: წინა: უძღვის: ყოველსავე: კეთილსა: და: ესე: წარმართებს: ყოველსა: და: ამისითა: წინა: ძლომითა: იქმნების: საქმე: კეთილი: ხაფა: ანგელოზთა: უკორცოთა: მკედრობანი: ზეცათანი: სარკელ: შვენიერად: დიდებისა: ლთისა: დაბადებულნი: მარადის: მაქებელნი: ლთისა: დიდებისანი: და: სამწმიდაარსობითა: კმითა: მლაღადებელნი: დაუღუმებელად: ხოლო: კაცნი: ქვეყანასა: ზედა: მიწისაგან: შექმნულნი: ხატად: ლთისად: დაბადებულნი: და: ზეგარდამო: გამორჩეულნი: და: მომასწავებელნი: გარდმოსვლისა: ლთისა: ჩვენ: კაცთა: შორის: წინასწარმეტყველნი: და: ყოველთა: წინასწარმეტყველთა: უაღრესი: და: ყოველთა: ნაშობთა: დედათასა: უმეტესი: წინასწარმეტყველი: და: წინა: მობებელი: და: ნათლისმცემელი: და: თვალით: მხილველნი: და: კელით: მსახურნი: მოციქულნი: წმინდანი: მღვდელთ მოძღვარნი: ნეტარნი: მამანი: მამათმთავარნი: და: სარწმუნოებით: აღსრულებულნი: მოწამენი: და: ქალწულნი: და: ღირსნი: დედანი: რომელნიმე: წარკვეთითა: თავათა: აღსრულებულნი: სხვანი: ტანჯვითა: და: გვემითა: განცდილნი: ქვითა: განკაფულნი: და: მრავალფერითა: ტანჯვითა: აღსრულებულნი: აღიარებდეს: სამებასა: და: ქადაგებდეს: კორცთ: შესხმასა: რომელ: ამათვის: მიიღეს: აღსასრული: და: აწ: ამათ: შორის: იდიდებოდინ: ურიცხვთა: ღვაწლთა: თავსმდები: და: მრავალფერითა: სატანჯველითა: აღსრულებული: მოწამეთა: შორის ქებული: და: მოღვაწეთა: შორის: დიდებული: მკნე: მკედარი: მეუფისა: დიდისა: უფალი: ჩემი: დიდებული: გიჰგვი: რომელ: მკვეალმან: და: მსასოებელმან: მისმან: და: მონისა: მისისა: და: მასზედა: სასოების: დამდებისა: და: ტაძრისა: მისისა: განმდიდრებისა: და: განძლიერების: და: გარდამეტებისა: მოღვაწისა: საქართველოს: მპყრობელის: მეფის: ერეკლეს: ასულმან: და: კახეთის: მპყრობელთა: ორთა: მეფეთა: დამან: და: ამის: დიდებულისა: ტაძრისა: მპყრობელად: დადგინებულის: და: საუფლოსა: ხარისხსა: ზედა: ღირებით: მჯდომარის: ჩოლაყაშვილის: უფლისა: ამბა: ალავერდლის: ნიკზის: რძალმან: ოდესმე: მარია: ყოფილმან: და: აწ: მონოზონებისა: სახისა: მიმღებმან: ფრ: ცოდვილმან: და: არა: ღირსმან: და: მრავალთა: ცოდვათა: შინა: წარგრაგნილმან: უბადრუკმან: მაკრინამ: ვინადგან: სოფლისა: ამის: პირუჭეშმარიტობა:

და: მიმოქცეულება: ჩემზედაცა: მოიწია: და: საწუთოსა: ამის: შვება:
მწრათლ: განმიქარდა: და: მეულღე: ჩემი: ძმისწული: ამის: სანატრელისა:
ამბა: ალავერდლის: ნიკზის: კახეთის: სალთხუცესი: ელიშერ: ქვეყნისა: ჩვე-
ნისა: აღმაოკრებელთა: უსჯულოთა: და: ხენეშთა: ლეკთა: მიერ: წყობასა:
შინა: აღსრულდა: და: დავშთი: სოფლისა: ამის: წყველიადა: შინა: კელმოჭ-
ლობით: მარადის: მორუდუნე: კმიოა: სულთქმისათა: და: არარა: სხვა: ნუგე-
შის: ცემა: ვიძიე: გარნა: ესე: რათამცა: თავი: ჩემი: და: მეულლისა: ჩემისა:
გვამი: რომელი: ქრისტეს: სარწმუნოებისათვის: იღვწიდა: და: სისხლი: თვისი:
ქრისტეს მბრძოლთაგან: დასთხია: ტაძარსა: ამას: დიდებულსა: დამედვა: და:
თავი: ჩემი: ამის წმიდისა: მოწამისდა: შემევედრებინა: ვინადგან: სამარხო:
მეფეთა: და: პაპათა: ჩემთა: იყო: აქა: აღვირჩიე: მკვიდრობა: და: კახეთის:
მპყრობელსა: ძმადა: ჩემსა: მეფეს: დავითს: რომელ: იგი: იპყრობდა: მას:
ჟამსა: ქვეყანასა: თვისსა: შეურდი: და: ვევედრე: რათამცა: ერთი: მკირე:
ეკვლარი მოეპოძნეს: რათა: სამარხოდ: ჩვენდა: მომელო: და: მან: ჩემდამო:
კეთილითა: გონებითა: და მტკივნეულითა: გულითა: აღძრულმან: ვინადგან:
მსახურებასა: შინა: მისსა: აღსრულებულიყო: მეულღე: ჩემი: მიბოძა: ტაძარ-
ი: წმიდისა: მღვდელთმოდღვრისა: ნიკზისა: ალავერდს: და: დავსდევ: ტაძარ-
სა: მას: შინა: და: მეცა: მიერიდგან: სამკვიდრებელად: ჩემდა: აღვირჩიე: აღ-
გილი: იგი: და: ნუგეშინის: საცემლად: მაქვენდა: მსახურება: დიდებულისა:
მოწამისა: გიორგისა: და: მკვიდრობა: ტაძარსა: მას: შინა: და: მიერ: დღიდ-
გან: გულსა: დამედვა: და: მეძიებელ: ვიყავ: რათა: რომლითა: სახითა: დღი-
თილღე: აღმესრულებინეს: მსახურება: მისი: ვინადგან: სულისა: კეთილთა:
დაკლებულ: ვიყავ: რომელსა: უმეტესად: შეიწირევდა: და: უფროსად: იშვებ-
და: და მოხარულ: იქმნებოდა: არამედ: ცოდვა: ჩემი: მაყენებდა: და: მრჩობ-
ლთა: კეთილთა: აღსრულებად: ვერ: ღირს: ვიქმნებოდი: გარნა: ესე: მოვი-
ძიე: რათა: მოწყალებითა: მისითა: არა: სრულიად: უგულებელს მყოს: და:
მივხედენ: და: განვიცადე: ქვრივი: იგი: რომელმან: შეუმზადნა: სვეტნი: რა-
მე: და: სასოებითა: კეთილითა: და: გულითა: პურვალითა: შეწირნა: წმიდის-
და: და: ზღვად: უტევა: ხოლო: იგი: უმეტესად: შეიწირა: წმიდამან: მოწა-
მემან: და: ტაძრად: თვისად: მიიღო: რომელი: გულისა: მეძიებელ არს: და:
არა: შესაწირავისა: პატრონებისა: რომელსა: არად: ეკმარებინა: ნივთნი: ამის:
სოფლისანი: რომელი: მეუფესა: მრავალ: წილად: მიუნიჭებინეს: დიდება: და:
პატივი: წარუვალი: უკვდავსა: მას: ცხოვრებასა: ფრთა: ღვაწლთა: მისთა:
წილ: და: იშვებს: შვებითა: ყრდ: საწადელითა: და: მარადის: მიხედავს: გო-
ნებათა: მისდა: სასოებითა: აღძრულსა: და: ნურავინ: მამბრალბთ: სიმცი-
რესა: და: უნდობასა: შესაწირავისასა: და: იტყვით: ვითარ: შემკადრებელ:
იქმნო: გარნა: ამათსა: მომხსენემან: და: უმეტესადცა: ამათსა: რომელი:
ორთა: მწვლილთა: დასდებდა: ფასისაცავსა: მას: და: მეუფე: უფროსად: აქებ-
და: მათ: ყოველთასა: და: განვიცადენ: ესენი: და: ამისთვის: ძღვნისა: სიკნი.

ნისა: არა: მაყენებელმან: არა: დაბრკოლება: ვეც: სასოებასა: ჩემსა: და:
აღვიდე: ძღვენი: ესე: ქვრივმან: ამან: უნდო: და: მკირე: გულანი: თორმე-
ტი: თვე: სრული: და: უნაკლულო: პარაკლიტონით: მარხვანით: და: ზატი-
კით: ყოვლითურთ: განსრულებული: და: კვალად: წირვის: საბუკარი: მარ-
გალიტისა: ერთი წყვილი: და: სხვა: რაოდენი ძალმედვა: და: მარადის: მსა-
ხურებად: და: შეწირვად: გულსმოდგინე: ვიყავ: და: დღითიდღე: მიუძღვნი-
დი: მან: უწყის: და: კვალად: ესე: და: ამისცა: შემკადრებელ: ვიქმენ: და:
უნდო: და კნინი: ძღვენი: მიუძღვანე: უტოს: ერთი: საკვამლო: ბულულა-
შვილის: ნასახლები: მამული: ორად: გაყოფილი: ორის: ვენაკით: მისის საკ-
ნავით: და: უკნავით: მთით: ბარით: და: მისის: სამართლიანის: განსამზღვრე-
ბითა: რომელ: ძმისა: ჩემისა: კახეთის: მპრობლის: მეფის: დავითის: მიერ:
მზითვად: მომებოდნეს: ძველადგანვე: თვისი: სახასო: ყოფილიყვენს: და: ჟამ-
თა: ვითარებისაგან: ოდეს: კახეთი: უმკვიდროდ: და: უბატონოდ: დაშთომი-
ლიყო: მას: ჟამსა: გილდაშვილს: დაეპყრა: მიფარვით: და: რაჟამს: დაიპყრა:
კახეთი: მეფემ: დავით: იმამყულიხან: მოიძია: ყოველივე: თვის: და: დაიპყ-
რა: უცილებლად: და: ვინ: წინა: აღუდგებოდა: თვისსა: სამკვიდროსა: და:
ვინადგან: იგი: მამული: არავის: ძველთა: მეფეთაგან: აქვდეს: გილდაშვილს:
მას: გამოულო: მამული: იგი: და: მე: დასა: თვისსა: მიბოძა: და: წარავლინა:
მდივან: მწიგნობრის: ძე: ღირსი: და: ყრდ: სანატრელი: და: განბრძნობილი:
მრჩობლთა: კეთილთა: საქმეთა: შინა: სამებელ: ეპისკოპოზი: ნიკჴ: და: კა-
რისა: თვისისა: მანდატურთ: უხუცესი: ეშკილაზბაშად: წოდებული: ბრძენი:
და: მეცნიერი: გარსევან: ჯანდიერის: შვილი: და: მათ: გაასამზღვრინა: და:
გაარჩევინა: და: რომელიც: უსამართლოდ: და: უბატონოდ: სჭეროდა: იგი:
მამული: შემოასამზღვრებინა: და: ესრეთ: მიბოძა: იმ: მამულის: მემკვიდრე:
ერთი: ბიჭი: ჩოლაყაშვილს: ფირან მოურავს: ეყიდა: და: პატარა: ბიჭი: მა-
მით: მამულზედ: დარჩომილიყო: ის: ბიჭი: მამულით: მიბოძა: და: ის: ბიჭი:
მოკვდა: და: ამოსწყდა: და: მამული: უმკვიდრო: შეიქნა: ისრე: მეჭირა: იმ:
მამულის: წიგნები: ორი: მეფის: დავითისაგან: ბოძებული: იმ: ბიჭისათვის:
ჩემს: სახელზედ: როდისაც: ის: ბიჭი: მოკვდა: და: მამულზედ: აღარავინ:
დარჩა: წიგნებიც: დაიკარგა: თიანელის: კაცისათვის: მიებარებინათ: და: იმ:
თიანელმა: კაცმა: მოიპარა: აღარ: გამოაჩინა: და: ეს: მამული: ჩემის: ძმისა-
გან: განსამზღვრებით: და: წიგნით: მე: მომცემოდა: და: მე: მეპყრა: ამისი:
მოწამე: ბევრი: ვინმე: იყვნენ: თვით: მის: გარსევან: ეშკილაზბაშის: შვილი:
ზაალ: ეშკილაზბაში: და: ბევრი: ვინმე: სხვა: და: იმ: სოფლის: კაცნიც:
და: რა: მე: მომცემოდა: ის: მამული: მასუკან: არავის: სჭეროდა: და: არც:
ჩემს: ძმებს: ვისთვისმე: ებოძა: და: არც: ეგებოდა: მზითვად: მოცემული: გა-
მოერთმეგინათ: და: არც: მე: ვისთვისმე: მიმეცა: თუ: ის: წიგნები: სიტყვითა:
ტყუვილისათა: მოიტანოს: ვინმე: და: ამ: მამულს: დავება: დაუწყოს წიგნ-
მა: ამან: გაამტყუნოს: და: ცუდ იქმნას: ზრახვა: მათი: და: ვინადგან: ძე:

არ: მესვა: და: მამულის: მემკვიდრე: შვილი: არა: მყვანდა: აღვიღე: და: წმი-
დას: გიორგის: ალავერდს: მეფეთა: სამარხოსა: და: ჩვენსა: სამყოფსა: შე-
მოგწირე: და: მოგიძღვანე: მცირე: ესე: შესაწირავი: ეჭა: მკნეო: შორის:
მოდვაწეთაო: ღვაწლისა: მძლეო: გიორგი: რომელმან: სრბა: აღასრულე:
შენ: სარწმუნოებით: ღირსო: და: მოიღე: ღთისაგან: ძღვევისა: შენისა გვირ-
გვინი: რომელმან: მაცხოვრისა: თანა: ივნე: და: სიკვდილი: ნებსით: თვისით:
მსგავსად: მისსა: დაითმინე: დიდებულო: რათა: სუფევდე: მისთანა: და: კად-
ნიერად: მეოხარ: ყოველთა: შენდა: შემოგრდომილთა: და: მიანიჭებ: უხვე-
ბით: მდიდრად: წყალობასა: რომელიცა: გევედრებიან: და: აწ: შეიწირე: შე-
საწირავი: ე-ე: და: მოხედენ: გონებასა: ჩემსა: რომელიცა: სულითა: შემე-
სვრილითა: და: გულითა: მდაბლითა: შეგივრდები: შენ: და: ვითხოვ: ოხასა:
შენსა: და: მასმინე: სიტკბოებით: საწადელი: კმა: შენი: მსგავსად: მეუფისა:
შენისა: ვითარმედ ასულო: სარწმუნოებამან: შენმან: გაცხოვნოს: შენ: და:
მომანიჭე: კეთილი: და: ურცხვენელად: წარდგომა: წინაშე: მეუფისსა: ქრის-
ტესსა: და: ამასცა: შინა: ცხოვრებასა: და: მფარველ: მექმენ: და: მხიარულ-
ყავ: სული: და: ცნობა: ჩემი: და: გული: და: გონება: ღთ: შემოსილო: და:
მოსწრაფე მყავ: ყოფად: ნებისა: ღთისა: რათა: ვბოო: შენდობა: ურიცხვთა:
კოდვათა: ჩემთა: მეოხებითა: შენითა: და: მკვიდრ ვიქმნე: საუკუნოთა: კე-
თილთა: მეუღლით: ჩემით: და: არა: კდემულ ვიქმნეთ: დღესა: მას: დიდსა:
განკითხვისასა: და: შეწვენითა: შენ მიერთთა: კადნიერება: გვაქვნიდეს: საუკუ-
ნესა მას: ხლოო: ასულსა: ჩემსა: შემოგვედრებულსა: შენსა: და: საფარველ-
სა: ქვეშე: შენსა: აღზრდილსა: ფარვედინ: მადლი: შენი: მეუღლით: მისით:
აწლა: უკუნისამდე: და: აწ: შენ: ზი: შვიდწილ: უძღვეველო: გიორგი: რომ-
ელმან: ესე: ჩემ მიერ: შემოწირული: მამული: და: ესე ყოველი: გამოგწი-
როს: ანუ: მძღავრებით: მიიტაცოს: ანუ: სიტყვითა: ტყუილისათა: მიიან-
გაროს: ანუ: სრულიად: გინა: მცირედი: რამე: მათგანი: რომელიცა: გასამ-
ღვრებულ არს: მას: რამე: მოაკლოს: დიდი: გინა: მცირე: ანუ: რითა: რომ-
ლითა: მისსა: მოკლებასა: ეცადოს: ანუ: მეფემან: განსცეს: გინა: დედო-
ფალმან: ანუ: უფლისწულთა: ანუ: სამლომან: დასმან: გინა: საერომან:
კრებულმან: მთავართა: და: დიდებულთაგანმან: თავადმან: გინა: აზნაურმან:
გინა: გლეხმან: ანუ: რომელმანცა: კაცმან: გინა: დედაკაცმან: ამა: ჩემ მიერ:
შემოწირულსა: და: არა: გრიდოს: შენ: შენ: აღუღე: რისხვად: მისდა: და:
შესამინე: მეუფესა: და: შენცა: შერისხდი: და: ყაღ: დღენი: მისნი: მცირედ:
და: განსაგებელი: მისი: სხვამან: მიიღოს: იყენენ: შვილნი: მისნი: ობოლ: და:
კოლი: მისი: ქვრივ: შერყეულ: იცვალეხედ: და: განვარდენ: ნატამალისა-
გან: მათისა: აღიჭირედ: უცხოთა: ნაშრომი: მისი: ნუ: ებოებიან: მას: შემ-
წე: ნუმცა: იყოუნ: შემწყნარებელ: ობოლთა: მისთა: იყენენ: მარადის: მო-
სისვრელად: და: აღიკოცნენ: სახელი: მისი: ნათესავსა: შინა: მისსა: და:
ლოცვა: მისი: კოდვად: შეერაცხენ: და: კოდვა: მისი: ნურა: რომლითა:

კეთილითა: ნუ: აღიკოცებიან: იყვნენ: წინაშე: უფლისა: მარადის: და: მო-
 ისპენ: ქვეყანით: სახსენებელი: მათი: ამის: წილ: რამეთუ: არა: მოიკსენა:
 მან: შიში: შენი: და: არა: გრიდა: შენ: და: შეიყვარა: წყევა: და: მივედინ:
 მისდა: და: არა: ინება: კურთხევა: და: განეშორენ: მისგან: ესე: არს: საქმე:
 მათი: **ხაღა:** დამამტკიცებელნი: ამათნი: აკურთხნეს: ღ'თან: კურთხევითა:
 აბრაჰამიანთა: ისაკ და: იაკობიანთა: და: განამრავლენ: და: განაგრცლენ:
 ქვეყანასა: შინა: მკვიდრობითა: და: განაგენ: ყოველნი: დღენი: მათნი: მშვი-
 დობითა: და: ნურა: რავინმცა: იქმნების: წინა: აღმდგომი: დღეთა: შინა:
 მათთა: და: სუფევდენ: მრჩობლთა: კეთილთა: შინა: ამისთვის: რომელ: არა:
 დაკსნა: და: არა: განკრიხა: და: არა: მიიმძლავრა: მცირე: ესე: შესაწირავი:
 ჩემი: არამედ: უფროსად: თანა: შემწე: ეყო: შეეწივე: მასცა: ორსავე: შინა:
 ცხოვრებასა: უკუნისამდე: და აწ: ესე: ყოველი: მიმინიჭებვის: კელთა: დაბა-
 თა: და: აგარაკთა: შენტა: მპყრობელ: განმგებელისათა: და: შენ მიერ: დი-
 დებულისა: და: ყოველთა: კახეთის: ეპისკოპოზთა: მთავრად: დადგინებულის-
 სა: და: გვირგვინონებით: პატივცემულისა: ღირსისა: და: ყ'დ: სანატრელის:
 უფლისა: და: მაზლისა: ჩემისა: და: უფროსლა: სულიერისა: მამისა: და: მე-
 ურნისა: ჩემისა: ამბა: ალავერდლის: ნიკზისათა: და: ამის: მიერ: შემოღმიწი-
 რავს: შენდა: ყოველივე: რათა: ამისითა: შენ წინაშე: კადნიერებითა: და:
 შუამდგომლობითა: მოვიდო: შენ მიერი: წყალობა: მე: საწყალობელმან: და:
 ესეცა: მრავალ: ჟამიერობით: სუფევდეს: შენ მიერ: აქაცა: და: მას: საუკუ-
 ნოსა: და: იხარებდეს: შენისა: ბრწყინვალეებისა: მიფენითა: უკუნისამდე: **ხა-**
ღა: ამასცა: ესრეთ: მიუმცნებ: რათა: დღესა: მას: კსენებასა: შესვენებულ-
 თასა: კსენებასა: ჩვენსა: ყოფდეს: და: ერთსა: უკვე: მღდელთაგანსა: შემ-
 წირველად: მსხვერპლისა: ჩვენთვის: აღძრევდეს: და: ამიერიდგან: ყოველთა:
 შემდგომთა: თვისთა: სხვათა: ალავერდელთაც: აუწყოს: ნურცა: იგინი: უგუ-
 ლებელს ყოფენ: სახსენებელსა: ჩვენსა: ესრეთ: ვითარცა: აღმიწერიეს: უკე-
 თუ: რომელმან: დააკლოს: ჩვენ მიერი: ესე: ვედრება: და: არა: აღასრუ-
 ლოს: კსენება: ჩვენი: ერთისა: მღდლისა: მიერ: მსხვერპლისა: შეწირვითა:
 დღესა: მას: ხსენებასა: შესვენებულთასა: ცოდვათა: ჩვენთა: მიერ: განიკით-
 ხოს: და: პასუხის: მომკემელ: გვექმნეს: დღესა: მას: დიდსა: განკითხვისასა:
 აღიწერა: წიგნი: ესე: მეფობასა: ძმისა: ჩემისა: მეფისა: კოსტანტინესსა: და:
 განმგებლობასა: ძმისავე: ჩემისა: ბატონის: შვილის: თეიმურაზისასა: მრავალ:
 ჟამიერ ყოს: უფალმან: დღენი: ცხოვრებისა: მათისანი: და: სუფევდენ: სუ-
 ფევითა: კეთილითა: აწდა: უკუნისამდე: აღვწერე: თვით: კელითა: ჩემითა:
 და: სიტყვითა: ჩემითა: რაოდენი: მომცა: მე ღ'თან: სიტყვა: აღებასა: პირი-
 სსა: ჩემისასა: და: ესრეთ: აღიწერა: თვესა: მარტსა: ი'ბ: ქ'კსა: უიბ: დასაბა-
 მითგან: ვიდრე: აქამომდე: კ: ს: ლ: გ: ინდიკტიონსა: გ:

ბეჭედი წარწერით: მოსავი ჯვარისა ასული მეფისა მარიამ ბატონის შვილი.
 ღამაზ ხვეუდად: ბატონის შვილი მარიამ.

1731 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 82 ღამაზა ხელათ, ქაღალდ.
41^{1/2} X 25 სანტიმ.

ქ.: ნებითა და შეწევნითა ღთისათა: მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღთის-
მშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა: ძლიერებითა პატრონისა და
ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა: სვეტისა: ცხოველისა და კუართისა საუფ-
ლოსა მირონ ღთმყოფელისათა: და ყოველთა წმიდათა მღვთისათა: ამითითა
მინდობითა და შუამდგომლობითა: ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი და
მოგართვთ: ჩუენ ძეგველმა: მეითარაშვილმა ივანემ: და ძმამა ჩემა გურიტამ:
შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა: თქუენ ბატონს ტფილელ მიტრა-
პოლიტს არსენს: ასე და ამა პირსა ზედა რომე: რა ოსმალთ საქართველო
დაიჭირეს: თავად გავდარიბდით: მერმე მოგვიკადა ლეკი და ძეგვი სულ წააჯ-
დინა: ნამეტნავად ჩვენ სულ დაგვატყვევეს და აგვაოკრეს: აღარაფერი აღარა
შეგვგრჩარა: სალიანისა და გამოსაღებისაგან დიდი ვალი დაგვატყდა: ველარას
გზით ღონე ველარ ვქენით: საქონელი აღარა შეგვგრჩარა რომ ამით ვალი გა-
დაგვეწყუტა: მივედით ბატონს კათალიკოზთან: და მოკლეებთან: ჩუენი სი-
ღარბე და საჩივარი გავასინჯეთ: ბატონის ბძანებითა და შეკითხულობითა
მოვედით შემოგვხვეწეთ: და მოკყიდეთ ჩემი ნასყიდი ვენაკი: ვარდიასვილი.
საგან მოსყიდული: უკუღუხო: თქუენის ზურის ბოლოზე მობმული: ჩემი წი-
ლი: ქვეშეთ უმეკაშვილის ვენაკამდი: და ბოლოს ქარსიდის ვენაკის სამძღვრამ-
დი: თავისის შესავალ გასავლითა: წყლითა სამძღვრითა: და ყოველის მისის სა-
მართლიანის გზითა: ავიღე თქვენგან ფასი სრული რითაც ჩემი გული შეგ-
ჯვრდებოდა: არა დარჩარა ჩემი არცა ერთის იოტის ფასი: გქონდესთ: და
ღთნ კარგად ყოფაში მოგაკმაროსთ: არავინ იყოს მოცილე და მოდავე თვი-
ნიერ ღთის მეტი: არა ბატონი კზი: არა ყმა: არა ნათესავი: არა მეზობე-
ლი: და არა მომდევარი: და თუ ვინმე წამოგედავოს პასუხის გამცემი. მე
ვიყო: ეს ვენაკი ნასყიდა ჩემი კულუხი არა მდებია: და არცავის: თქვენთან
აქუს საქმე: ამ ვენაკის ნასყიდობის წიგნები ლე(კ)მა რომ აგვაოკრა მაშინ დაგ-
ვეკარგა: თუ ვიპოვეთ: უსაცილოდ მოგართმევთ: და თუ ველარსად ვიპოეთ,
და ან როგორმე სხვას ჩაუვარდა კელში: ამ წიგნმა გაამტყუნოს: და პასუხ-
საც ჩვენ გავცემთ: არიან ამისნი დამხდურნი და მოწამენი ჩვენი მეზობლები:
ტერტერა ტერაკოფა: იშხანაშვილი ბერუა: მამისაშვილი: ბარნაბე: მამისაშვი-
ლი ივანა: როსტიაშვილი ბერუა: და საწუთრო: დაიწერა: კელითა: გრიგოლ:
მხატვრის: ძის: ალექსისათა: მაისს: დამდევს: ქქს: უით:.

2 ჟვანი.

1733 წ. ნათლისმცემლის სიგელი № 12, ქაღალდზე 69¹/₂ × 34¹/₂ სანტიმ.

ქ: დიდება: და: მადლობა: და: თაყვანისცემა: რომელი: იყო: და: რომელი: არს: და რომელი: გიეს: უკუნითი: უკუნისამდე: რომლისა: მეუფება: და: კელმწიფება: არს: სამარადისოდ: და: მკვიდრ არს: ნათელსა: შინა: წარუალსა:; ღთი: მამა: და: ღთი ძე: მამისაგან: შობილი: უწინარეს: ყოველთა: საუკუნეთა:; ღთი: სული წმიდა: მამისაგან: გამოსული: და: თაყვანისცემული: მამისა: და ძისათანა: არა: სამნი: ღთნი: ად: ერთი: ღთი ერთი: კელმწიფება: ერთი: უფლება: ერთი ძალი: ერთი ბუნება: ერთი: ნება: ერთი განზრახვა: და: ერთი: არსება:; სამთა: გვამთა: შინა: ცნობილი: და: სამითა: პირებითა: აღსარებული: განუწვალებელი: და: შეურევნელი: რომელსა: თაყვანისცემთ: და: აღვიარებთ: და: მისგან: შობილსა: ძესა: ვმონებთ: და: ვქადაგებთ: უკანასკნელთა: ჟამთა: ჩვენისა: კსნისათვის: განკორციელებულსა: სულისაგან: წმიდისა: და: მარიამისაგან: ქალწულისა:; ორითა: ბუნებითა: და: ორითა: ნებითა: და: ორითა: მოქმედებითა: ერთსა: გვამსა: კორციელქმნილსა: და: აღვიარებთ: წმიდასა: სამებასა: მამასა: ძესა: და: სულსა: წმიდასა: და: ამა: ჭეშმარიტისა: სარწმუნოებითა: ვიგიეთ: შეურყევლად: და: ვიქცევთ: და: იგი არს: წარმმართველი: ყოველთა: კეთილთა: და: ამისითა: შეწვენითა: და: მეოხებითა: ყდ: წმიდისა: და: მარადის: ქალწულისა: დედოფლისა: ჩვენისა: ღთის: მშობელისა: მარიამისათა: და: წინამძღვრებითა: ცხოველს: მყოფელისა: ჯვარისათა: და: და: შემწეობითა: ყოველთა: წმიდათა: ზეცისათა: და: ქვეყანისათა: ამათ მიერითა: სასოებითა: ვინებეთ: და: ვიგულსმოდგინეთ: რათამცა: კეთილი: რამე: წარგვემართებინა: დღეთა: ჩვენთა: ვინადგან: უწინარეს: ჩვენსა: მეფეთა: და: მპყრობელთა: ქუეყანისა: ჩვენისათა: ღთივ: გვირგვინოსანთა: მამათა: და: პაპათა: ჩვენთა: სიყვარულითა: ღთისათა: აღვსებულთა: აღვმალწუნეს: და: განვდიდწუნეს: და: ბითა: და: აგარაკებითა: გინა თუ: ნიჭებითა: მრავლითა: აღვესწუნეს: წმიდანი: მონასტერნი: ქვეყანისა: ჩვენისანი: და: ყოვლითა: სასოებითა: შევედრწუნეს: თავნი: თვისნი: და: აწ: მე: მათ მიერ: კეთილ: ნაყოფად: აღმოცნებულმან: და: შემდგომითი: შემდგომად: მონაცვალემან: მათმან: და: სამეფოთა: მათთა: მპყრობელმან: იესიან: დავითიან: სოლომონიან: და: პანკრატიონმან: მეფემან: კახთამან: არა: პირველმან: თეიმურაზ: არამედ: შვილისა: მისისა: შვილისა: შვილმან: და: მოსახელემან: მისმან: და: სარწმუნებითა: მსგავსმან: მისმან: და: სურვილითა: ღთის მსახურებისათა: აღძრულმან: რაოდენ: შესაძლებელარს: ჩემ მიერ: მეფემან: თეიმურაზ: და: თანა: მემცხედრემან: ქართველთ: მეფის: ვახტანგის: სასურველმან: ასულმან: დედოფალმან: თამარ: და: უხუცესისა: ძმისა: ჩემისა: ძემან: ბატონის: შვილმან: აღექსანდრე: და: ძემან ჩემმან: ბატონის: შვილმან: ერეკლე: და: კდ: ძმისა: ჩემისა: ძემან: ბატონის: შვილმან: ბაგრატი, ვინებეთ:



და: ვიგულსმოდგინეთ: რაოდენ: ძალ გვედვა: რათამცა: დღეთა: ჩვენთა: ჩვენ მიერ: რამე: მიძღვანებოდა: მონასტერთა: და: წმიდათა: ეკლესიათა: და: უმეტესად: სასოსა: და: მეოხსა: ჩვენსა: წმიდასა: მოციქულსა: ნი(ნ)ოს: რამეთუ: უმეტესცა: თანა: გვაც: ქართველთა: მსახურება: ამისი: ვინადგან: ნაყოფი: ქადაგებისა: და: მოციქულებისა: მისისანი: ვართ: ამისთვის: აღვიძარ: სურვილითა: მსახურებისა: მისისათა: და: სხვა: ვერარა: ვპოვე: ვინადგან: მათ: პირველთა: მეფეთა: არარა: დაეშთინეს: რომელიმცა: არა: მიედღენეს: და: მეცა: ნეშტი: ნამუსრევისა: მათისა: მოვიძიე: და: ქვრივისა: მწვლილისა: არა: უაღრესად: შევრაცხე: ძღვენი: ესე: არამედ: სასოებასა: არა: დაბრკოლება: ვეც: და: შემოგწირე: შენ: მფარველსა: და: მეოხსა: და: წარმმართველსა: ცხოვრებისა: ჩვენისასა: და: ჩვენსა: განმანათლებელსა: და: ემბაზსა: და: დედასა: ჩვენსა: მეთაქამეტეს: მოციქულს: წმიდასა: ნინოს: ჩვენი: ბეითაღმანი: საგარეჯოს: თვალს: ამოწყვეტილის: ყორღანაშვილის: აბრამას ნაქონი: სადგომის: ვენაკი: თავის: სამძღვრით: სამძღვრამდის: და: გასადღევრამდის: და: რაც: ამ: ვენაკთან: სადგომი: იყოს: იმით: შემოგვიწირავს: ამას: გარდა: სხვა: არც: ზემო: ვენაკი: არც: მარანი: არც: სასახლე: არც: სავენაკე: ერთის: ქვემო: სადგომის: ვენაკის: და: მისის: გარეშემოს მეტი: არ: შემოგვიწირავს: ეს: სადგომის: ვენაკი: მისი: გარეშემო: ძველადგან: წმიდის: ნინოს: მამულად: თქმულიყო: და: სალაპარაკოდ: იყო: და: ჟამთა: სიგრძისა: და: სოფლის: ვითარებათაგან: საყდრის: მამულად: აღარ: იყო: როდისაც: ჩვენ: ბატონობა: კახეთისა: დავიპყართ: მოკითხული: ვქენით: და: რადგან: საყდრის: მამულად: თქმული იყო: და: ის: კაცი: ყორღანაშვილი: აბრამა: ამოწყვეტილიყო: ისევ: წმიდას: ნინოს: შევწირეთ: კელახლა: ამ: მიზეზისათვის: უფროსად: რომ: ლეკისაგან: და: ურუმისაგან: კახეთი: აოკრდა: და: რაღაც: საგარეჯო: და: ნაპირის: ადგილის: კაცი: დარჩომილიყო: ჩვენმა: ძმამ: მეფემ: კოსტანტილემ: წმიდის: ნინოს: გალავანში: დააყენა: და: ამით: წმიდის: ნინოს: ზვარი: და: სულ: მისის: ყმის: ვენაკი: სულ: გაოკრდა: აღარად: გამოდგა: და: ეს: ვენაკი: მისთვის: მისად: სანაცლოდ: ზვრად: შევსწირეთ: წმიდას: ნინოს: და: მოვართვით: ჩვენსა: სასოსა: და: მეოხსა: ღირსა: და: სანატრელს: ვაჩნაძე: ნინოწმიდელს: იოსებს, შეიწირე: შენ: წმიდაო: დედაო: ნინო: მცირე: ესე: ძღვენი: ჩვენი: და: ნაცვლად: გვაგე: შეწვენა: და: მეოხება: შენი: ორსავე: შინა: ცხოვრებასა: ჩვენსა: აწ: გამცნებ: ყოველთა: და: მოგახსენებ: რომელნი: ჩვენსა: შემდგომად: მეფობდეთ: და: იპყრობდეთ: ქუეყანათა: ამათ: მეფეთა: გინა: დედოფალთა: უფლის: წულთა გინა თუ: მოკვლეთა: და: კარისა: ჩვენისა: მოსაქმეთა: და: საგარეჯოს: მოურავთა: რომელნი: აწ: იმყოფებოდეთ: ანუ: დღეის: წაღმართ: იქცეოდეთ: თქვენც: ასე: დაუშტკიცეთ: ბრძანება: და: შეწირულობა: ესე: ჩვენი: და: ვინცა: და: რამანცა: კაცმა: ეს: ჩვენი: შეწირული: მოშალოს: ანუ: მეფემან: ანუ: დედოფალმან: გინა: უფლის: წულმან: გინა: შვილთა: და: მომავალთა: სახლი-

სა: ჩვენისათა: ანუ თუ: კარისა: ჩვენისა: მოკელეთა: და: მოსაქმეთა: ანუ: საგარეჯოს: მოურავთა: რომელმანცა: კაცმა: გინა: დედაკაცმა: ანუ: სალთაომან: დასმან: გინა: საერომან: კრებულმან: რომელმანცა: კაცმან: კელყოს: შლად: ამის: ჩვენგან: შემოწირულისა: რისხავს: მასმცა: ღთი: და: ყოველნი: წმიდანი მისნი: ზეცისანი: და: ქვეყანისანი: და: შენ: წმიდაო: მოციქულო: ნინო: შერისხენ: მას: და: მიავლინენ: კელი: შენი: რისხვით: ყოველთა: ზედა: მტერთა: და: მშლელთა: ამისთა: და: მარჯვენამან: შენმან: მოსრნეს: ყოველნი: მოქმედნი: და: მნებებელნი: მოშლისა: ამისნი: და: დასხნენ: იგინი: ვითარცა: საკმილი: ცეცხლისა: ჟამსა: განსჯისა: მის: დიდისა: დლისა: და: უფალმან: რისხვითა: მისითა: შეაძრწუნეს: იგინი: და: ცოცხალმან: შექამნეს: იგინი: და: ნაყოფი: მათი: ქვეყანისაგან: წარსწყმიდენ: და: ნათესავი: მათი: ძეთა: კაცთაგან: რ: მოაქციეს: შენზედა: ბოროტი: იზრახეს: ზრახვა: მათი: რომელთა: ვერ: უძლონ: დამტკიცებად: რ: დასხნენ: იგინი: ზურგით: და: ნეშტთა: შენთა: შორის: განამზადო: პირი: მათი: და: აღავსო: გინებითა: ამისთვის: რ: არა: დაამტკიცეს: ჩვენ მიერი: ესე: შესაწირავი: და: კელად: იღეს: შლად: ამისა: ხოლო: დამამტკიცებელნი: ამისნი: ღთან: აკურთხნეს: და: განამრავლნეს: და: განავრცნეს: ქვეყანასა: ზედა: მშვიდობით: დაიწერა: წყალობა: და: ბძანება: ესე: ჩვენი: თვესა: მასა: მეფობისა: ჩვენისა: ინდიკტიონსა: ა: ქკსა: უკა: კელითა: დისა: ჩემისა: მონოზნის: ცოდვილის: მაკრინასითა:

(ბეჭედი თეიმურაზისა და ბატონიშვილის ბაგრატიის).

განზე ზიჯუელ გვ. ქ: როგორც: ბიძაჩვენს: მეფეს: თეიმურაზს: დაუმტკიცებია: და: შეუწირავთ: ჩვენც: ისე: შეგვიწირავს:

ბეჭედი წარწერით: ძირ მოდგმით დავითიანი. ალექსანდრე ვარ სვიანი.

1736 წ. ტფილისის სიონის სიკელა № 215 ქადად. 14×10¹/₄ სანტიმ.

ქ: თბილელმან: და: და: მერაბის: შვილმან: აბაშმან: უკან: დაღეთს: შავშის: შვილზედ: იჩივლეს და: თბილელმან: გუჯრები: მოიტანა: ძველი: ნასყიდობისა: და: ახალი: შეწირულობისა: გაგშინჯეთ: სიგლები: ჩვენ: სარდალმან: ორბელის: შვილმან: ქაიხოსრომ: და: რადგან: ძველი: ნასყიდობისა: და: ახალი: შეწირულობის: წიგნები: ქონდა: და: გუჯრები: აღარ: მოიშლებოდა: და: ისევე: სიონთა: მღვთის: მშობელს: და: თბილელს: დავა

ნებეთ: თვისის სახლით: კართ: და: მამულით: დღეს: ამას იქით: კელი:
ალარაქეს: დაიწერა: მაისის: კ ქკსა: უკლ

ბეჭედი.

1736 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 25 ღამაზა ხელით ქადაღდ. 61X
35¹/₂ სანტიმ.

ქ: ეპა ადამ დაკემულისა აღმართებაო და ევას მწუხარებისა და წყვი-
სა სიხარულად და კურთხევად შემცვალებელიო, აბელ მართლისაებრ. პატი-
ოსნად ძღვნად ბუნებისა ჩვენისაგან. ღთისა მიმართ შეწირულიო, ენუქის-
ებრ უკვდავ ქმნით. გარნა არა სამოთხეს: არამედ ზეცისა სასუფეველსა. საყ-
დართა ღთაებისათა, ყოვლისა სოფლისათვის მეოხად მკვიდრო. კიდობნო
სიწმიდისაო. ღვთივ აღშენებულიო, და ნოესებრ წყლით რღვნისაგან ცოდ-
ვათასა განმარინებელიო, აბრამის კარვისაებრ. უცხო სახედ ღთისა დამტევენ-
ლო, მოსესებრ. სახლისაგან კირთებისა. და საცთურისაგან მეგვიპტურისა
განმარინებელიო, აჰარონის კვერთხისაებრ. უკვდავ მყოფელისა ნაყოფისა გა-
მომღებელიო, დავით პირველისა მამისა შენისა მიერ კიდობნად სიწმიდისად
მოსწავებელიო, სოლომონის ქებათა შინა ქებათასა მრავალ სახედ სახელდე-
ბულიო, ეზეკიელის მიერ ბჭედ აღმოსავალისად. დიდებითა ღთაებისათა აღ-
სავსედ ხილულიო, ემბაკომის მიერ მთად ღთისად თემნად ჩრდილოვნად.
ღთისა მომყვანებელად წარმოჩენილიო, იაკობის მიერ კიბედ ქვეყანით ცად
აღწევილიად აღმართებულად ჩვენებაო, იესეს ძირითა კურთხევისა მომნიჭე-
ბელად ნაყოფი სურნელად აღმოცენებულიო, დანიელის ძნად სათარგმანე-
ბელთა გამოცხადებაო, გედეონის საწმისისიბრ. ცვარსა მას ზეცისასა სოფლად
მომყვანებელიო, სამოელის ნელსაცხებლისაებრ. პატიოსანთა მღვდელთა და
მეფეთა. დიდებითა გვირგვინოსან მყოფელიო, კმა მალლისა ესაიას მიერ.
ღრუბლად სულ მცირედ მკლავთა ზედა ღთის ევმანოელისა მტვირთელად:
ეგვიპტეს შემავალად: და კერპთა მისთა საცთურიითურთ განმაქარვებელად და
ქალწულ დედობით განკუთვნილიო, იონას სახედ ცოდვისა ვეშაპისა მუცლით
ბუნებისა კაცთასა. სიღრმით ჯოჯოხეთისათა გამომყვანებელიო, აწ უკვე რა-
ოდენთამე ქებათა და მადლობათა აღვაფლენდეთ მრავალ მოწყალებათა მიმართ
ღთისათა, ანუ ვითარითა მე უძლიურითა ამით ენითა შეუძლოთ ღირსებით
დიდებად შენდა: ვინათგან უაღმატებულეს იქმენ ყოველთა დაზადებულთა.
თვინიერ ღთისა შემოქმედისა, რამეთუ შენ მიერ იქმნეს. ქვეყანისანი ზე-
ცისათა თანა ზიარ, შენ მიერ ვიცანთ ღთი შემოქმედი, შენ მიერ მოვიღეთ

ნეტარება იგი პირველი:; ჩვენ მიერ ურჩებით წარწყმედული:; შენ მიერ მო-
ვედით წარმართებასა ორთავე სოფელთა ცხოვრებისასა; და აღსრულებასა
ყოვლისა კეთილისასა:; ამისთვის მე მსასოებელმან ძისა შენისამან: და მინ-
დობილმან ცვა ფარვათა თქვენთამან:; იესიან, დავითიან, სოლომონიან პან-
კრატოანისა: ლთივ აღმატებით დამყარებულისა:; და ლთივ ზეცით გვირ-
ნოსანისა. მეფეთა ძირთაგან აღმოცენებულმან მეფის ერეკლეს ძემან. და თვით
მეფემან კახთამან: **თეიმურაზ**: თანა მეცხედრემან ჩვენმან. ქართველთ მეფის
ვახტანგის ასულმან. დედოფალმან. პატრონმან: თამარ:; პირმოშომან. და სა-
სურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან. პატრონმან. ერეკლე:; ესე მცირე
და უნდო: კნინი და არარად შესარაცხი:; აგარაკის შემოწირულობის წიგნი
და გუჯარი გკადრეთ მოგართვით და მოგახსენეთ:; შენ ჩვენსა სიქადულსა:;
სასოებასა და მარადის საცდრებელსა:; ტფილისის ქალაქსა შინა. სახლად
ლთისად აღშენებულსა სიონთა ლთისმოზებელსა:; მას ჟამსა ოდეს ველინამად.
გვიკმო კარსა თვისსა:; შეგვიპყრეს და შეგვაყენეს ციხეს ტფილისისასა ყიზილ-
ბაშთა:; და პატიმარ გვყვეს:; და მერმელა წარგვგზავნეს კარსა მისსა:; და წარ-
ვედით არა ნებითა ჩვენითა არამედ იძულებით:; შინათგან მინდობილ ვიყვე-
ნით ცვა ფარვათა თქვენთა: აწცა მოქვენე ვიქმნენით თქვენ მიერისა გამო-
ქსნისა:; ამის და მომართ სასოებით აღძრულმან:; ვიგულისმოდგინე და შემოგ-
წირეთ მარტყოფს ტევალის კეფზე ორი საკომლო ზუბიტაშვილების მამული:;
საქნავითა, უქნავითა, ვენაკითა სახლკართა. და თავისის კალო საბძლითა:;
მთითა: და ბართა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა:; ნასყიდითა
და უსყიდითა: და დღესამდე რისაც მქონებელნი ყოფილიყვენენ:; მათის
ნაქონების მამულითა:; და არა ეთხოვბოდესთ რა საჩვენო. გამოსადები და
სათხოვარი:; არა ღალა, არა კულუხი, არა ბეგრისა და კოდის პური, არა სამო-
ურავო:; არა საბაზიერო:; არა სანაცვლო. და სამოკელო:; და არცა რა სხვა
გამოსადები: თვინიერ ლაშქარ ნადირობის მეტი:; შეიწირე შენ დედაო უხრ-
წნელისა ნათლისაო:; მარად ს ქალწულო მარიამ:; შემწე და მფარველ მექ-
მენ ორსავე შინა ცხოვრებასა:; წინაშე ძისა შენისა. და ლთისა ჩვენისა:; ანუ
ვინცა და რამანც ადამის მონათესავემ კაცმან დიდმან ანუ მცირემან:; ქვეყა-
ნის მპყრობელმან:; კელმწიფემან:; რჯულიანმან ანუ ურჯულომან:; მეფემან
დედოფალმან:; უფლისწულმან:; პატრიარქმან, ეფისკოპოზმან, მღვდელმან,
ღიაკონმან, თავადმან, დიდებულმან, აზნაურმან, გლეხმან:; მოკელემან. და
ანუ. კარისა. მოსაქმემან ამისად შლად და ქცევად კელყოს:; შერისხდი შენ
ლთო: ჩვენო: და ჰყვენ იგინი ვითარცა მტვერი და ლერწამი: წინაშე პირსა
ქარისასა. და აღედვას ცეცხლი თავთა ზედა მათთა: და ცოცხლივ შთაკდენ
ჯოჯოხეთად, და ანგელოზმან: მალლისამან ძლიერად აჭირვენ მას: მასმცა
ედების კეთრი გეზისა:; შიშთვილი იუდასი:; დათქმა: დათან და აბირონისი:
და ნურათამცა სინანულით ნუ იქმნება კსნა სულისა მისისა: ჯოჯოხეთისა-
გან:; ხოლო დამამტკიცებელნი ამისი აკურთხნეს ლთნ დაიწერა ბრძანება და

წიშანი ესე, ქეს. აქეთ, ჩ: ღ: ღვ: ქკსა: უკლ: თვესა ენკენისთვესა: კზ: ტაძრისა შენისა ხარისხსა ზედა მჯდომარეობასა: ტფილელ მიტრაპოლიტის: ეფთვიმისასა:

ბეჭედი წარწერით: თეიმურაზ; ბატონიშვილი ერეკლე (ასომთავრ.); ქ მონა ღთისა ბატონიშვილი ბაგრატ ქკს უით.

აკშ.: ქ: ვითაც: ბიძა: ჩვენს: მეფე: თეიმურაზს: შეუწირავს: ჩვენც: აგრევე: დაგვიმტკიცებია: და: შეგვიწირავს: და: ვერჩთ: ბძანებასა: მისსა: ქკს: უკვ:

ბეჭედი წარწერით: ძირ მოდგამ დავითიანი ალექსანდრე ვარ სვიანი.

1737 წ. ტფილისის სიონის საბუთი. № 161 ქადაგდზე 22¹/₂ × 18¹/₂ სანტიმ.

ქ: ნებითა. მღთისათა ესე. წიგნი, მოგართვი. პაპუნას. შვილმა. პაპამა. ჩემა. ძმამ. გარსევანამ. თქვენ. ტფილელს. ბატონს. ეფთვიმეს: ასე. რომე. თვალ მშცის. შვილის. ყმა. ვიყავ. ჩვენ. ბატონ. ყმობა. აღარ. მოგვიკვდა. ავდეგ. და. თავი. დავიხსენ. რითაც. გული. შევიჯერე. უკლებრივ. მივეც. ახლა. ავიღე. ჩემი. თავი. და. სიოთა მღთისმშობელს. შემოვწირე. და. ეს. თავდახსნილობის. სიგელიც. თქვენ. მოგართვი. დღეს დღეის. იქით. როგორათაც. სხვა. საყდრის. მემკვიდრე. ყმა. გემსახურებოდეს. ჩვენც. ისე. გმსახუროთ. და. გაამოთ. თქვენს. მამულში. საცა. მიბძანო. იქ. დავდეგე. არავინ. იყოს. ჩემი. მოცილვე. და. მოდავე არა. ბატონი. არა. ყმა. არა. ნათესავი. და. ჩემი. სახლის. კაცი. თუ. ვინმე. ჩემგან. შემოწირულობა. მოგიშალოს. იგიმც. მოიშლების. თავის. სახისაგან. რისხავს. ღთი. და. ყოველნი. მისნი. წმინდანი. და. თვით. სიონთა მღთის. მშობელი. დაიწერა. ესე. წიგნი. ზაალის. შვილის. იოვანესითა. თვესა. მარტსა. დამდეგს. ქკს: უკვე:

1 ჯგაჩი.

1737 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 86 ღამაში ხელით, ქადაგდზე 29 × 23¹/₄ სანტიმ.

ქ: ნებითა: ღთისათა: და: შეწვენითა: ყოვლად: უბრწუნელისა: დიდებულისა: დედოფლისა: ჩვენისა: ღთის: მშობელისა: და: მარადის: ქალწულის:

მარიამისათა: ძლიერებითა: პატროსნისა: და: ცხოველს: მყოფელისა: ჯვარისათა: ესე: ნასყიდობის: წიგნი: მოგართვით: ჩვენ: აბაში: შვილმან: დავითის: შვილმა: ლუარსაბ: გიორგიმ: ავთანდილ: თომამ: რევაზ: იოვანემ: თქვენ: ტფილელ: მიტრაპოლიტს: ბატონს: ეფთვიმეს: ასე: რომ: ჩემი: ყმი: შვილი: ფარცხელი: ბერუა: შვილი: იმანყულა: ყმაწვილივ: დაობლებულიყო: და: სხვაგან: გაზდილიყო: ჩვენს: მამულში აღარ: იყო: ურუმობაში: თქვენ მოგკედლებოდათ: მერე: ველი: ნამად: რომ: მოვიდა: სახორასნეთ: დაეკირათ: და: იმისაგანაც: გამოგეხსნათ: მერე: ჩვენ: დავება: დაგიწყეთ: ჩემის: ყმის: შვილობითა: ბატონთან: ვიჩივლეთ: და: ბატონმაც: თქვენ გისამართლათ: და: თქვენ: დაგანებათ: ახლა: რადგან: გელაპარაკებოდით: და: ჩვენი: ყმის: შვილი: ყოფილიყო: თქვენც: აიღვეთ: და: ფასი: მოგვეცით: რითაც: ჩვენი: გული: შესჯერდებოდა: ავიღეთ: ფასი: სრული: და: უნაკლულა: დღეის: იქით: არავინ: იყოს: მცილე: და: მოდავე: არა მე: არა: ჩემი: ძმა: და: სახლის: კაცი: არა: ჩემი: სახლის: მომავალი: თუ: ვინმე: წამოგედაოს: პასუხის: გამცემი: ჩვენ: ვიყვნეთ: ვინც: ჩვენგან: მოსყიდულობა: მოგიშალოს: რისხავს: ღთი: და: ყოვლი: მისი: წმინდანი: არიან: ამისი: მოწამენი: ბიძა: ჩვენი: ლევან: + გოსტაშაბი: შვილი: ამილბარ: (ბეჭედი) ეშილად: ბაში: სულხან: (ბეჭედი წარწერთ: მანა ღთის ძე ზრჩხილის ყშიკაღბაში სულხან) მორდალი: ქაიხოსრო: (ბეჭედი) ჩვენი: აბაშ: სვიმონ: წიგნი: დაიწერა: ქავთარი: შვილის: იასეს: კელით: აპრილს: ა: გასულს: ქკს: უკე:

+

(ბეჭედი)

აწმეაზე: ქ: ჩვენ: სარდალი: ქაიხოსრო: ამისი: მოწამე: (ბეჭედი წარწერთ: ქაიხოსრო).

1737 წ. ტფილისის სიონის საბუთი № 103, ქადაგდზე 39×28 1/2 სანტ.

ქ: ნებითა: და შეწვევითა: მზთისათა: და მეოხებითა: ყოვლად: წმიდისა: მზთის: მშობელისათა: ესე: მტკიცე: და უცვლელელი: და ყოვლის: კაცის: მოუდევარი: ნასყიდების: სიგელი: მოგართვი: თქვენ: სიონთა: მზთის: მშობელსა: და თქვენს: ხარისხსა: ზედა: მჯდომსა: ტბილელს: ბატონს: ეფთვიმეს: ასრე: რომე: ჩემი: ყმა: პარჩუმეკას: შვილი: ამეყარა: უჯარმიდამ: და ავლბარში: ჩამოვიდა: და ცოტა რამ: განსცდელი: შექთხეოდათ: თბილელს: ჰავლესთან: მოსუსულიყნენ: (sic) და იმს: დაეხნა: ჩვენი: ბეჭედი: არ: უჯდათ: ახლა: ჩვენ: ჩოლაყას: შვილი: გივი: სახუცესი: და ჩემი: ბიძას: შვილი: რევაზ: და ჩემი: ძმა: გრიგოლ: მოვედით: და: ჩემს: ყმს: (sic) აყარს: უპირობდი: და თქვენ: ბატონი: ტბილელი:

ქეთვიმე: მობხანდით: და შუა: შემოხვედით: რომე: სიონთა: მღთის: მშობელს: შემოსწირეთო: თქვენი: ბძნება: ჩვენც: გავიგონეთ: და და-
 მორჩილადით: და სულ: კურთხეული: დედისა: და ბატონის: მამის: ვე-
 ნისთვის: (sic) წელიწადში: ყოველს: შობას: დღეს: წირვა: დაიდევით: თქვენ-
 ცა: და ვინცა: ვინ: თქვენს: იქით: სხვა: თბილელი: ბძნებოდეს: ყვე-
 ლა: უნდა: ჟამს: სწირედეს: ბტონის: ჩვენის: დედამისთვის: თავისის: კრებუ-
 ლით: ჩვენც: ამ: შვიდს: თუმნს: ამისთვის: შევჯერდით: და წმინ-
 დას: მხთის: მშობელს: შემოგსწირეთ: რომ: მგანც: თქვენ: ერთგუ-
 ლათ: გემსახუროსთ: ვინ იცის: რომ: აგეყაროს: და საბატონ: ყმით: კახეთში:
 გამოვიდეს: და სხვასა: ვისიმე: ყმობა: მოინდომოს: არ იქნე-
 ბა: ისევე: ჩემს: ყმთ: მოვიდეს: კახეთში: დღეს: ამს: იქით: მე: მგას-
 თან: კელი: არა: მქონდეს: არც: მე: დარს: ჩემს: სახლის: კაცს: ამ: ქლაქში:
 თუ: ეგ: კახეთში: არ: გამოვიდეს: საბტონ: ყმით: ჩვენც: ამისთვის: შემგასწირეთ:
 სიონთა: მხთის: მშობელსა: რომე: კურთხეულის: ჩვენის: დედა: მამისთვის:
 წირვა: არ: მოშლოს: და ვინცა: თბილელმა: იმთ: წირვა: დაკლოს: მეორეთ: მოსვალს: პასუხი: იმნ: მის-
 ცეს: და ეგ: წმინდა: მხთის: მშობელი: გაუწყარეს: ვინცა: და რამც: კაცმა:
 ეგ: გამოსწირო: ეგ: პარჩუმეკას: შვილები: მამუკა: და გიუა: და მგათი:
 შვილი: დან: შვილის: შვილი: გქონდეს: და შეგიწიროს: წმინდამა:
 მხთის: მშობელმა: ვინცა: ვინ: წამოგედეოს: პასუხის: გამცე-
 მი: ჩვენ: ვიყვნეთ: ხოლო: დამამტკიცებელნი: ამისნი: ღმერთმნ: აკურ-
 თხნეს: არის: ამისი: მოწმე: თავათ: ღმერთი: და ყველანი: მისნი: წმინ-
 დანი: კაცთაგან: ჩვენის: სახუკესი: ესიტას: შვილი: დათუნ + და ადმ:
 ტოზს: შვილი: გიორგი: ჯუგას: შვილი: + და ფუნთუშს: შვილი: დთუნა:
 + და შიუკას: შვილი: პტა: + კვეზერელი: ნიკოლოზ: + და მხტელს:
 შვილი: გიორგი: + ქალაქის: ქეთხუდა: გოჭი: ლარდნს: შვილი: გურგინ:
 ბეგ: (ბეჭედი წარწერით: გიორგი 4014) კათლწს: შვილი: ბურბა: თამშას:
 შვილი: დავით + ქალიქის: მწერლი: ფარსდნ (ბეჭედი) ავლაბრის: მამასახლისი:
 იობა: + და მეფურის: შვილი: ბერუა: და მე: აბრმ: წუ-
 კარძეს: მღდელს: დამიწერია: და მოწმეც: ვარ: + ამისი: დაიწერა: წიგ-
 ნი: ესე: გიორგობის: თვესა: ოცდა: ექვსს: გასულს: ქ: კოსა: უკე-
 (ბეჭედი).

ხვეულად: რევაზ, გრიგოლ
 ანშ: ქ: მე: სარდალი: ქაიხოსრო: ამისი: მოწამე: (ბეჭედი).
 ქ: მე: მელიქი: ალა: ამისი: მოწამე: ვარ: (ბეჭედი).
 ქალაქის: ნაიბი: მეითიხნ: მოწმე ვართ (სხარსუდი ბეჭედი).
 ქ: მე: ბეჭბუთამ: ამისი: მოწამე: ვარ: (ბეჭედი სომხურ-სხარსუდი).

1738 წ. ტფილისის სიონის სახუთი № 87, ქაღალდზე 49×22¹/₂ სანტიმ.

ქ: ნებითა: ღთისათა. მეოხებითა: ყოვლად. წმიდისა. ღთის. მშობელი-
 სა. და. მარადის. ქალწულისა. მარიამისათა: ძლიერებითა. პატიოსნისა. და.
 ცხოველს. მყოფელისა. ჯვარისათა. წმიდისა. წინასწარმეტყველისა: წინამორ-
 ბედისა. და. ნათლის. მცემელისა. იოანესითა: წმიდათა: ყოვლად. ქებულთა:
 მოციქულთა. პეტრე. და. პავლესითა: წმიდათა: დიდთა. მღდელთ: მოძღვარ-
 თა: დიდისა. ბასილისა: გრიგოლი. ღთის. მეტყუელისა. და იოანე. ოქრო-
 პირისათა: წმიდისა: მამისა. ჩვენისა. ნიკოლოზ. ლუკისა. მთავარ. ეპისკო-
 პოზისა: და: ყოველთა. წმიდათა. ღთისათა. ამათ. ყოველთა. მოწმობითა.
 და. შუა. მდგომელობითა. ესე. მტკიცე. და. მოუშლელი: ყოვლის. კაცის.
 მოუდევარი. ნა:ყიდობის. წიგნი. და. სიგელი: დაგიწერე. და. მოგეც. მე. სო-
 ლალა: შეიღმა. იესემ: და. მომავალმან. სახლისა. ჩემისამან. თქვენ. ტფილელს.
 ეფთვიმეს: ასე. რომე: ეს. ამიღბარა. შეიღოს. შეიღოსა. ასლუას. შეიღო.
 ოქრუა: და. ოთარა. ჩემი. ბარათში. გამოყოლილი. ყმა. იყო. ავდეგ. და. მოგ-
 ყიდე. ავიდე. ფასი. სრული. და. უნაკლულო. რითაც. ჩვენი გული. შესჯერ-
 დებოდა. ავიდე. ფასი. სრული. არვინ. იყოს. ამისი. მოცილე. და. მოდავე.
 ამისი. არა. ბატონი. არა. ჩემი. სახლის. კაცი. გქონდეს. და. მოგაკმაროსთ.
 ღთნ. როგორც. სხვას. მონასყიდეს. მოჰკმარებოდეს: თუ. ვინმე. წამოგედა-
 ოს: პასუხის. გამცემი. ჩვენ. ვიყუნეთ. ვინც. ამისად. შლად. კელყოს. იგიმც.
 შეიშლების. თავის. სახისაგან. და. მასცა. რისხავს. ღთი. და. ყოველნი. მის-
 ნი, წმიდანნი: არის. ამისი. მოწამე: გაბაშვილი. პაპუნა: + გურჯი რევაზის.
 შეიღო. ლუარსაბას: + ჩემი. ბიძა. შეიღო. ზაზა: (ბეჭედი) ქაიხოსრო. შეი-
 ლი. იესე: (ბეჭედი) ავღანი. დილხოშა: მკერვალი. არუთინა (სამხურა ბეჭედი)
 ტაგნაგელი. მურადა. შეიღო: ლუარსაბ. დაიწერა. კელითა. მთავარ. დიაკუ-
 ნის. ჰრონისათა: თიბათვის: კზ. ქკს. უკვ:

სხვა ცუდის ხელით: მე: იასეს: ამისი: ყაბული: მქს. კიდევ: მომიყიღია.
 სიონის: მღს: მშობლისთვის მომირთმეგვია.

ხვეულად: იასე.

1739 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 87, ქაღალდზე 44×20³/₄ სანტიმ.

ქ: ნებითა: და: შეწევნითა: ღთისათა: ჩვენ: ენდრონიკეშვილმან: ზურა-
 ბიშვილის: იასონის: შეიღმან: დავით: ძმისწულმან: ჩვენმან: გიორგი: ზაალ:
 ზაზამ: და: შეიღმან: ჩემმან: თამაზ: და: მომავალთა: ჩვენთა: ასე: და: ამა
 პირსა: ზედან: რომ: შენ: წმიდას: სამებას: კაწარეთს: ყმა: ლეკისაგან: ამო-

გიწყდა: მოვიდა: თქვენი: საჭეთ: მპყრობელი: სამებელ ფვისკობოზი: იოანე:
 და: ერთს: კომლს: კაცს: გვეაჯა: ახლა: ჩუენ: შემოგწირეთ: შენ: წმიდას:
 სამებას: ერთი: კომლი: კოჭობაშვილი: თევდორე: ცოლშვილი: ლეკისაგან:
 სამებლისაგ: ყმასთან: დაეკარგა: თუ: თავისი: ტყვე: ან ძმისწული: მოუვი-
 დეს: კელ. შეუვალათ: შემოგვიწირავს: რომ: არას: ჩემს: სახლის: კაცს: კე-
 ლი: არა ქონდეს: კოჭობაშვილს: თევდორესთან: კელშეუვალთ: შემოგვიწი-
 რავს: ვინც: შემოგეცილოს: ამ: ჩვენმა: წიგნმა: გაამტყუნოს: ამის: მაგიერ:
 ვინც: სამებლები: ბძანდებოდენ: თავის: წმიდას: წირვაში: მოგვიხსენებდენ:
 არიან: ამისნი: მოწამენი: პდ: ლთი: ყნი: მისნი: წნი: კაცთაგან: მოუ-
 რავი შვილი: პაპუნა: კოსტანტინე: ჩემი: ყმები: ზირაქაშვილი ბერდია: ქი-
 ტოშვილი: მჭედელი: გუგულაშვილი: და: სულ: საენდრონიკო: დაიწერა:
 წიგნი: ესე: თვესა: აგვისტოსა: კდ: ქკსა: უკზ:

9 ჯგაფი.

ბეჭედი წარწერთ: მონა ღისა მოურავის შვილი პაპუნა.

თავში: ქ: ჩვენ: მეფემ: თეიმურაზ: როგრც: ეს: გარიგებულა: ჩვენც:
 ასე: და: გვიმტკიცებია.

ბეჭედზე სვეულად: თეიმურაზ.

განზე: ქ: ჩვენ: ამა: ალავერდელი: ნკზ: ვამტკიცებ ბეჭედი ასომთავრ.:
 ალავერდლი ნკზ.

ქ: ჩვენ: ბოდბელი: მიტროპოლიტი: ონოფრე: ვამტკიცებ: სვეულ.: ბოდ-
 ბელი ონოფრე.

ქ: ჩვენ სალოხუცესი: გივი: ბეჭედი წარწერთ: მონა ღისა ყმა მეფისა
 სალოხუცესი კახეთისა გივი მოურავი ფშავლებისა.

ქ: მოურშვილი: თამაზ:

1740 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 254, ქადაგზე 201¹/₂ × 16²/₃
 სანტიმ.

ქეს. აქეთ:, ჩლმ:,

ქკს. უკკ. მაისს. კზ. სიონის. დეკანოზის. შვილი. ტფილელი. ეფთვი-
 მი. მიიცვალა:

ქ. მე. ამილახვარის. შვილი. ათანასი. მროვლათ. ვიყავ.

ქ. წმიდამა. და. ყოვლად. სანატრელმან. საქართველოს. პატრიარქმან.
 ძემან. მეფეთამან. დომენტიმ. მროვლობით. ტფილელად. მომცვალა. ქეს.
 აქეთ. ჩლმ. ივლისსა. ზ:

ქ. მე. უღირსმან. და. ყოვლისა. კეთილისა. ცარიელმან. ტფილელმან

ათანასიმ. ამ. წმიდის. ეკლესიის. კრებულთ. ვკითხე. და. გამოვიძიე. თუ. ეკლესიის. სამკაული. ან. მამული. ან. შესავალი: რა. არის. სამკაული. რაც. იყო. ავსწერეთ:—

ხოლო. კრებულთ. მომიგეს. აბანო. აქესო. ამ. აბანოს. ამ. ყენმან. ბეგარა. დასდვაო. წელიწადში. ცამეტი. თუმანი. და ცხრამეტი. აბაზიო.

ქარვასლო. აქესო. ხარაბა. ამასაც. ბეგარა. და. სდვა. წელიწადში. რვა. მინალთუნი. და ორი. შაურიო: ხარაზ. ხანაში. ერთი. და. ნახევარი. უგირაო. დუქანი. არისო:— სამრეკლოს. ქვეშ. ზემო. მხრისაკენ. პატარა. დუქანი. ხარაბაო. კიდევ. ამის. გვერდით. ოთახი. დუქანი. და. ქცეული. და. გასწორებულიაო:

სოფლები. არისო. ხარაბა. ამ. ხარაბასაც. ბეგარა. ეწერა. თავის. ბეგარას. ძლივ. იხდიდენ. არამ. ჩვენთვის. მიეცათ. რამე:—

კიდევ. ეს. მითხრეს. ოსმალთაგან. და. ავის. დროსაგან. განსაცდელები. აგვიტყდაო. ამაში. საქმე. გაგვიჭირდაო. ვალი. ავიღვეითო. სამოცდა. თოთხმეტი. თუმანიო: მოვალეს. და. თეთრის. პატრონს. ეს. გირაოვები. მივეცი-თო: ჯვარი. ორი. ბარძიმი. ერთი. სახარება. ერთი. სამრეკლოს. მაღალი. ოთახი. გაღავანში. მარანი. ვერეზედ. წისქვილი. თოთხმეტი. და. ნახევარი. დუქანი. ეს გირაოვები. ამაღამ. კაცს. ეჭირა. ან. რამდენს. წელიწადს. დახსნამდისინ. ისე. დამიწერია.

ამას. გარდა. ტფილელებს. ამ. საყდრის. ყმებისათვის. წყალობად. დუქნები. მიეცათ. და. ყმებს. თავისავ. სიცოცხლეში. და. ეგროვებინათ. მათს. სიკუდილს. უკან. დუქნები. ისევ. მოვალეებს. ქონდათ:

ხ. მე. ტფილელმან: ათანასიმ. ძემან. ამილახორისამან. შეწვევნითა. სიონთა. ღთის. მშობლისათა. ვიწყე. საყდრისათვის. ღვწად. და. გამოკუნად. საყდრის. მამულს. ან. ჩემი. ნაღვაწი. სიყრმით. მოგებული. მქონდა. ან. აქ. ვიშოვნე. ან. რომელიც. შემომეწივა. რომელიცა. ქვემოთ. მოგაკუნოთ. ჩემის. ცდით. ესენი. საყდრისათვის. შემიძღუნია. და. მიჭირნახულებია. ხ. თქვენ. შემდგომად. ჩემსა. ეკლესიასა. ამას. ზედან. რომელიც. ტფილელად. და. სჯდეთ. ან. კრებულნი. ახლდეთ. წმიდანო. მამანო. მრავალ. ფერით. ჭირნახულ. ვარ. ჩემსა. რუდუნებით. ქველის. მოქმედებულსა. ნუ. და. ივიწყებთ. წმიდანო. ღთისანო. ჩემთვის. შენდობას. ჰყოფდეთ. ჟამსა. საიდუმლოსა. წირვისასა. შენდობით. მომიხსენებდეთ. რაცა. შემეძლო. და. ვიკსენ. სიკუდილამდის. ცდაში. ვარ. ამას. გვედრები. ეს. აქეთი. მხარე. სულ. სიონისაა. რომ. ამის. გამოკუნას. ეცადოთ. მე. რაც. და. ვიკსენ. ან. რაც. გაკეთდა. სულ. სახელდობითა. ვსწერ:—

მანამდისინ. ყენი. მოკუდებოდა. აბანოსი. თუ. ქარვასლისა. თუ. ამ. გირაოვებისა. დუქნისათვის. ბეგარა. მიმიცემია. ას და. სამი. თუმანი. ოთხი. მილანთუნი. და. ერთი. აბაზი:

ანას. ქონდა. ჯვარი, ბ, ბარძიმი. ა გირაოდ. სამ. თუმნად. და. ოთხ. მილანთუნად. ა წელიწადს:

ხანუმას. ქონდა. სახარება. მოკედლილი. გირაოდ. ოთხ. მილანთუნად. ა წელიწადს:-

ღარჩიას. ქონდა. სამრეკლოს. მალლა. ოთახი. გირაოდ. ერთს. თუმნად. ი გ. წელიწადს. ეს. ელენე. დალაღმან. შემომაწივა. ამისი. სახსარი:

გიორგის. ქონდა. ვალავანში. მარანი თუმან. ნახევრად. ი წელიწადს ამისი. თეთრი. ჩემა. ძმამ. ამილახორმან. ამირინდომ შემომაწივა:

ფოცხვერა. შვილს. ალექსის. ჰქონდა. სამი. დუქანი. გირაოდ. თოთხმეტ. თუმნად. ი ა წელიწადს.

ზალინას. ქონდა. ა დუქანი. თუმან. ნახევრად. ი ა წელიწადს:

საფარას. ქონდა. ა დუქანი. ორ თუმნად. ბ. წელიწადსა:

ქონა. ბაღდასარას. ქონდა. ა დუქანი. გირაოდ. სამ. თუმნად. ი დ. წელიწადს. ამის. სახსარი. კახთ. მეფის. ეშვიკაღაბაშმან. სულხან. და. იქსნა. და. კიდევ. ერთი. ვერცხლის. აზარფეშა. მისხალი. სამოცდა. რვა. შემოსწირა:-

ქ მილდისი. მელქუას. ქონდა. ა დუქანი. გირაოდ. ექვს. თუმნად. ი ბ წელიწადსა. ამისი. სახსარი. ძემან. მეფის. თეიმურაზისამან. ჩემმა. მოწყალემ. ირაკლიმ. მიბოძა -

ტერ. სააკას. შვილს. პაპას. ქონდა. ა. დუქანი. გირაოდ. ოთხ. თუმნად. და. ოთხს. მინალთუნად. ი წელიწადსა:

ნაცვლის. შვილს. დავითს. ქონდა. ა დუქანი. გირაოდ. ოთხ. თუმნად. ი ბ წელიწადსა:

მირიმანას. ქონდა. ა დუქანი. გირაოდ. ექვს. თუმნად. ი დ წელიწადსა:

პეტროზას. ქონდა. ა დუქანი. გირაოდ. ექვს. თუმნად. ი ბ წელიწადსა:

სვიმონას. ქონდა. ა დუქანი. გირაოდ. ოთხ თუმნად. კა. წელიწადსა:-

ანას. ქონდა. გირაოდა. ერთი. და. ნახევარი. დუქანი. რვა. თუმნად.

ი წელიწადსა:

გურგინბეგს. ქონდა. ვერეზედ. ა წისქვილი. გირაოდა. ათ. თუმნად. და. რვა. მილანთუნად. ი ბ წელიწადსა.

ამას. აქეთ. საყდრის. ყმებისა,

ბეკლიკას. შვილს. მამულას. ჩითახა. შვილს. შერმაზანაზედ. და. ეგირავებინა ა დუქანი. თოთხმეტ. თუმნადა. ა წელიწადსა:

კიდევ. გედუაშვილს. ბერს. ბერს. სამი. დუქანი. ქონდა. ერთი. გარეთუბანში. ხარაბა. ორი. ექვს. თუმან. ნახევრად. გირაოდ. ერთი. ტერ. ყაზარაშვილს. შაქაროაზედ. ერთი. მურადაზედ. ი ე წელიწადს. ჩორჩოს. ზეითი. ყორჩის. შვილის. დუქნის. გვერდითა:

კიდევ. მამისაანთ. პავლეს. იალუნთ. ხეჩატურაშვილს. სტეფანესთან. ათ. თუმნად. და. ეგირავებინა. ამას. მიქუანთ. პაპასთან. რვა. თუმნად. და. ეგირავებინა. ახლა. პაპამ. მე. და. მიგიროვა. რვა. თუმნად. კიდევ. პავლეს.

ცოლს. შავერდის. მივეც. ორი. თუმანი. და. ხუთი. მილანთუნი. საქმე. აღარ-
ვისა. აქვს:

დეკანოზის. შვილი. მიქელ. მოკუდა. ამას. ვალი. დარჩა. მიქ. შერმაზა-
ნას. თუშუასი. ოთხი. თუმანი. მოვალეს. მე. მივეცი. ეს. ნახევარი. დუქანი
მე. დავიჭირე:

ისაია. მღვდლის. ცოლს. აფრასიონასათვის. და. რბაზი. და. ეგროვე-
ბინა. ორს. თუმნად. ი'ე წელიწადსა. ახლა. საჯინიბოდ. ძველს. საჯინიბოს.
შეუმატე. ზედ. შენობაზე. და. იხარჯა. შვიდი. თუმანი. რომ. შეიქნა. ცხრა.
თუმანი:

დუქანი. ავაშენე. ერთი. ქარვასლის. კარზედა. ოთახი. სამრეკლოს. ზე-
ით. იმაზედ. და. იხარჯა. ექვსი. თუმანი და. ექვსი. მილანთუნი:

საწიგნეს. სამოგვეში. თოთხმეტი. შაური:

სამეცხლეების. ნარმა. ექვსი. აბაზი.

ტახტის. ხალიჩა. ხუთი. აბაზი:

ტრაპეზის. გასკეთებლად. ხუთი. მილანთუნი:

ტრაპეზის. პერანგი. ოთხი. თუმანი. სამი მილანთუნი. და ათი. შაური.
ამის. თეთრი. ანდრია რუსმა. შემომაწივა:

კარის. ბჰის. კარი. პატარა. იყო. ის. და. ვაქციეთ. და. ორი. კარი.
ქვიტკირისა. ავაშენეთ. ამისი. ხარჯი. ცხრამეტი. მილანთუნი ეს. ხარჯი. რუ-
სი. იყო ვასილი. და. იმან. მოგვცა:

ამას. კარი. ერთს: პაპამ. მეხლმემ. შაბა. ამისი. ხარჯი. რვა. მილანთუ-
ნი. და. ათი. შაური.

მეორეს. კარის. ხარჯი. რვა. მილანთუნი. და. ათი. შაური: აღსავლის.
კარზედ. რვა. თუმანი.

კრეტსაბმელზედ. თავისის. რკინითა. ცხრა. მილანთუნი. და. ორი.
შაური:

სამრეკლოს. იქით. კედელზედ. ორი. მილანთუნი:

ბედელზედა. ხუთი. მილანთუნი:

აბანოსი. ქარვასლისა. რაც. წახდის. ათი. თუმანი:

ძველს. სამზარეულოზედ. თერთმეტი. მილანთუნი:

საბზელზედ. პატარა. ოთახზედ. ორი. თუმანი. და. ოთხი. მილანთუნი:-

წისქვილის. ქვაში. ორი. თუმანი:

სარაყე. ქვაბის. კელფასი. ხუთი. მილანთუნი:

სახლი. და აივანი. თორმეტი. თუმანი:

წინარების. ფეშქაში. ორი. თუმანი.

ხაბაზი. თავისის. ძმით. რომ. და. ვიკსენ. ციციის. შვილის. გივისაგან.

ჩვიდმეტ. მილანთუნად:

სააგურე. რომ. და. ვიკსენ. ხუთ. მილანთუნათ:

კისისხევეს. ვენახზედ. თორმეტი. მილანთუნი:



ლოლოვნელს. ოთარას. თავისი. შვილი. პეტრე. ნეფის. ერეკლეს. მდი-
ვნის. ოთარისათვის. მიეყიდა. ხუთ. მილანთუნად. მივართვი. და. მომცა:

კიდევ. წისკვილის. ქვა. ვიყიდე. თურამეტ. მილანთუნად:

გივმა, ამილახორმან ყელსაკიდი. ხატი. შემოსწირა. თორმეტ. საუფლო.
ნაწილიანი. აშია. ზურმუხტითა. და. იაგუნდითა. აქეთ. იქით. კარი. წმინდა.
გიორგი. და. ევსტათი. ოქროს. ჯაკვითა. მისხალი. თერთმეტი:

ანახანუმ. დედოფალმან. თასი. შემოსწირა. მისხალი ლ^ბ

ნეფე ირაკლიმ. თასი. შემოსწირა. მისხალი. ლ^დ.

მუხრანის. ბატონმა. კოსტანტილემ. ჯვარის. სასანთლე. შემოსწირა.
ხუთის. თუმნისა:

ნეფის. ირაკლის. ეშკადად. ბაშმან. სულხან. აზარფეშა. შემოსწირა.
მისხალი. სამოცდა. რვა:

ზალ. ყაფლანის. შვილმა. შემოსწირა. კანდელი. ხუთი. მისხალი. ორას.
ოცდა. ოთხი:

კატურამ. ამ საყდრის. ყმამ. შემოსწირა. კანდელი. ერთი. მისხალი. სა-
მოცდა. თექვსმეტი:

მოლარე. თამარმა. შემოსწირა. კანდელი. ერთი. მი(ს)ხალი. ოცდა. თერ-
მეტი:

სეხნიამ. კანდელი. ერთი. მისხალი. ორმოცი:

დაბაღმა. იოსებ. კანდელი. ა^რ მისხალი. ლ^რ და. ნახევარი:

ბეკუა. შვილმა. დროშა. ა^რ მისხალი. მ^ზ

იოკიმიანთ. ისაიამ. დროშა. ა^რ მისხალი. კ^ვ

ამილახორის. აშნაურმან. ჯავახის. შვილმან. დავით. ატენს. ნასყიდი. ვე-
ნახი. შემოსწირა. ნონიკასშვილისაგან. მოსყიდული:-

ს^გა ხეფით: ქ. იოკიმეს. შვილმან. როსებ. შუაზედ. ხომლი. დაკიდა
თითობისა.

ქ. სამხრეთისაკენ. ორი. ფანჯარა. გავაკეთებინე. დაჯდა. ხელფასი. ექვ-
სი. მინანთული.

ქ. ანახანუმ. დედოფალმან. სასანთლე. შემოსწირა. მისხალი. ასოცდა.
ერთი.

ქ. ლაზრე. მღვდელმან. ერთი. თუმანი შესწირა. სიონს. ჩრდილოეთისკენ.
ორი. ფანჯარა. გავაკეთებინე

ქ. ანას. ჩემს. ბიძას შვილს. სვიმონ. ბატონის. შვილის. ჯალაბს. შესა-
მოსელი. ებოძა. ბისონი. სტოფის. აშინი. სტიხრი. ყანთის. აშინი. ოლარი.
აშინა. ონფორი. აშითა. ენქერი. აშითა. თეთრი.

ქ. შეწირავს. სადღესასწაულო. სამის. თვის. სტანბისა. მარხვანი. სტან-
ბის.

ქ. ბაღის. კედლისათვის. მოსეს. მივეცი. აღა. მელიქის. სიტყვითა. დი-
დი. ოქრო. შვიდი. კიდევ. ხუთი. მინანთული



ქ. ამს. გარდა. კიდევ. ბაღს. ხარჯი. ჩემდა. წასლამდის. თუმანი. ოცდა
ოთხი. მინანთული. ორი. შაური. ექვსი. ბისტი: ორ.

ბეჭედი ორჯელ, ასომთავრულად: ათანასი.

1741 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 210, ქაღალდზე 19×16 სანტიმ.

ქ.: დოღენჯიშვილი. ვახტანგ. ლასურს. ახალშენს. ვენაკს. ედავებოდა.
შენ. რომ. ტფილელს. მიგყიდეო. ახალშენი. ვენაკი. არც. შენი. სამკვიდრო.
იყოვო. და. არც. თან. გამოგვიტანებიაო. ჩვენ. კზის. სახლთხუცესი. გიორ
გი. მოლარეთხუცესი. პატა. და. ქავთარიშვილი. ედიშერ. დაუსხედით. სა-
მართალში. და. ასე. გაუსამართლეთ. თუ. ლასურმა. ან. შეფიცოს. და. ან.
მოწამე. უშოგნოს. დღეს. აქამომდე. ლასურს. სჭეროდეს. და. არ. გამოვით-
მეოდეს. ვახტანგს. კელი. არა. აქვს. ახალშენს. ვენაკთან. და. თუ. ლასურ-
მა. ამაზე. ვერ. შეფიცოს. და. ჯერი. ვერ. მისცეს. ვახტანგს. დარჩეს. ახალ-
შენი. ვენაკი. ჩვენ. ასე. გავვისამართლებია. აპრილს. კ. ქკს. უკთ.

ბეჭედი ორჯელ.

ხვეულად: ედიშერ.

ტუდის ხელით: ქ: ამ. განაჩენისა მე ვახტანს ლასურმა. გული. მაჯერა.
დღეის. იქით არც. მე. არც. ჩემს ძმას არც ჩემს სახლის კაცს. ხელი არა აქს
ვენახთან. ვინც წამოგედაოს პასუხი მე მივცე.

ბეჭედი.

1741 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 63, ქაღალდ., 15×10¹/₂
სანტიმ.

ქ: ჩვენ: ამილახორმა: ბატონმა: გივმა: ჩვენად: სასულიეროდ: ნათლის:
მცემელს: საუღაბნოს: შევსწირეთ: ახრისელი: სუხიტაშვილი: მამულა: თავი
სის: ცოლშვილით: მონასტრისათვის: შემიწირავს: ვინც: გამოსწიროს: ისიმც:
რისხავს: ამსთან: მყრელებს: ხელი: არაქვს: დაიწერა: ლეონობის: თვის: გა-
სულს: ქკს უკთ:

ბეჭედი.

1742 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 84, ქადაგ., 35¹/₄ × 22²/₃
სანტიმ.

ქ: ნებითა. ღვთისათა. და. შეწვენითა. ყოვლად. წმიდისა. ღვთის. მშობლისათა. ესე. ამიერითგან. ჟამთა. და. ხანთა. გასათავებელი. მტკიცე. და. უცვალებელი. და. საბოლოოდ. გამოსადეგი. ნასყიდობის. წიგნი. და. სიგელი. მოგართვით. ჩვენ. ბეთენიელთ. საბიანთ. გიორგის. შვილმა. მღვდელმა. აბრამ. იოსება. შვილმა. ესტატემ. საბია. შვილმა. ნასყიდამ. დემეტრა. შვილმა. სენზომ. ზურაბი. შვილმა. შავერდამ. სვიმონა. შვილმა. ბეროამ. ამინა. შვილმა. იოსებამ. იოსება. შვილმა. ბასილამ. და. სულ. ერთობილთ. ბეთენიელთ თქვენ. ტფილელ. მიტრაპოლიტს. ბატონს. ათანასის. ასე. რომე. ნამეტნავმა. უსამართლოდ. რთმევამ. და. გამოსადებმა. ძალა. დაგვატანა. სხვა. ღონე. და. ილაჯი. აღარსითა. გვექონდა. ავიყუანეთ. და. მოგვართვით. ბატონის. ჩვენის. ნება. დართვით. ჩვენი. მეზობელი. სვიმონა. შვილი. ქიტუა. ავიღევით. თქვენგან. ფასი. სრული. და. უნაკლულო. რითაც. ჩვენი. გული. შეგჯერდებოდათ, არაგინ. იყოს. მცილე. და. მოდავე. არა. ბატონი. ჩვენი. და. არც. სხვა. მებატონე. არა. ჩვენი. სახლის. კაცი. და. არა. რომელი. ჩვენი. სოფლის. კაცი. აყრილი. თუ. აუყრელი და. თუ. ვინმე. წამოგდაოსთ. პასუხის. გამცემნი. ჩვენ. ვიყვნეთ. არის. ამისი. მოწამე. წვერის. დეკანოზი. ოქროპირი. ბლორძელი. ხოსია. + აღესია. შვილი. ივანე. ინა. შვილი. შერმაზანა. მე. გარსევან. მღვდლის. შვილს. იოვანეს. დამიწერია. და. მოწამეცა. ვარ. დაიწერა. თიბათვის. იწე გასულს. ქქს. ულ:.

8 ჯვარი.

არშაზუე: ქ: მე. ნამანგლეღვეის. შვილს. გუგუნას. ნება. დამირთავს. და. მოწამეცა. ვარ.

ბეჭკაი გუგუნასი.

1743 წ. ხათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 12, ქადაგ. 26¹/₄ × 15
სანტიმ.

ქ: სახელითა. სახიერისა. არსება. დაუსაბამოსა. ღვთისათა. მამისა. ძისათა და. სულისა. წმიდისათა. მეოხებითა. ყდ. უხრწნელისა. დედოფლისა. ჩვენისა. ღვთისმშობელისა. და. მარადის. ქალწულისა. მარიამისითა. და. თვით. დიდისა. და. დიდებულის. მთავარმოწამის. გიოგრ. გის. (sic) მეოხებითა. ჩვენ. ცვათა. და. საფარველთა. თქვენთა. მინდობილმან. სოლადასშვილის. სახლთხუცის. ზაალის. შვილმან. იესემ. ზიგულსვიღვინე. და. შემოგწირე. შენ. წმი-



დას. გიორგის. ალავერდს. ჩემი. სამკვიდრო. ყმა. და. ყოვლის. კაცის. უცი-
 ლებელი. ლოუნელი. უსეფას. შვილი. მოსე. და. მისი. შვილები. ზურაბა.
 პაპა. მანუჩარა. და. გიორგი. სახსრად. და. სამეოხოდ. დღესა. განკითხვისა-
 სა. ოდეს. განსჯა. ჰყოს. იესო ქრისტემან. სულთა. მამის. ჩემისა. ზალისასა.
 და. დედისა. ჩემისა. თამარისასა. და. ჩემ. ცოდვილისა. იესეს. სუი. ის. საღვა-
 წებლათ. ზი. წმიდაო. მოწამეო. გიორგი. შეიწირე. მცირე. ესე. შესაწირავი.
 ვა. იესო ქრისტემან. ორნი. მწულიონი. შიიწირნა. (სიღ) და. ლხინება. ყავ.
 ჩემთვის. აწე. ვინც. და. რამანც. კაცმან. ამის. გამოწირვ. გუნებაში. გაივ-
 ლოს. რისხავს. იესო. ქრისტე. ჩვენთვის. ჯვარცმული. და ყოველნი. მისის.
 ქადაგებისათვის. აღსრულებულნი. მოწამენი. და. შენ. წმიდაო. მოწამეო.
 გიორგი. ნუ. შეუნდობ. ძვირის. ყოფად შენდა. შერისხდი. საშინელითა რი-
 სხვითა. შენითა. და. განგაღე. შესაძრწუნებელითა. შენითა. ლახურითა. ხო-
 ლო დამამტკიცებელნი. ამისნი. აკურთხენ. მეუფეო. ამინ. დაიწერა. მცირე.
 ესე. შესაწირავი. აპრილს. იზ ალავერდლობასა. კისიყის. მოურავის. შვილის.
 ნიკოლოზისსა კელითა ცოდვილის. მისის. არქი. დომენტის. ბერის. კელი-
 თა. ქკს: ულა

განზე ამავე ხელთ: ქ: ჩვენ. ყორჩიბაში. პაპუა ამი. მოწამე. ვართ.
 ბეჭედი.

სხვა ხელთ: მე: იასეს: სლღს: შვილს: წმნდის: გიორგისათვის: შეგვი-
 წირავს: მოგვირთმეგია: ეს: მოსია: თავის: ცოლითა: და: შვილითა: ვინც:
 გამოსწროს: მასც: რისხავს: დაუსაბამო: ღთი: და: ყელაი: მისი: წმნდანი:
 წმნდ: გიორგი მათი [თანა მესაგრე]

ზიჩველ გვ. განზე: ქ: ჩვენ: მეფე: თეიმურაზ: ვამტკიცებთ: იასეს: სო-
 ლოლას: შვილს: რომე. ეს: კაცი: შეუწირავს: აპრილს: კბ. ქკს: ულა.

ბეჭედი თეიმურაზისა.

1744 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 183, ქადაღდ., 26×14⁸/₄ სანტ.

ქ: ჩვენი: ბძანება: არის: პარჩამეგას: შვილი: გიორგი: და: იმისი:
 ძმა: გივი: ჩოლაყაშვილს: სალონუცეს: გივსა: და: გრიგოლს: სიონთა:
 მღთის: მშობლისათვის: შეწირათ: და: კხი: ყოფილიყო: ხემწიფის: მალის
 მეტი: საქმე: არას: კაცს: არ ქონდეს: როგორათაც: შეწიროს: ისე: სი-
 ონთა: მღთის: მშობელს: მსახურებდეს: გიორგობის: კზ ქკს ულობ

ბეჭედი თეიმურაზ მეფისა.

1745 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 4, ქადაგდ., 46¹/₄ × 22¹/₄ ს სტიმ.

ქ. ნებითა. რომელი. თვინიერ. ჩემობელობისა. შობილობისა. და გამო-
მავლობისა. ერთ. არიან. ვინა. ბუნებით. არა. გამკუეთელობითობენ. და.
სამებით. თვისთვისებულად. დამსახველობითნი. განთვისებულობითობენ. მამა.
რომლისაგან. რომლისაგან. (sic) ყოველნი და. ჩვენ. მისგან. ძე. რომლისა. მიერ.
ყოველნი. და. ჩვენ. მის მიერ. სული. წმინდა. რომლისა. შორის. ყოველნი.
და. ჩვენ. მის შორის. ამა. იხემოხსენებულთა. შეწვენითა. ჩვენ. საქართვე-
ლოს. მეპატრონის. მეფის. თეიმურაზის. პირმოშოთან. ძემან კახეთისა. და. ქსან.
არაგვის. მპყრობელ. მართებელმან. მეფემან. პატრონმან. ერაკლემ. ეს. წყა-
ლობის. წიგნი. და. ნიშანი. გიბოძეთ. თქვენ. ქართლელ. წითურაძეს. გიორ-
გის. ივანეს. და. დემეტრეს. ასე. რომ. ორიანობაში. კახეთში. ჩამოსულიყავთ.
და. წმინდის. გიორგის. ტაძარში. დამდგარიყავთ. და. ნიკოლოზ. ალავერდ-
ლის. დროს. წმინდის. გიორგისათვის. თავი. შეგეწირათ. მოგვიდევით. კარ-
თა. დარბაზისა. ჩვენისათა. და. შეწირულობის. ნება. მრთველობა. დაგვეაჯე
ნით. ვისმინეთ. აჯა. და. მოხსენება. თქვენი. და. ჩვენად. დღეთ. სიგარძე. წას-
მატად. და. ძეთა. ჩვენთა. წელთა. შესაძინოდ. შეგწირეთ. ღვაწლის. მძღე'.
ქრისტეს. მხედრის. გიორგის. და. გაგაზატეთცა. ასე. რომ. თვინიერ. მონას-
ტრის. საძსახურებელის. კიდე. სხვა. არა. გეთხოვებოდეს რა კიდე. ლაშქარ.
ნადირობისა. თქვენთან. ხელი. არავისა ქონდეს. არას. ქართლელს. და. არას.
კახს. კაცს. თქვენთან. საქმე. არა ქონდეს. დაიწერა. ბძანება. და. ნიშანი.
აპრილს. იხ ქკს ულგ.

ბეჭედი წაწკრათ: ქნარს მიკემს დავით მიკეობს ძედ კახეთის მეფედ ცხე-
ბულს ერეკლე.

1745 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 62, ქადაგდზე 31 × 13¹/₂ ს სტიმ.

ქ. ნებითა. და. შეწვენითა. ღთისათა. ჩვენ. ქაიხოსრომ. ციციშვილმა.
შემოგწირეთ. უდაბნოს. ჩვენს. პატიოსანს. ნათლის. მცემელს. ჩემი. ყმა.
მღებრი. შვილი. გოდერძა. თავისის. ცოლ. შვილით. შენც. მოინდომე. და.
მეც. ერთი. ცოდვილი. კაცი. ვიყავი. შეგწირე. წმინდას. ნათლის. მცემელს.
ჩვენის. სულის. მეოხად. და რამაც. კაცმა. აწ. დიდმან. ან. მცირემ. ეს. კა-
ცი გამოსწიროს. რი(ს)ხევედეს. შენი. მადლი. და. ყოველი. შენი. წმინდანი. და
წმინდის. დავით. გარეჯის. მადლი. და. ყოველნი. მისი. წმინდანი. რისხე-
დეს. ღმერთი. ამინ. არის. ამისი მოწამე. თავათ. ღმერთი. და ყოველი. მისი.

წმინდანი. კაცთაგან. გიორგია. ღუდელი. უდაბნოსი. ნაცვალის გუჯია. და მე-
ანდრიას. გარსევანა. შვილს. დამიწერია. და. მოწამეცა ვარ. ამისი. დაიწერა.
იენის. ცხრამეტს. ქკს. ულ. გ*).

ბეჭედი: მონა ღისა ქაიხოსრო.

მეორე ბეჭედი განურჩეველია.

1746 წ. ნათლისმცემლის მანასტრის სიგელი № 224, ქადაგდზე 31×18
სანტიმ.

ქ: ნებიტა: და: შეწვევნიტა: ღთისათა: და: მეოხებიტა: ყდ: უხრწნე-
ლისა: მარადის: ქალწულისა მარიამისათა: და: შუა მდგომლობიტა: წმიდისა
ნათლისმცემლისათა: ჩვენ: ქავთარის: შვილმა ედიშერ: და: ძმამ: ჩემმა: იასე:
და: შვილთა: და: მომავალთა: სახლისა: ჩვენისათა: ესე: ნასყიდობის: წიგნი:
მოგართვით: თქვენ: წმიდას: ნათლისმცემელს: უდაბნოს: მონასტერს: და: მის
წინამძღვარს: სანატრელს: სვიმონს: ასე: რომე: ხარიტონ: წინამძღვრის: დროს:
ჩვენი: ყმა: რატევენელი შავდე (?) მატურაშვილი: პაპა: სვიმონა: და: გოგია:
ხაშმხედ: მოსტულიყო: და: თქვენად: ყმად: ყოფილიყო: ახლა: მე: მომივინ-
დომე: ასაყრელად: და: თქვენ: გვთხოვთ: რადგან: თქუნ: მოინდომეთ: ვე
ლარც: ჩუნ: უარი: მოგახსენეთ: და: წმიდას: ნათლისმცემელს: შემოვწირეთ:
ვინცა: და: რამანც: კაცმან: ჩვენმა: შვილმან: და: ნათესავმა: ეს: მოვიშა-
ლოს: და: გამოგართოსთ: მასცა: რისხავს: ღთი: და: ყოველნი: მისნი: წმი-
დანი: და: თვით წმიდა: ნათლისმცემელი: შემრისხველი: და: დამსჯელ: ექმ-
ნას: ამას: ცხოვრებასა: და: მას: საუკუნოს: დაიწერა: იანვარს: ლ: ქკს: ულდ:
ქრისტეს: აქათ: ჩღმე:

ბეჭედი: ედიშერ.

1746 წ. სიგელი ნათლისმცემლის მანასტრისა № 88, ქადაგ. 31³/₄×10¹/₂
სანტიმ.

ქ: ესე: წიგნი: მოგართვით: ჩვენ: დავით: ნაზირმა: თქვენ: ბატონს: ნი-
ნო: წმინდელს: საბას: ასე: რომე: ბატონის: ბძანებით: იასულათ: ვიყვით:

*) ეს გ მეორე სტრიქონშია.

დიდმელის: კაცების: ასაყრელათ: სხვა: კაცები: სრულ: აყარეთ: რაც: თქვენს: სამწყობოში: იყო: და: ერთი: კაცი: დარჩა: რომ: ვახტანგ: მეფის: დროს: გამოსული: იყო: გელაპარაკენით: მაგრამ: დიდის ხნის: გამოსული: იყო და: ვერცვის: სხვს: აყარა: სხვა: ნინო: წმინდელებისთვის: ვერავის: გამოერთმევა: ჩვენც: ბატონის: ბძანება: ასე: გვქონდა: თორმეტს: წელიწადს: უწინ: ვინც: აყრილი: და: გასული: იყოს: ნუ: აყრითო: ჩვენც: იმიტომ: ვერ: აყრეთ: თქვენვე: დაგრჩათ: რომ: ოცის: წლის: გამოსული: იყო: ჩვენც: იმიტომ: კელი: ავიღევით: ბატონის: ბძანება: თორმეტ: წელს: უწინ: გასულის: კაცის აყრა: არა: გვქონდა: დაიწერა: მარტს: იე: ქკს: ულდ:

ბეჭედი: ღავით.

1746 წ. სიგელი ნათლისმცემლის მანასტ. № 25, ქადაგ. 27¹/₄ × 21¹/₂ სანტამ.

ქ: ესე: წიგნი: მოგეც: მე: ზურაბის: შვილმა: ზურაბ: შენ: მათიას: შვილს: ყაზახას: შვილსა: შენსა: ღავითს: ასე: რომე: ჩემი: ყმა: დემეტრა: შვილი: გიუა: თავისის: ნასყიდობით: შვილით: კახეთს: შენტან: გამოვიდა: და შენტან: იყო: იმანაც: შენი თავი: მოინდომა: და შენც: დიად: გინდოდა: რადგან ორთავესი: ნება: იყო: ჩვენც: ნება: დაგრთევით: არც: ჩვენ: არც: სხვას: კაცს: იმასთან: საქმე არა. აქვსრა: ვინც: რომ: წამოგედაოს: პასუხის გამცემი მე ვიყო: გყვანდეს: და მოგაკმაროს: ღთნ როგორადაც: სხვას: მოკმარდეს. არვინ: იყოს. ამის. მცილე: და მოდავე: არა: ბატონი: და არა: ჩემი სახლის კაცი: არიან: ამის: მოწამენი: იარალის შვილი იარალი (სწახსეული გაუჩეკედი ბეჭედი) ჩემი ყმა გოგილა: მე: ზურაბს მომიცია: და ყაბულიც: მაქვს: და ჩემი: დაწერილია: დაიწერა: აბრილს: ა: ქკს: ულდ.

ბეჭედი: ზურაბ.

1746 წ. ნათლისმცემლის მანასტრის სიგელი № 65, ქადაგ. 31¹/₂ × 17 სანტამ.

ქ: ესე. წიგნი. მოგართვით. ჩვენ. ბატონმა. ამილარომა. (sic) დიმიტრიმ. ამირინდომ. და. რევაზ. თქვენ. ნინოწმიდელს. საბას. ასე. რომე. ერთს. კაც-ზე. შავცილდით. და. ვიჩემეთ. რომ. ჩვენი. ყმა. არის. თქვენ. დიად. შორს. დაგვიჭირეთ. და. ასე. ბძანეთ. ჩემის. მონასტრის. მემკვიდრე. ყმა. არისო. მა-

სუკან. ბევრი. ვილაპარაკეთ: იმ. კაცის. თაობაზე. თქვენც. ბევრი. მოწამე. მაიყვანეთ. თქვენის. საყდრის. ყმა. და. დიად. დიდად. შემოგვფიცეს. და. ასე. თქვენს. არას. კაცს. არ. გვახსოვს. მაგ. კაცის მამის. ჩამოსვლაო. რომლისაც. სოფლისას. ვამბობდით. იმ. კაცსა. იქიური. უფროსი. კაცები. ჩვენც. მოვიყვანეთ. და. ვკითხეთ. და. ვაფიცეთ. საჯაროთაც და. ცალკეცა. მაგრამ. მართლა. აღარავის. ახსოვდა. იმ. კაცის თქვენს. მამულში. მოსვლა. თქვენ. ასეთი. მოწმები. მოიყვანეთ. რომ. სამოცის. წლის. ჩამოსული. იყო. თქვენს. მამულში. და თქვენს. მამულზე. სახლებულიყო. ყმაწვილი. კაცი. მოსულიყო. თქვენს. მამულში. სახელი. ბერუა. რქმეოდა. ცოლიც. თქვენს. მონასტერში. შეერთო. ორი. შვილი. ყოლოდა. უფროსს. ღარიბა. ერქვა. და. უმცროსს. გელია. საგარეჯოს. თქვენს. მამულში. მომკვდარიყო. ის. ბერუა. და. ეს. ორი. ბიჭი. რომ. დაობლებულიყვნენ. ქალაქს. ჩამოსულიყვნენ. უმცროსი. ძმა. ამ. ქალაქს. მოკდომოდა. უფროსი. ღარიბა. აქ. ქალაქს. იყო. ახლა. იმ. ღარიბაზე. შეგვექნა. ჩვენ. ლაპარაკი. და. რადგან. თქვენ. იმდენი. მოწამე მაიყვანეთ. და. გული. დაგვაჯერებინეთ. რომ. სამოცს. წელიწადზედ ნამეტნავი. იყო. იმ. კაცის. თქვენს. მამულში. მოსვლა. ჩვენც. კელი. ვიღვევით. და. სამართლმაც. თქვენ. მოგცათ. ახლა. დღეის. უკან. არც. ჩვენ. და. არც. ჩვენს. სახლის. კაცსა. და. ნათესავს. კელი. არა. აქვთ. მაგ. კაცზედ. სალაპარაკოთ. სამართლით. გავშველებულვართ. ღთმან. მშვიდობაში. მოგაკმაროსთ. თქვენცა. და. თქვენს. მონასტერსაცა. არიან. ამისი. მოწამენი. და. დამსწრები. ტფილელ. მიტრაპოლიტი. ათანასი. (ბეჭედი: ათანასი) ქოთაკევის. წინამძღვარი. იოვანე (ბეჭედი) მღვდმის. წინამძღვარი. ბესარიონ. კათალიკოზის. მოღარეთ. ხუცესი. პაატა (ბეჭედი) მე. სიონელს. მღვდელს. დემეტრეს. დამიწერია. და. მოწამეცა ვარ. თვესა. მაისსა. ია. ქკს. ულდ:

ათხი ბეჭედი.

1746 წ. ნათლისმცემლის მონასტრის სიგელი № 13, ქადაგდ. 32¹/₃ × 12 სანტიმ.

ქ. ესე. წიგნი. მოგართვით. თქვენ წმინდას. გიორგის. ალავერდისას. მე. სომეხ. ყოფილმან. მოსესამ. ასე. რომე. ჩემის. ნებით. მოველო. და. მოვინათლოე. და. შემოგწვირე. არას. კაცს. ჩემთან. საქმე. არა. ქონდეს. რა. ახლავინც რომე. ჩემი. თავი. გამოგწიროს. შენ. რისხევდე. აქაცა. და. საუკუნოსაცა. რამანც. კაცმან. ადამის. მონათესავემან. ჩემი. თავი. გამოგწიროს. შენ. ექმენ. დამსჯელ. მერმესა. საუკუნოსა. არიან. ამისნი. მოწამენი. თავად. ღთი. და. კაცთავან. ყოდალაშვილი. გიორგი. და. სულ. აზ(ნ)აურ. შვილები. დაიწერა. ესე. წიგნი. ივნისს. ა ქკს. ულდ.

+



1746 წ. ტფილისის სიონის სიკელი № 177 ქადაგდ. 34×23³/₄ სსსტომ.

ქ. ნებითა. ლწვისათა. და. შეწვენითა. ყოვლად. წმიდისა. ღწმშობლი-
სათა. ესე. წიგნი. დაგიწერე. და. მოგეცი. მე. ზაალის. შვილმა. იოანემ. შენ.
საგინა. შვილს. სვიმონს. ასე. და. ამა. პირსა. ზედა. როდეს. რომე.
სიყვარულით. შენი. მოყურობა. მოვიწოდებე. და. ჩემის. ნება. წადილით. მო-
გიყვანე. და. ჩემი. და. შეგერთე. ასე. რომე. ჩემი. ძმა. და. შვილი. იყო. და.
დღეს. რისაც. მქონებელი. ვარ. სახლი. კარი. კარში. რაც. მამული. მაქუს.
ან. ყმა. სულყუელა. გაგიერთე. და. საერთო. იყოს. ჩემი მამებელი. იყო.
და. ერთმანეთის. შეუკითხვად. არცარა. ერთმანეთში. მოვიწოდებოთ. და.
უერთმანერთოდ. საქმე. არა. დავიჭიროთრა. და. ერთმანეთის. მორჩილნი.
ვიყუნეთ. და. მიმყოლნი. თუ მამეული. ვალი. გამოჩნდეს ან. შენი. ან. ჩე-
მი. თავთავად. პასუხი. გავსცეთ. ასე. სულისაგან. უსაკუთრესად. გაგიერთე.
მოვკუდეთ. თუ. დავრჩეთ. ერთნი. ვიყუნეთ. ჩვენი. ლხინი. თუ. ჭირი. ერთი.
იყოს. და. ესეცა. რომე. თუ. შენ. მოჰკუდე. არას. შენს. მონათესავეს. კე-
ლი. არა. ქონდეს. შენის. შვილის. მეტსა. და. თუ. მე. მოვკუდე. და. არას.
ჩემს. მონათესავეს. შენთან. კელი. არა. ჰქონდეს. მე. ჩემის. ნებით. ეს. წიგ-
ნი. ასე. დამიმტკიცებია. ვინც. კელყოს. ამა. წიგნისა. შლად. იგიმცა. შეიშ-
ლების. თავის. სახილამ. შემცა. ედების. კეთრი. გეგზისა. შიშთვილი. იუდასი.
ხოლო. დამამტკიცებელნი. ამისნი. ლწთან. აკურთხნეს. არის. ამისი. მოწამე.
თავად. ლწთი. კაცთაგან. სიონის. დეკანოზი. გაბრიელ. (ბეჭედი: სიონის დეკან-
ოზი მად[ელი გაბრიელ]) ბიძა. ჩემი. კანდელაკი. შიო. (ბეჭედი: სიონის კან-
დაკი შიო) დეკანოზის. შვილი. მღვდელი. ოსე. (ბეჭედი: ოსე) მღვდელი. და-
ვით (ბეჭედი: მანა ღთისა სიონის მღვდელი ღწთ) ჩემი. სიძე. მოსე. შველი.
მღვდელი. თომა. მამამთავარი. ლაზარე. მე. ჯვარის. საყდრის. მღვდელს იოანეს.
იოანესა. (sic) და. სვიმონის. ამ. პირობა. დადებით. დამიწერია. და. დამხდუ-
რიცა. ვარ. დაიწერა. ქწეს. აქათ. ჩემვ. ქქს. ულდ:

სხვა ხეჯ: ქ: მე. თითონ. იოვანე. მღვდელს. ნება დამირთავს. და. კე-
ლიც. ჩამირთავს:

ბეჭედი და ჟგანო

თაჯუა: ქ.: ჩვენ. ძე მეფის. თეიმურაზისა. მეფე. ერეკლე. ამ წიგნს. ვამ-
ტკიცებთ. და: ჩვენც. ეს. სვიმონ. სიონთა მღწის: მშობლისათვის. შეგვიწი-
რავს: სიონში: იმყოფებოდეს: ენკენისთვის: ივ ქქს უნა როგორცადაც რომე
ამაში აღწერილი არის ნურვინ შლად კელ ყოფთ.

ბეჭედი: მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

არშ. ქ. ამ. სვიმონს. მღვდელს. დეკანოზს. გარდა. თბილელმა. სხვა. კრე-

ბული. როგორც. იმყოფებოდეს. ისე. ყური. მიუგდოს. ენკენისთვის. ის
ქს უნა

ბეჭედი ერეკლე მეფისა.

ჩვენ ყოვლისა. საქართველოს. კ.ზ. პატრიარქი. მეფის. ძე ანტონი. ამ.
ჩვენის. ძმის. მეფის. ბაძნებას. ჩვენც ვამტკიცებთ. და. ამ. სიმონ. მღვდელს.
სიონის. კრებულთან. განვაწესებთ. ვითაც. სხვათ. კრებულთ. განწესება. აქვთ.
ამ. წესითა. მარტის ლა. წელსა. ჩლად.

ხვეუჯად: კზი.

ჩვენ. ტფილელ. მიტრა. პოლიტი. ათანასი. მღდლის. იოვანეს. სიტყვი-
თა. რახან. ერთმანეთის. ნება. იყო. ჩვენც. ნება დაგვირთავს. ნურცავინ. მო-
უშლის.

ბეჭედი ასომთავრული: ტფილელი მიტრაპოლიტი ათანასი.

ქ. ჩვენ. თუმანიშვილი. მროველ. ყოფილი. თბილელი. მიტრაპოლიტი.
ქრისტეფორე. ამსი. დამტკიცებელი.

ხვეუჯად: ქრისტეფორე.

1747 წ. საბუთი ნათლისმცემლის მონასტრისა № 26, ქადაგდზე 32¹/₂ X
22³/₄ სანტ.

ქ. ესე. წიგნი. მოგართვი. მე. ჯავახეთს. არეკლელმა. ტერტერას. ძმამ.
რევაზამ. თქვენ. ნინოწმიდელს. საბას. ასე. რომე. აღქილისელი. ერევენელი.
მელიქი. შვილი. ოსევა. ცოლითა. და. შვილით. ურუმებისაგან. დატყვევებუ-
ლიყო. და. იქ. ახალ. ციხეს. მოასხეს. მანამდინ. მე. თავდებათ. არ. დამაყენა.
მანამდინ. არავინ. დაიხსნა. ნახან. (sic) მე. თავდებათ. დაუდევ. მასუკან. ახალ-
ციხელმა. მაზმნის. შვილმა. სტეფანემ. დაიხსნა. ტყვე. იყო. და. არა. ქონდა
რა. რომ. თავისი. სახსარი. მიეცა. მასუკან. მევე. შემომეხვეწა. ბევრი. მად-
ლი. ქენი. ჩემზედ. ეს. სიკეთეც. მიყავ. რომ. კიდევ. თავდებად. დამიდევ.
აგები. ქართლში. გამიშვას. რომ. თავისი. სახსარი. უშოვნოო. კიდევ. თავ-
დებად. დაუდევ. იმ. მაზმნის. შვილს. სტეფანსთან. დასტური. დავაცემინე.
და. ქართლში. წამოვიდა. იქიდან. რომ. ქალაქში. ჩამოსულიყო. ქალაქიდან.
დაეწყო. სიარული. საგარეჯოს. მოსულიყო. თქვენს. მონასტერში. და. ცო-
ლიც. იქ. მოეყვანა. თქვენ. დიდათ. შეგბრალდებოდათ. და. ყური. მიგეგ-
დოთ. მასუკან. შამოგხვეწოდათ. და. თქვენი. ხლება. მოენდომებინა. და. მო-
ქსნებინა. ახალციხელის. კაცის. ვალი. მმართვეს. იმისგანაც. დამიხსენ. და.



მანამ. ცოცხალი. ვიქნები. ჩემი. მცილვ. არავინ. გეყოლებათო. თქვენ. წყა-
ლობა. გექნათ. და. თეთრი. გებოძებინათ. ის. თეთრი. მაგ. ოსეფას. გამოვეგ-
ზანა. და. იქ. ახალციხეს. მოგვივიდა. რაც. დარჩომილი. იყო. იმისთვის. წა-
მოველ. ახალციხიდან. და. ქალაქს. მოველ. ოსეფა. ქალაქში. დამხვდა. რაც.
თეთრი. დარჩომილიყო. თხოვნა. დაუწყე. და. ასე. უთხარ. თავდებად. რომ.
დამაყენე. თეთრი. რატომ. სულ. არ. გამომიგზანე. ის. სტეფანე. მე. მთხოვს.
მეთქი. შვილიც. გირაოდ. ყვანდა. ჩემი. იმ. სტეფანესა. თეთრს. ღონება.
რომ. დავაწყებინე. ილაჯი. არა. ქონდა. უწინაც. თქვენ. გექნათ. წყალობა.
ისიც. თქვენვე. შემოგვხვეწა. ამ. მოვალისაგან. დამიხსენო. აიღვეით. თქვენ.
რაც. ამ. ოსეფაზე. დარჩომილი. თეთრი. იყო. სულ. მიბოძეთ. რომ. აღარა.
დარჩომილარა. ამ. ოსეფაზე. თამასუქი. ქონდა. სტეფანეს. ამ. ოსეფასი. ის.
ახალ. ციხეს. იყო. ვერ. წამოვიღე. სტეფანემ. ასე. მითხრა. თავდები. შენა.
ხარ. როცა. ჩემს. თეთრს. მომცემ. თამასუქს. შენ. მოგცემო. ახლა. თქვენ-
თან. ეს. პირობა. დამიდვა. რასაც. წამს. ახალციხეს. მივალ. და. ამ. თავის.
თეთრს. მივსცემ. მაშინვე. ამ. ოსეფას. თამასუქს. გამოვართმევ და. დავხვე-
ღმერთი. მამეცეს. თქვენთვის. თავდებათ. და. თუ. ის. თამასუქი. გამოჩნდეს.
ამ. წიგნმა. გაამტყუნოს. არის. ამისი. მოწამე. და. დამხდომი. კახის. ბატო-
ნის. ეშიკ. აღაბაში. სულხან: (ბეჭედი: მონა დთისა ეშიკადსაში სუფხან) მისი.
ძმა. კარის. წინამძღვარი. ამბაკომ. (ბეჭედი: ამბაკომ) მილახვარი. რევაზ (ბეჭედი:
მონა დთისა მილახვარი რევაზ) ყორჩი. ბაში. შვილი. რამაზ (ბეჭედი: რამაზ) თვესა.
ფებერვალსა. ზ. ქკს. ულე:

+

1748 წ. სიგელი ნათლისმცემლის მონასტრის № 10, ქადაღდ., 24×15¹/₃ სანტიმ.

ქ: ჩვენ: კახთა: მპყრობელმან: და: განმგებელმან: ქართლისამან: მე-
ფემ: ერეკლე: შეეწირეთ: წმიდის: ნათლისმცემლის: მონასტერს: უდაბნოსა:
გარესჯისასა: ერთის: ოთახის: ადგილი: ოთახითვე: ქალაქს: რომ: სასახლე:
პაპასა: ჩვენს: ვახტანგ: მეფეს: შეეწირა: იმ: სახლის: გვერდით: იყო: ის: ად-
გილი: სტამბის: სახლებისა: ყოფილიყო: ნახუცრის: შვილს: ზურაბს: თავის-
თვის: სახლები: აეშენებინა: და: ის: ერთის: ოთახის: ადგილი: რომ: ნათლის:
მცემლის: სახლების: სიგრძე და განი: გაიტანდა: იმ: ადგილზედ: თავისი: სა-
თორნე: დაედგა: ის: ერთის: ოთახის: ადგილი: და: ის: სახლი: რომ: იმ
ადგილზედ: აშენებულთა: შეეწირეთ მას: ჟამსა: ოდეს: მამა: ჩვენი: მეფე:
ქართლისა თეიმურაზ: ერანის: კემწიფეს: ახლდა: და: ჩვენ: განვაგებდით: სა-
ქართველოსა: და: გვაქვდა: ფლობა: ყოველსა: ზედა: შეიწირე: წმიდავ: ნათ-

ლის: მცემელო: მცირე: ესე: შესაწირავი: ჩვენი: და: შემწე: ექმენ: მამასა:
ჩვენსა: მეფეს: თიმურაზს: და: მე: მოსავსა: შენსა: მეფეს: ერეკლეს: ორსავე:
შინა: ცხოვრებასა: მეუღლით: ძით და: ასულით: უკუნითი: უკუნისამდე:
ამინ: დაიწერა: თვესა: ფებერვალსა: იზ: ქკსა: ულვ:


ბეჭედი ეკეკესი (ქნახს შიგემს.....)

1749 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 67, ქადაღზე, $30\frac{1}{2} \times 19\frac{1}{4}$,
სანტიმ.

ქ: ნებითა ღთისათა: ესე წიგნი მოგართვი მე მამულაშვილმა: ივანემ:
თქუნ ამილახორის შვილს ტფილელ ნიტრაპოლიტს ბატონს ათანასის: ასე
რომე: მამაჩემი: სხვის ადგილიდამ მოსული იყო: და საყდარს ყმობოდა: ახლა
მე მოველ: და სამკვიდროდ თავი შემოვწირე სიონთა ღთისმშობელსა: და ვე-
ყმევ: და ქაშოეთს ქვემოდამ სახლის ადგილიც. გვიბოძეთ: დავიდევ საყდრი-
სა. ერთი ლიტრა სანთელი. და ჩარეჟი საკმელი: და რომელიც ჩვენგან შეი-
ძლება სამსახური იმას ვეცდები: თქუნგან წყალობა გუქირდეს: რომ სხვას
